# ლელო

№111 (12 180)

14 მაისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური კრიზისი ფეხბურთის გამო

**ექსკლუზივი**
**კლაუს ტოპმიოლერთან**



## ნემსაძესთან არ ვიმუშავებ!

**ახალკაცის ოპონენტები მაბრალებენ, რომ კორუფციაში ჩავები და ფეხბურთელებისგან ფულს ვიღებ. თითქოს მე მოთამაშეებს აგენტობას და ვთავაზობ და ულტიმატუმს ვუყენებ მათ, რომ უარის შემთხვევაში ნაკრებში არ გამოვიძახებ. აბსურდი და საშინელი ცილისწამებაა ის, რომ თითქოს ფეხბურთელებისგან ფულს ვიღებ ან მათ გარიგებას ვთავაზობ.**

**არ მინდა იმ ხალხთან მუშაობა, ვინც ასე ბინძურად თამაშობს, ჩემი სახელით სპეკულირებს და ასეთ აბსურდულ და შეურაცხმყოფელ ბრალდებებს მიყენებს, თან ჩემს კვალიფიკაციას აყენებს ეჭვქვეშ.**

**არ ვიცი, რატომ გადადგა ნემსაძე. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მას ჩემთან დაკავშირება არ უცდია.**

13 მაისი ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვების დღეა. ეს იყო 1981 წელს, 2007 წლის 13 მაისი კი, შეიძლება, ისე მწარედ შემოგვიტრიალდეს, რომ ჭაობიდან ვერც ამოვიდეთ. პირდაპირ ვთქვათ, რომ ლაპარაკია საერთოდ ჩვენი ფეხბურთის მომავალზე. ნურავინ იტყვის, რომ იმას, რაც გუშინ მოხდა, ფეხბურთელთა და გულშემატკივართა მხრიდან საყოველთაო აპათია არ მოჰყვება. და მოდით, ამას გადაჭარბებად ნუ ჩაგვითვლით. ჯერ არ ვიცით, რა მოხდება ორი-სამი დღის შემდეგ ან ცოტა შორეულ პერსპექტივაში, მაგრამ გუშინდელი ამბების შავი ლაქა თუ სასწრაფოდ არ ჩამოვირეცხეთ, გარწმუნებთ, რომ არაფერი გვეშველება და არც ვიქნებით ღირსები, რომ ოდესმე გვეშველოს. რა-ტომლაც გვავიწყდება, რომ ქართული ფეხბურთის ზემოთ მარტო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი არ არის და ცხადია, არც სპორტის სამინისტრო თუ დეპარტამენტი. საუბარია ფიფასა და უეფაზე, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოსა და შესაბამის ეროვნულ ფედერაციებს შორის ურთიერთობებს გაფაციცებით აკვირდებიან. ისე ნუ ვიზამთ, რომ სრულ იზოლაციაში აღმოვჩნდეთ. არ დაგვავიწყდეს აზერბაიჯანის, ირანისა და საბერძნეთის მაგალითები...

გუშინ რაც მოხდა, შიდა გვერდებზე ქრონოლოგიურად აღვწერეთ. ეს არის მშრალი ფაქტები, მაგრამ რაშია საქმის არსი? ეს არის სწორედ მთავარი, მაგრამ გუშინ, გვიან ღამემდე, **კლაუს ტოპმიოლერის** გარდა კაციშვილს სიტყვა ვერ დავაცდენინეთ. ცნობილი ამბავია, ასეთ დროს ან ტელეფონები ითიშება, ან უბრალოდ, ზარებს არ პასუხობენ, ან კიდევ გიპასუხებენ, რომ... არაფერსაც არ გიპასუხებენ, ერთმანეთის კომენტარს დაელოდებიან.

კარგად გვესმის, რომ გაზეთი მკითხველს სულ ცოტა, ორგზის გადამოწმებულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს, მაგრამ სწორად გაგვიგეთ - ამ საყოველთაო დუმილის პირობებში, იძულებულნი ვართ, მოგიყვეთ ის, რაც კულუარებში, არაოფიციალური წყაროებიდან მოვიძიეთ...



მაშ ასე, დაახლოებით 13 საათსა და 30 წუთზე ცხადდება, რომ **გიორგი ნემსაძემ** 19:13 გაიმარჯვა. ამ დროს, კულტურისა და სპორტის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი** გაოგნებული სახით გამოდის დარბაზიდან, სავარაუდოდ, ურეკავს ქვეყნის პრეზიდენტს და ინფორმაციას ერთ სიტყვაში ატევს: **წავაგეთ!** შემდეგ, გაბაშვილი მიდის კულტურის სამინისტროში, სადაც პატარა თათბირი იმართება. ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ ესწრებოდა ამ თავშეყრას, მაგრამ რაც ჩვენი თვალით ვნახეთ, ეგ იყო, რომ სამინისტროს შესასვლელთან **ნოდარ ახალკაცისა** და სამსაჯო კომიტეტის უფროსის **ამირან კაჭახიძის** მანქანები იდგა...

რა ხდება ამ დროს "ქორთიად მერიოტში"? ნემსაძის მხარდამჭერთა ერთი ნაწილი ზეიმობს, თუმცა იქვე, რაღაც ხდება ერთ-ერთ კაბინეტში, სადაც გამარჯვებულთან ერთად, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და კიდევ რამდენიმე ადამიანია ჩაკეტილი...

პარალელურად, ანონიმური წყარო გვატყობინებს, რომ პრეზიდენტი კულტურისა და სპორტის მინისტრს თანამდებობიდან გათავისუფლებით ემუქრება.

ნემსაძე და ნამგალაური საუბრის შემდეგ ოთახიდან გამოდიან. ახალი პრეზიდენტი უცნაურ განცხადებას აკეთებს: **"პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ არის. მზად ვარ, ქართული ფეხბურთის რიგით ჯარისკაცად დავრჩე".**

ცოტა ხანში ვრცელდება გამაოგნებელი ინფორმაცია: ერთი საათის წინ არჩეული ნემსაძე თანამდებობიდან გადადგა და სამ კვირაში დაინიშნება რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც ის კენჭს აღარ იყრის. ცოტა მოგვიანებით, სალამოსკენ, რესტორან "მონოპოლში" გამარჯვებულის მხარდამჭერები იკრიბებიან. მიუხედავად ნემსაძის სკანდალური განცხადებისა, ქეიფი სრული სვლით მიდის, ადღეგრძელებენ ახალ პრეზიდენტს, მაგრამ თავად ნემსაძე არსად ჩანს. მისი მობილური გამორთულია...

რა ხდება? როგორც წყარო (რა თქმა უნდა, ანონიმური) გვატყობინებს, თითქოს გაბაშვილის გადაყენებით შეშფოთებული რამდენიმე ჩინოსანი სააკაშვილთან შედის და მინისტრ გაბაშვილის დაცვას ცდილობს.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. გაბაშვილი ან თავად უკავშირდება ნემსაძეს, ან ვილაცის პირით უთვლის, რომ მისი გაპრეზიდენტება მთავრობაში სერიოზულ კრიზისსა და განხეთქილებას გამოიწვევს, რომ ეს კრიზისი საქართველოს მეტად ცუდ სამსახურს გაუწევს და ასე შემდეგ... ნემსაძეს კი ასეთი რამ უთქვამს **- თუ ჩემი არჩევა ქვეყანაში სახელისუფლებო კრიზისს გამოიწვევს, ასეთი პრეზიდენტობა არაფრად მიღირსო...**

როგორც გავიგეთ, პრეზიდენტთან აუდიენცია ჰქონია **დავით კირკიტაძესაც**. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი ნემსაძის მთავარი მხარდამჭერი იყო (ისევე, როგორც პარლამენტის წევრი **ვალერი გიორგობიანი**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**... ახალკაცის მხარდამჭერთა შორის ასახელებენ პარლამენტარ **გიგა ბოკერიას**, განათლების მინისტრ **ალექსანდრე ლომაიას**, თბილისის მერ **გიგი უგულავას.** საქართველოს პრეზიდენტი ორ ბანაკს შორის ნეიტრალიტეტის დაცვას ცდილობდა). კირკიტაძეს გაუფრთხილებია სააკაშვილი, რომ მთელ ამ აყიოტაჟს ფიფადან და უეფადან უმკაცრესი რეაქცია მოჰყვებოდა...

სულ ბოლოს ინფორმაციით, ღამის პირველიდან ორ საათამდე ნემსაძე სააკაშვილს უნდა შეხვედროდა...

**რა მოხდა იმ შეხვედრაზე, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მთელი დღის განმავლობაში გავრცელებულ ათასნაირ ინფორმაციას ერთიც დაემატა: ნემსაძე ხელისუფლების სიმპათიით ვერ სარგებლობს.**



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ნაწილი პირველი. 11:00-14:30

# ნემსაძე 19
# ახალკაცი 13



ნოდარ ახალკაცი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ოთხი წლით არჩეულია გიორგი ნემსაძე - ასე გადაწყვიტეს გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის იმ დელეგატებმა, ვისაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდა - ნემსაძემ 19 ხმა მიიღო, ნოდარ ახალკაცმა 16, მამუკა კვარაცხელიამ არც ერთი.

ყრილობას უეფას აღმასკომის წევრი და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მირჩა სანდუ** დაესწრო - მას თვალი უნდა ედევნებინა იმისთვის, რამდენად ობიექტურად წარიმართებოდა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები.

პრეზიდენტის არჩევნებამდე ყრილობამ რამდენიმე საკითხი განიხილა, უფრო სწორად დაამტკიცა. ყველაფერი შლიგინ-შლიგინით წავიდა - აუდიტისა თუ 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცება... ერთადერთი **მამუკა კვარაცხელია** იყო, საბიუჯეტო თემაზე კითხვები რომ დაუსვა ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას**. მეტწილად იმაზე იყო ლაპარაკი, თუ რატომ არ აქვთ რეგიონალურ ფედერაციებს მძლავრი დაფინანსება, როცა საამისო ფულს ფედერაცია უეფას პროგრამა "ჰეთ თრიკიდან" იღებს. უგულავას პასუხების შემდეგ თემა ამოიწურა, თუმც კვარაცხელიამ სინანული გამოთქვა, აქ რეგიონალური ფედერაციის წარმომადგენლები არიან და ხმას რატომ არავინ იღებსო.

ასე იყო თუ ისე, ყრილობის დელეგატებმა არჩევნებამდე ყველა საკითხი ერთხმად დაამტკიცეს, თავიც კი არავის შეუწუხებია. ყველა ელოდება არჩევნებს, ვინ ვის აჯობებს.

ყრილობის საკითხები ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** ვიცეპრეზიდენტ **რევაზ არველაძეს** გადაულოცა, რამეთუ უკვე საპრეზიდენტო პერიპეტიებით დაიწყო - თითოეულ კანდიდატს 15-15 წუთი მიეცა გამოსვლისთვის, შეკითხვებზე პასუხის გაცემისთვის 5-5 წუთი.

კანდიდატებიდან პირველი სიტყვა ახალკაცს ერგო. მას რეგლამენტისთვის



გიორგი ნემსაძემ პირველი მილოცვა მამისგან მიიღო

არ გადაუცილებია, თხუთმეტ წუთში ჩამოაყალიბა ის, თუ რა გაკეთდა ფედერაციაში მისი ორწლიანი მმართველობისას. ახალკაცს შეკითხვა არავინ დაუსვა.

**გიორგი ნემსაძის** ჯერი დადგა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა თავიდანვე განაცხადა, ჩემი გამოსვლა მოკლე იქნება, დაახლოებით ხუთწუთიანიო.

*"რაც ქართულ ფეხბურთში ხდება, ამაზე თუ გავჩუმდებით, დამღუპველი იქნება. ფეხბურთის ფედერაციამ გაუგებარი, ვირტუალური რეალობა შექმნა - მისი პროგრამა პიარის დონეზე დარჩა,"* - განაცხადა ნემსაძემ.

როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ვრცლად ისაუბრა **მამუკა კვარაცხელიამ**: *"საქართველოში რამდენიმე ტრადიციული საფეხბურთო კლუბი გაუქმდა. ფედერაციამ კოკოითის დასაცინიც გაგვხადა, როცა "ცხინვალი" დამალა. არასწორად წარიმართა მსაჯების საკითხიც. მსაჯების ხელმძღვანელი ყოფილი პოლიციელი ამირან კაჭახიძეა, ფიფას ცირკულარში კი პირდაპირ წერია, რომ მსაჯები უფრო მსაჯობის გამოცდილების მქონე უნდა იყოს. ფედერაციამ კი ასეთი გამოცდილი კადრი, ანატოლი მილჩენკო სამსახურიდან გააგდო. რაც შეეხება სანაკრებო პოლიტიკას, ასაკობრივი ნაკრებები იმათ აბარიათ, მანამდე მთავარ მწვრთნელად რომ არასდროს უმუშავიათ. ამ ფედერაციის დროს ეროვნულმა ნაკრებმა 11 ოფიციალური მატჩი ითამაშა და სამი მოიგო - ერთი ყახახეთთან, ორი ფარერებთან,"* - ეს იყო ძირითადი საკითხები, რომლის მიხედვითაც კვარაცხელიამ ახალკაცის ფედერაცია გააკრიტიკა.

დარჩა საპროცედურო საკითხები. **რევაზ არველაძემ** წინადადებით მიმართა დელეგატებს, გამოსულიყვნენ ბიულეტენის ჩასაგდებად ურნასთან და იქ შემოეხაზათ სასურველი კანდიდატი, ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლებს ურნასთანაც შეეძლოთ მოთათბირება და გადაწყვეტილების მიღება. ასეთმა შემოთავაზებამ ზოგი დელეგატი დააბნია, ზოგი კი აღაშფოთა, სიტუაცია აირია, ზოგი ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, ზოგი - კი სხვა ვარიანტს უჭერდა მხარს - ბიულეტენი ადგილზე შევავსოთ და მერე ჩავაგდოთ ურნაშიო. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ფედერაციის აღმასკომის წევრის, კულტურის მინისტრ **გიორგი გაბაშვილს** იმისკენ უბიძგა, რომ არველაძეს სპიკერობა ჩამოართვა და თვითონ უმარტავდა დელეგატებს საპროცედურო საკითხებს. ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ დელეგატები ადგილზე შემოხაზავდნენ ბიულეტენს და ურნასთან მერე მივიდოდნენ.

ხმის მიცემა დაიწყო და მალევე დასრულდა - 32 ბიულეტენის ურნაში ჩაგდებას დაახლოებით ორი წუთი დასჭირდა. ურნა ცალკე ოთახში გაიტანეს, სადაც ცხადია, ხმის დამთვლელი კომისიაც შევიდა.

**დელეგატები** "ქორთიარდ მარიოტის" დარბაზიდან გამოვიდნენ, ჰოლი სიგარეტის კვამლით გაიჟღინთა, რაც კი იქ წვენი და წყალი იყო, ყველაფერი დაილია. ახალკაცის გუნდი შედარებით მშვიდად გამოიყურება, ნემსაძსა კი - ნერვიულობდა.

ერთი დეტალიც - ყრილობის წინა დღეს ფედერაციის აღმასკომმა გურიის რეგიონალურ ფედერაციას ხმის უფლება ჩამოართვა, გურიას ხმა ნემსაძისთვის უნდა მიეცა.

არჩევნების შედეგები მანამდე გახდა ცნობილი, სანამ ამას ხმის დამთვლელი კომისია ოფიციალურად გამოაცხადებდა - ხმების დათვლისთანავე ყველამ ყველაფერი შეიტყო, ახალკაცი და მისი გუნდი შოკშია.

ყრილობა ამით არ დასრულებულა, დელეგატებს თხუთმეტკაციანი აღმასკომიც უნდა აერჩიათ, აქედან ერთი ავტომატურად ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ნემსაძე იყო, დანარჩენი თოთხმეტი კი უნდა აერჩიათ. არჩევანი 25 კანდიდატიდან უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ მათგან რვამ უარი თქვა ამ აღმასკომის წევრობაზე, რომლის თავმჯდომარეც ახალკაცი აღარ იქნებოდა - ამ რვა კაცში ახალკაცის ვიცეპრეზიდენტების გარდა, გიორგი გაბაშვილი და "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერიაც** იყვნენ.

ყრილობამ ახალი აღმასკომი აირჩია და მუშაობა დაასრულა. არ დასრულებულა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მოჰყვება ყველაფერ ამას, ნემსაძის მომხრეები გამარჯვებას ზეიმობენ, ახალკაცის გუნდი იმას არჩევს, თუ ვინ არ მისცა მათ შეპირებული ხმა...

**„ყრილობის ზოგი დელეგატი ჩუმადაა, ზოგი კი ამბობს, ეს ასე არ დასრულდება, აქ რაღაც მოხდება - ეს თბილისის "დინამოს" დირექტორატის ყოფილმა წევრმა მითხრა, ქართულ ფეხბურთში ბევრი რომ უნახავს, სახელმწიფოსთანაც რომ ჰქონია საქმე და ციხეშიც რომ მჯდარა...**

**დავით თავართქილაძე**

### ყრილობაზე არჩეული აღმასკომის წევრები:

**მურად ანჯაფარიძე (25 ხმა), ალექსანდრე ახვლედიანი (25), ნუგზარ ბექაური (19), დავით გელაშვილი (20), ვლადიმერ კაკაურიძე (21), ნუგზარ კაკილაშვილი (25), სერგო კვარაცხელია (25), ვალერი მანაგაძე (22), ლაშა მინდელი (23), გურამ რუხაძე (25), დავით სილაგაძე (23), გიორგი ტყავაძე (24), დილარ ხაბულიანი (24), ივანე ხორგუაშვილი (24).**

ნაწილი მეორე. 15:30-17:30

# ნემსაძე გადადგა, იმიტომ, რომ...



გიორგი ნემსაძე

**შედეგების** გამოცხადებიდან რამდენიმე წუთში რედაქციაში ზარი გაისმის - კლაუს ტოპმიოლერის ტელეფონის ნომერს გვთხოვენ. ირკვევა, რომ ნაკრების მწვრთნელთან საუბარი პარლამენტარ დავით კირკიტაძეს სურს. მას და კახა ცხადაძეს. ამ უკანასკნელმა თარჯიმნობა უნდა გასწიოს.

ამასობაში ყრილობაზე აკრედიტებული ჟურნალისტები რედაქციაში ბრუნდებიან. 16:00. უცებ...

ტელეკომპანია "რუსთავი 2-ით" ვგებულობთ, რომ... გიორგი ნემსაძე პრეზიდენტობიდან გადადგა - **ჩემთვის პრეზიდენტობა თვითმიზანი არ ყოფილა, სამ კვირაში პრეზიდენტის ახალი არჩევნები დაინიშნება, რომელშიც მონაწილეობას არ მივიღებ...**

რა მოხდა? საქმეში ქვეყნის ხელისუფლება ჩაერია? ყრილობამდე იყო ხმები , რომ მმართველი პარტიის ერთი დაჯგუფება ახალკაცის მხარეს იყო, მეორე - ნემსაძისა. ამასთან, ყველა აცხადებდა, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავდა და არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენას არ ეცდებოდა.

პირობა დაირღვა? მაშ რამ (თუ ვინ) აიძულა ნემსაძე, რომ არჩევიდან ერთ საათში პრეზიდენტობაზე უარი ეთქვა? ლოგიკურად ასეთი კითხვა ჩნდება და მასზე ლოგიკურივე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ჯერ არაფერი ვიცით. ყრილობის მოქმედ პირთაგან არავისთან დაკავშირება არ ხერხდება. ტელეფონი ყველას გამორთული აქვს. როგორც ჩანს, მომხდარი ყველასთვის მოულოდნელობაა. თან, ზუსტად არავინ არაფერი იცის. ინფორმაციის წყარო ერთადერთია და გადაუმოწმებელი.

გადავწყვიტეთ, ცოტა შევიცადოთ, სანამ ვითარება გაირკვევა და სამოქმედო გეგმა მერე დავსახოთ. ჯერ მხოლოდ ყრილობის რეპორტაჟი გვაქვს.

"რუსთავის" მორიგი საინფორმაციო გამოშვება. დასაწყისში წამყვანი გვეუბნება, ტოპმიოლერი ნემსაძის პრეზიდენტობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ გუნდს არ გაწვრთნის. ამის შემდეგ მიდის პირდაპირი სატელეფონო ჩართვა გერმანიაში მყოფ ტოპმიოლერთან, რომელიც მსგავსს არაფერს ამბობს: **- მე ძალიან კარგად ვთანამშრომლობდი ახალკაცთან, ნემსაძეს კი არ ვიცნობ... ახლა გუნდის ორი უახლოესი თამაშით ვარ დაკავებული, თან ფედერაციასთან კონტრაქტი მაკავშირებს... ალბათ, დავსხდებით და დავილაპარაკებთ...**

ამას მოსდევს წამყვანის თითქოსდა აშკარად ულოგიკო დასკვნა: **- როგორც ჩანს, ნემსაძე იმიტომ გადადგა, რომ ტოპმიოლერს მასთან მუშაობა არ სურდა!** მაგრამ მოგვიანებით...

19 საათზე რესტორან "მონოპოლში" ნემსაძის მომხრეთა ბანკეტია დანიშნული...

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე. 19:00-00:30

# უპრეზიდენტო ბანკეტი


რესტორან მონოპოლში გიორგი ნემსაძეს ამაოდ ელოდნენ
ნუგზარ სუარიძის ფოტო

გიორგი ნემსაძის მხარდამჭერი **კახა ცხადაძე** "იმედის" ტელეეთერით გამოვიდა და თქვა, ყველაფერი რიგზეა, **ნემსაძეს** ყველანი გვერდში უნდა დავუდგეთო.

ნემსაძის მომხრეები დილომში, რესტორან "მონოპოლში" გაშლილ სუფრას მიუსხდნენ, ზეიმობენ იმას, რომ ყველაფერი მათ სასიკეთოდ დასრულდა. თვითონ გიორგი ნემსაძე აქ არ არის.

და ტრიალებს ჭორ-მართალი: საქმე თვით ქვეყნის პრეზიდენტამდე მივიდა, რომ არა ზეწოლა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან, ნემსაძე "რუსთავზე" ასეთ განცხადებას არ გააკეთებდა, მაგრამ ვითარება უცბად შეიცვალა: ხელისუფლების მეორე მხარემ, რომელიც ნემსაძეს უჭერს მხარს (პარლამენტის წევრები - **დავით კირკიტაძე ვალერი გიორგობიანი**...), ქვეყნის პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ნემსაძე უნდა იყოს და რომ ახლა იმაზე მუშაობენ, თუ როგორ შეალამაზონ ყველაფერი.

"მონოპოლში" თავყრილობა გრძელდება, ნემსაძე არ ჩანს. საღამოს 9 საათისთვის ირკვევა, რომ ის არც მოვა. როგორც ამბობენ, გიორგი ნემსაძე სახელმწიფო კანცელარიაშია. ყველაფერი იქ უნდა გადაწყდეს.

კანცელარიასთან რამდენიმე ჟურნალისტი მივედით, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმის. ნემსაძის თუ ახალკაცის მხარდამჭერები იქ არ გვინახავს. ინფორმაციის მოპოვება ოფიციალური წყაროებით არ ხერხდება.

ერთხელაც მივაშურეთ რესტორან "მონოპოლს". შუაღამისთვის ნემსაძის გულშემატკივრებს სუფრა დამთავრებული ჰქონდათ.

ტელეფონით დავუკავშირდით ნემსაძის გუნდის წარმომადგენელ **გია ფირცხალავას** - სიახლე ვერც მისგან შევიტყვეთ.

ნაშუაღამევს **გოტფრიდ ლენცის** ტელეფონმა დარეკა. ნაცნობი ნომერია **- კლაუს ტოპმიოლერი...**

**დავით თავართქილაძე**

ნაწილი მეოთხე. 21:30-24:00

# ტოპმიოლერმა გადათქვა



ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ქვეყნდება განცხადება:

**"დღეს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-12 ყრილობა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად გიორგი ნემსაძე აირჩიეს.**

**ყრილობის დასრულებიდან ერთ საათში გიორგი ნემსაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა".**

21:30, ფედერაციის პრეს-ატაშემ, **სანდრო ცნობილაძემ** რედაქციაში ფაქსი გამოგზავნა.

### კლაუს ტოპმიოლერის განცხადება ქართული მედიისათვის:

**"ვინაიდან დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოხდა ჩემი პოზიციის სხვადასხვა ინტერპრეტირება, საჭიროდ ვთვლი განვაცხადო შემდეგი: მე და გერმანელ მწვრთნელთა შტაბი ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დღეს არჩეული ახალი პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე გადადგა. ჩემთვის ცნობილია, რომ უახლოეს პერიოდში ისევ დაინიშნება ყრილობა და მოხარული ვიქნებოდი თუ ნოდარ ახალკაცი კვლავ შეეცდება მოიპოვოს ნდობის მანდატი იმ საქმიანობისათვისათვის, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ და რომელიც ჩემი აზრით აუცილებლად მოუტანს წარმატებას ქართულ ფეხბურთს. მე არ ვერევი საარჩევნო პროცესში, მაგრამ ვთვლი, რომ მაქვს უფლება დავაფიქსირო – წარმატებას ჭირდება ერთ გუნდად მუშაობა. აწ უკვე გადამდგარ ფედერაციის პრეზიდენტ ნემსაძეს და მის მხარდამჭერთა გუნდს არაერთხელ გამოუთქვავთ ჩემს მიერ განხორციელებული მუშაობის კრიტიკა. ასევე მუდმივი კრიტიკის ქვეშ იმყოფებოდნენ ჩემი სამწვრთნელო შტაბის წევრები. ასეთი ურთიერთობები არასოდესაა ნაყოფიერი. მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ბატონ ნემსაძის გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე – მისთვის ჩემი პოზიცია, რომ მე მის გუნდთან არ ვაპირებდი მუშაობას, წინასწარ იყო ცნობილი".**

როგორც ხედავთ, აქ გამოთქმული მოსაზრება რადიკალურად განსხვავდება "რუსთავთან" ინტერვიუში ნათქვამისგან. დავაზუსტებთ, რომ რედაქციაში მოვიდა უკვე ქართულად ნათარგმნი ტექსტი და არა ორიგინალი.

ცხადია, ტოპისთან დაკავშირება და ყველაფერში გარკვევა ვცადეთ. ჰერ კლაუსი ჩვენს ზარებს თავიდან არ პასუხობდა, ერთ მომენტში ყურმილი აილო, მაგრამ კავშირი გაწყდა. ამის შემდეგ, მასთან დაკავშირებას შუაღამემდე ამაოდ ვცდილობდით. ტოპმიოლერს მანამდე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნეთ და ვთხოვეთ, ზარზე ეპასუხა, რადგან მისი კომენტარი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის ის იყო, ინტერვიუზე საბოლოოდ ჩავიქნიეთ ხელი, რომ მოულოდნელად თვითონ შეგვეხმიანა.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ
კლაუს
ტოპმიოლერთან
მე-4 გვერდზე

პროცედურული გადახვევა

## რა მოხდება ნემსაძის გადადგომის შემთხვევაში?



გუშინ განვითარებულმა მოვლენებმა ქართული საფეხბურთო სამყარო, რბილად რომ ვთქვათ, დააბნია. ყველა ერთი და იგივე კითხვას სვამდა - რა ხდება? მართლა გადადგა ნემსაძე? რატომ? რა მოხდება ამის შემდეგ და ასე შემდეგ...

ბუნებრივია, ამ გაურკვევლობამ არაერთ მოარულ ხმას დაუდო სათავე. მათგან, ზოგი ახლოსაა რეალობასთან, ზოგი კი აბსურდულად მოსჩანს. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, დღეს-ხვალ გამოჩნდება. მანამდე კი, სჯობს ვნახოთ, თუ რას ითვალისწინებს ფეხბურთის ფედერაციის დებულება.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ფედერაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა **გიორგი ნემსაძემ** პოსტიდან გადადგომის შესახებ განაცხადა. თუმცა ამას იურიდიული ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ფედერაციის გენერალურ სამდივნოში ნემსაძის გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება შევა. ეს განცხადება გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოში არ შესულა. მართალია, გუშინ არასამუშაო დღე იყო, მაგრამ განცხადების მიღება შეიძლებოდა. თუ ნემსაძე სამდივნოში აღნიშნულ განცხადებას შეიტანს, მაშინ ის უკვე ფედერაციის ახლადარჩეულმა აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. შესაბამისად, აღმასკომმა მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში უნდა დანიშნოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები. ყრილობისა და არჩევნების დანიშვნა შესაძლებელია 3 კვირაზე ადრეც, ანუ ამ კვირაშივე.

თუ მოვლენები ამ სცენარით წარიმართა, 3-კვირიანი ვადა 3-4 ივნისს იწურება. მოგეხსენებათ, 2 და 6 ივნისს საქართველოს ეროვნულ გუნდს შესარჩევი მატჩები აქვს გასამართი ლიტვასა და საფრანგეთში. ნაკრების სამზადისს მშვიდი ატმოსფერო სჭირდება. შესაბამისად, თუ ახალ არჩევნებზე მიდგა საქმე, მოსალოდნელია და უპრიანიც იქნება, თუ ის 24-25 მაისამდე ჩატარდება. სწორედ ამ დღეებში იწყებს ჩვენი გუნდი საწვრთნელ შეკრებას. შეგახსენებთ იმასაც, რომ 19-წლამდელები, 17 მაისს, მოსამზადებელი შეკრებისთვის ინგლისში (ბლექბერნი) მიემგზავრებიან. 23 მაისს კი 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდს იწყებენ და ჯგუფში გამარჯვების შემთხვევაში, ფინალური ეტაპის საგზურს ინაღდებენ. ამასთან, 5 ივნისს 21-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩი აქვთ ესპანეთთან (შინ). პრეზიდენტის ოფიციალურად გადადგომისა და რიგგარეშე ყრილობის დანიშვნის შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებამდე გენერალური სამდივნო, ანუ **უჩა უგულავას** შტაბი უხელმძღვანელებს.

რა შეეხება რიგგარეშე ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის პროცედურას. საამისოდ, ფედერაციის სუბიექტების 1/10-ის, ანუ 33-დან 4 სუბიექტის მოთხოვნაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობისა და არჩევნების დანიშვნის საკითხი ფედერაციის ახალმა აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. არსებული სიტუაცია საგანგებო მდგომარეობად ფასდება და ფედერაციის რიგგარეშე ყრილობასა და არჩევნებზე ისევ ის დელეგატები ისარგებლებენ ხმის უფლებით. პრეზიდენტობის ახალი კანდიდატები კვლავ 33-დან მინიმუმ ერთმა სუბიექტმა უნდა წარადგინონ. დანარჩენი პროცედურებიც იგივეა.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კლაუს ტოპმიოლერი:
# რატომ არ ვიმუშავებ ნემსაძესთან



**პერ ტოპმიოლერ, 18 საათზე რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში თქვენ არ გითქვამთ, რომ ნემსაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველოში მუშაობის გაგრძელებაზე უარს იტყოდით. მერე კი ფედერაციამ გაავრცელა თქვენი კომენტარი, სადაც ამბობთ, რომ ნემსაძის გუნდთან მუშაობა არ გსურთ...**

- მოგვიანებით მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მაკრიტიკებდნენ ახალკაცის ოპონენტები, როგორ მდებდნენ ბრალს იმაში, რომ კორუფციაში ჩავები და ფეხბურთელებისგან ფულს ვიღებ. თითქოს მე მოთამაშეებს აგენტობას და თანამშრომლობას ვთავაზობ და ულტიმატუმს ვუყენებ მათ, რომ გარკვეული თანამშრომლობის გარეშე ნაკრებში არ გამოვიძახებ. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ეს ყველაფერი, რადგან მე ქართული არ ვიცი და იძულებული ვარ, იმ ხალხს ვენდო, ვინც ინფორმაციას მაწვდის. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ასეთი ბრალდებები ჩემთვის გამაოგნებელია. არ დაგიმალავთ, რომ იმედგაცრუებული ვარ. არც კი ვიცი, რატომ წამიყენეს ასეთი ბრალდებები. აბსურდი და საშინელი ცილისწამებაა ის, რომ თითქოს მე ფეხბურთელებისგან ფულს ვიღებ ან მათ რაიმე გარიგებას ვთავაზობ. არაერთხელ მითქვამს, რომ ნიჭიერ ფეხბურთელს სიამოვნებით გავუწევ რეკომენდაციას გერმანიაში და გამიხარდება, თუკი ის კარიერას მაღალი დონის კლუბში გააგრძელებს, რაც პირველ რიგში ნაკრებისთვის იქნება კარგი. მაგრამ ის, რომ ამაში ფულს ვითხოვ, აბსურდი და ცილისწამებაა. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, არ მინდა იმ ხალხთან მუშაობა, ვინც ასეთ ბინძურ თამაშს თამაშობს, ჩემი სახელით სპეკულირებს და ასეთ შეურაცხმყოფელ ბრალდებებს მიყენებს. რა გასაკვირია, რომ არ მსურს ისეთ ხალხთან მუშაობა, ვინც მე ეზოს გუნდის მწვრთნელს მიწოდებს.

**- როდის მიიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნემსაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, საქართველოში მუშაობის გაგრძელებას არ მოისურვებდით? და როგორ გგონიათ, თქვენმა პოზიციამ გადაადგმევინა ნემსაძეს ასეთი ნაბიჯი?**

- ეს დღეს გადავწყვიტე. კერძოდ მას შემდეგ, რაც მივიღე ინფორმაცია, თუ რა ბრალდებებს მიყენებდნენ ეს ადამიანები, რა ისაუბრეს მათ ჩემზე პარასკევს, ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში. თუ რამის გარკვევა სურდათ, შეეძლოთ დამკავშირებოდნენ და მათ სიამოვნებით შევხვდებოდი. მე ყოველთვის უშუალო შეხვედრისა და გულახდილი საუბრის მომხრე ვარ, რათა ყველაფერი გარკვეული და გასაგები იყოს. ჩემზე უთქვამთ, აქ მხოლოდ ფულის გამოა, ნაკრები ფეხებზე კიდია, კარგი სამსახური მოიწყოო. ეს ჩემთვის უდიდესი შეურაცხყოფაა! მე ვიცი, რომ გულშემატკივრების უმრავლესობას ჩემს პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარება და რომ ყველა ნალდ ქომაგს ვუყვარვარ. ბრმა არ ვარ, ამას ვხედავ და ეს ძალიან მახარებს.

მანამდე რეგულარულად ვიმეორებდი, რომ ნეიტრალური ვარ. არ ვიცი, რატომ გადადგა ნემსაძე. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მას ჩემთან დაკავშირება არ უცდია. წელიწადნახევარია, საქართველოში ვმუშაობ და ვფიქრობ, თუ გაპრეზიდენტებას აპირებდა ნემსაძეს ერთხელ მაინც უნდა ეცადა ჩემთან დაკავშირება, ბოლო პერიოდში მაინც. მოკლედ არ ვიცნობ. არ ვმალავ, რომ ნოდარ ახალკაცთან ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და მუშაობის გაგრძელებას ახალკაცთან ვისურვებდი. ის ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც თავის საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს. სწორად გამიგეთ, მე მწვრთნელი ვარ და ვალდებული გახლავართ, ნებისმიერ პრეზიდენტთან ვიმუშაო, მაგრამ ასეთი ბრალდებები ჩემთვის მიუღებელია და შეუძლებლად მიმაჩნია, ვიმუშაო იმ გუნდთან, რომლის წევრებიც მე ეზოს გუნდის მწვრთნელს მიწოდებენ და კორუფციაში მდებენ ბრალს. საქართველოში ჩამოსვლა რომ გადავწყვიტე, ამაში ნოდარმა უმთავრესი როლი შეასრულა და რაკი დავინახე, რომ პროფესიონალთან მქონდა საქმე, მოხარული დავრჩი. ვიცი, რომ არსებობს ხალხი, ვინც ჩემს შტაბს იმ ხელფასს ამადლის, რასაც ჩვენ გვიხდიან. მინდა ყველამ საბოლოოდ გაიგოს: საქართველოში ფულის გამო არ ვმუშაობ! მე თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის სიყვარული დავინახე. ფული აქ მეორეხარისხოვანია, რის დასტურადაც ასეთ რამეს ვიტყვი: მუშაობას შედარებით ნაკლები ხელფასის დანიშვნის შემთხვევაშიც გავაგრძელებდი.

**- თუ შეიძლება, დეტალურად მოგვიყევით, რა ხდებოდა დღეს თქვენთან...**

- დამირეკეს და მითხრეს, რომ ახალკაცმა არჩევნები წააგო, რამაც ძალიან გამაკვირვა. მერე კი შევიტყვე, რომ ნემსაძე არჩევიდან ერთ საათში გადადგა, რამაც კიდევ უფრო გამაოგნა. სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე რა ხდებოდა და სრულ გაუგებრობაში აღმოვჩნდი. ძალიან მაინტერესებს, რა მოხდა. ჩემი ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში არ გაჩერებულა, თქვენი შეტყობინებაც მივიღე და როგორც კი ამის საშუალება მომეცა, დაგიკავშირდით.

**- როგორც ჩანს, პარასკევის ტელეეთერის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდეს...**

- დიახ. ვიცი, რომ ნემსაძის მხარდამჭერთა გუნდში იყო კახა ცხადაძე, ჩემი ყოფილი შეგირდი, რომელსაც "აინტრახტში" ვწვრთნიდი. სხვათა შორის, დღეს ცხადაძე თურმე ჩემთან დარეკვას ცდილობდა. ეს მეუღლემ მითხრა. ამ დროს მე "კარლ ცაისის" თამაშს ვესწრებოდი. მოკლედ, ცხადაძესთან სატელეფონო საუბარი მაინც არ შედგა. არ ვიცი, რა საკითხთან დაკავშირებით სურდა კახას ჩემთან საუბარი. ასევე გავიგე, რომ ნემსაძის მხარდამჭერებს შორის იყო კობა ჟორჟიკაშვილიც, რომელმაც ჩემი შტაბი მწარედ გააკრიტიკა. გაკვირვებული ვარ! როცა ჟორჟიკაშვილი ჩვენთან იყო, ჩვენგან ტაქტიკურ მონახაზებს იწერდა და მერე "ზესტაფონსაც" ზუსტად ასეთი ტაქტიკით ათამაშებდა. ახლა კი თურმე ამბობს, რომ მინგე, ჰაინცი და ცანკერი მწვრთნელები არ არიან. დღეს ყველა ფორმაციის ნაკრებში მწვრთნელის მხრიდან ფეხბურთელებისგან ფულის აღება გამორიცხულია! ვიცი, რომ ადრე ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ მოთამაშეები ახალგაზრდულ ნაკრებებში გარიგების შედეგად ხვდებოდნენ. ახლა კი ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია! ჩემი შტაბი მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელებს ირჩევს. ცანკერმა მთელი საქართველო მოიარა და ტალანტები მოიძია, საუკეთესოები ამოარჩია. როცა კონტრაქტს ვაფორმებდი, ნოდარმა დაწვრილებით მიამბო, რა ხდებოდა ადრე ფედერაციაში, რომ თავაშვებული კორუფცია იყო, რომ ფეხბურთელების ტრანსფერებში ფული კეთდებოდა.

ჩემი მწვრთნელობის პერიოდში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ ვინმეს ეთქვა, ესა და ეს მოთამაშე აუცილებლად უნდა გამოვიძახოთო. რა დასამალია ის, რომ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა მთხოვა, იქნებ ევროპაში რეკომენდაცია გამიწიოთო. მე სიამოვნებით გავუწევ ნიჭიერ მოთამაშეებს რეკომენდაციას. მაგალითად, რატი წინამძღვრიშვილი "კაიზერსლაუტერნს" ვურჩიე, რადგან ის ნიჭიერი ფორვარდია, მაგრამ ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, "კაიზერს" კი სრულყოფილი ფორვარდი სჭირდებოდა. "ლაუტერნის" შეფებს მოგვიანებით დავუკავშირდი და ვკითხე, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე "ამერის" ფორვარდმა. მითხრეს, მოგვეწონა, კიდევ დავაკვირდებით და ზაფხულში ან ზამთარში შეიძლება დავიმატოთო. ანუ, ჯერ კიდევ არ არის მზად "კაიზერსლაუტერნისთვის", მაგრამ ეტყობა, რომ დიდი პოტენციალი აქვსო. გარდა ამისა, ფრანგული "ლე მანის" მენეჯერს ლუქსემბურგთან და გერმანიასთან თამაშებში ჭაბუკთა ნაკრების ფეხბურთელები, სანაია (ზესტაფონი) და ფანცხავა (აგრა) მოეწონა. ისინი ჰაინცმა აღმოაჩინა და მათ თავი მოაწონეს ფრანგებს. ამის მერე ვიღაც-ვიღაცები იტყვიან, ჰაინც ტოპმიოლერმა ამ ფეხბურთელებისგან ფული აიღოო. მაპატიეთ, მაგრამ ეს დიდი შეურაცხყოფაა.

იმედი მაქვს, რომ გაუგებრობას მალე მოეღება ბოლო. ქართული ფეხბურთის სამსახურში დიდი სიამოვნებით ვარ და ეს არაერთხელ მითქვამს...

**გოტფრიდ ლენცი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთის წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXIV ტური. წინათქმა

**დინამო-ვიტ ჯორჯია**

**1:0**

12.05.07 თბილისი. მ. მესხი
800 მაყურებელი

1:0 იაშვილი (62. პენ)

დინამო: გრიშიკაშვილი - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო (29. გ. კაშია), შაშიაშვილი - ოდიკაძე (82. სპასოევიჩი), დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი, კობახიძე (46. მერებაშვილი) - იაშვილი.

*სათადარიგოები:* ლორია, თომაშვილი, გუგავა, ლ. ნოზაძე.

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი-პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე-რაზმაძე (83. კლიმიაშვილი), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი-სახოკია, ბერიაშვილი (68. ლუჭაშვილი), მელქაძე.

*სათადარიგოები:* ღურბელეიშვილი, ადამაძე, კვალინაძე, ინჯგია, კიკნაძე

გაფრთხილება: პ. დათუნაიშვილი (12), გ. დათუნაიშვილი (70), ზელიჩი (72)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

## ფსიქოლოგიური კრიზისი?!



ნუგზარ სუარიძის ფოტო

**მატჩის** შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე "დინამოს" მთავარ მწვრთნელს, **დუშან უჰრინს** მისი გუნდის დაცვის ხაზში დაშვებულ აურაცხელ შეცდომებზე რომ დავეკითხეთ, პასუხად შემდეგი მივიღეთ: ბიჭები ნერვიულობდნენ და შეცდომებიც ამის ბრალი იყოო. თანაც, ორივე ცენტრალურ მცველს (**ზელიჩსა და კრშკოს**) ტრავმები აწუხებდათ და ამანაც თავი იჩინაო. აი, ასეთი გახლდათ ჩეხი მწვრთნელის კომენტარი, არადა, მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით: "დინამოს" კართან ამდენი სახიფათო მომენტი, ალბათ, მთელი სეზონის განმავლობაში... ერთად აღებულ ყველა დანარჩენ გუნდს არ ჰქონია. კიდევ კარგი, "დინამოს" გამოცდილმა მეკარემ **სოსო გრიშიკაშვილმა** "ახალგაზრდობა გაიხსენა" და თავისი, მართლაც, ჩინებული რეაქციით საკუთარი გუნდი ნამეტნავად ბევრჯერ გადაარჩინა. არადა, ერთი შეხედვით, სტუმრებს მოტივაცია არ უნდა ჰქონოდათ, თუმცა **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა მთელ რიგ ეპიზოდებში "გამართული" ფეხბურთი აჩვენა. და, საერთოდაც - არავინ იცის, თუ რომელ ადგილზე იქნებოდა ამჟამად "ვიტ ჯორჯია", თავისი ორი ლიდერი (**დავით დილმელაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი**) რომ შეენარჩუნებინა. ეს ორივე ფეხბურთელი კი ამჟამად სწორედ "დინამოს" ღირსებას იცავს; იმ "დინამოსი", რომელმაც შაბათს ამ ჩემპიონატში ერთ-ერთი უარესი მატჩი ჩაატარა. დიახ, უარესი - ზემოთაც აღვნიშნეთ მასპინძელ მცველთა კატასტროფულად ბევრი წუნი; ვერც ნახევარმცველებმა იაქტიურეს - მოედნის ცენტრშიც და ფლანგებზეც უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ. ჰოდა, ვინღა დარჩა? რა თქმა უნდა, თავგანწირვით მოთამაშე მეკარე და ჩვეული ჟინით მოთამაშე გუნდის ერთადერთი ფორვარდი **სანდრო იაშვილი**. სწორედ იაშვილის აქტიურობას მოჰყვა დებიუტში "დინამოს" სახიფათო იერიში. ისე, კომბინაცია, მართლაც, თვალსასეირო გამოდგა: იაშვილმა ჯერ მკერდით დაუგდო ბურთი ფეიქრიშვილს, მერე ისევ ჩინებული პასით **სანდრო კობახიძე** გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ "დინამოს" მარცხენაფლანგელს საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა. აი, ამის მერე კი "დინამოს" საჯარიმოში ამბები ხდებოდა... თანაც, "ვიტ ჯორჯიას" სამივე ფორვარდს (**ზაზა სახოკიას, გიორგი ბერიაშვილსა და გიორგი მელქაძეს**) ერთი-მეორეზე უკეთესი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ხან ძალიან ახლო მანძილიდან აცილებდნენ მიზანს, ხანაც გრიშიკაშვილი თამაშობდა უბადლოდ. მოკლედ, სათვალავი აგვერია, იმდენჯერ დარჩნენ სტუმართა ფორვარდები გრიშიკაშვილთან პირისპირ...

"დინამოს" საპასუხო სვლა კი ერთადერთი ეფექტური კომბინაცია იყო, რომელშიც დავით დილმელაშვილმა, **დავით ოდიკაძემ** და სანდრო იაშვილმა მიიღეს მონაწილეობა, თუმცა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის თავური დარტყმა მიზანს ასცდა.

მეორე ტაიმი "დინამომ" ცვლილებით დაიწყო - **გიორგი მერებაშვილმა** მოედნის ცენტრში დაიკავა ადგილი, ხოლო მარცხენა ფლანგზე გიორგი ფეიქრიშვილი გადავიდა. მალე მასპინძლებს გოლის გატანის ჩინებული შანსიც ჰქონდათ, მაგრამ იაშვილის დარტყმული ცარიელი კარიდან სტუმართა მცველებმა გამოიტანეს. საბოლოოდ, იაშვილს გარჯა მაინც დაუფასდა - სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა კიდეც პენალტი, რომელიც თავად დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა. ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, პენალტი ცოტა საეჭვოს კი ჰგავდა, ისე როგორც პირველი ტაიმის ერთ ეპიზოდში დაფიქსირებული თამაშგარე. არადა, **გიორგი მელქაძეს** ბურთი დინამოელისგან მიუვიდა, კარგადაც დაარტყა სტუმართა მარცხენა გარემარბმა, მაგრამ გრიშიკაშვილმა აკრობატულ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია. თუმცა კუთხურის მაგივრად... თანამსაჯმა თამაშგარე უჩვენა. არა, მართლაც სახალისო მატჩი იყო, განსაკუთრებით კი ის ეპიზოდები, როდესაც სტუმართა ფორვარდები დროგამოშვებით უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

...მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, "დინამო" აღარც ცდილობდა შეტევების წამოწყებას, მაშინ როცა სტუმრებმა სამი ერთი-მეორეზე ჩინებული შანსი ვერ გამოიყენეს. ჯერ **გიორგი დათუნაიშვილის** ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია გრიშიკაშვილმა; მერე იყო და ზაზა სახოკია ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ცდილობდა, ფაქტობრივად, ცარიელი კარის დალაშქვრას; ბოლო წუთზე კი უაღრესად აქტიურ გიორგი მელქაძეს შეეძლო "დინამოსთვის" დაუმსახურებელი სამი ქულა "წაერთმია": სტუმართა მარცხენაფლანგელმა, მეკარესთან პირისპირ რომ დარჩა, რატომღაც, საპირისპირო ფლანგზე გადასვლა და არცთუ სახარბიელო პოზიციაში მყოფ თანაგუნდელისთვის პასის მიცემა გადაწყვიტა...

...ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო; თანაც დუშან უჰრინმა ისიც გვითხრა, ბიჭებზე ფსიქოლოგიურად დიდად იმოქმედა იმ ფაქტმა, ჩემპიონები რომ ვერ გავხდითო. თუმცა "ჩვენსას არ მოვიშლით" და მაინც ვიტყვით: არც ამდენი შეცდომები ეკადრება ჩემპიონობისათვის მებრძოლ გუნდს და არც რამდენიმე ფეხბურთელი იმსახურებს "დინამოს" მაისურით ასპარეზობას!

**გია ტუხაშვილი**

**დილა-ოლიმპი**

**0:1**

12.05.07 გორი. თ. ბურჯანაძე
1 500 მაყურებელი

0:1 გოცირიძე (62. აფციაურის პასით)

დილა: კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ყველაშვილი (78. ტლაშაძე), ვარდოსანიძე, ლომაშვილი, სადალაშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია (70. სამადაშვილი), გონჩაროვი (57. სულთანიშვილი)

*სათადარიგოები:* სოლოლაშვილი, კურტანიძე, ნოზაძე, კობახიძე

ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი (46. გეწაძე), ქებაძე, აფციაური (85. ჩხარტიშვილი), ძამსაშვილი, გოცირიძე, კახელიშვილი (70. ბერუაშვილი)

*სათადარიგოები:* ხარშილაძე, ხუბუა

გაფრთხილება: სამადაშვილი (77)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

## ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით

**კატასტროფის** ტოლფასი იქნებოდა ნაფორხილება გორში ჩასული რუსთავის „ოლიმპისთვის", ამიტომაც სტუმრები შიდა ქართლს უეჭველი გამარჯვების მოსაპოვებლად ეწვივნენ. „დილა" გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს უმაღლესლიგელი დაუხვდა და სრულუფლებიანი პირველლიგელი დაემშვიდობა. დასრულდა წვალება მთელი მეორე წრის განმავლობაში მიზერულ შანსს ჩაჭიდებული მასპინძლებისა.

მეტოქეთა თამაშში თავიდანვე შესამჩნევი იყო დაძაბულობა. „ოლიმპს" მოგებისთვის თავბრუდამხვევი იერიშებით ბრძოლა არ დაუწყია. ასეთს მაყურებელი არც გორელებისგან ელოდა. „დილას" ბოლო ტურებში უმთავრეს მიზნად მიმდინარე ჩემპიონატის ღირსეულად დასრულება დაუსახავს, გასეირნებას არც რუსთაველებს პირდებოდნენ და ასეც მოხდა.

ორივე გუნდმა პირველი 45 წუთი მეტისმეტად ფრთხილად ჩაატარა. მართალია, სტუმრებმა აღნიშნული დროის დიდი მონაკვეთი მოედნის გორელთა ნახევარზე გალიეს, მაგრამ ძირითადი გოლკიპერის არყოფნაში „დილის" კარის ახალგაზრდა და გამოუცდელ დარაჯ **ბესიკ კეჩხუაშვილისთვის** განსაკუთრებული პრობლემების შექმნა ვერ მოახერხეს. აშკარა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლების კართან შექმნილი სახიფათო მომენტების სიმცირე კი როგორც ქვემოქართლელთა შემტევი ხაზის, ისე გორელი მცველების ერთობლივი „დამსახურება" გახლდათ. „ოლიმპმა" ვერც არაერთხელ მოწოდებული კუთხური აქცია მეტოქისთვის ხიფათის მომტანად. ყველაზე უკეთ სტუმართა გუნდში ფლანგებზე მოთამაშე ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. განსაკუთრებით **გიორგი ნავალოვსკი** აწუხებდა მარცხენა ფრთიდან მოწინააღმდეგეს. იგი ჯერ თავის ზონაში გაილაღებდა და შემდეგ საჯარიმოში ფლანგური ჩაწოდებით თანაგუნდელთათვის ხეირის შექმნას ცდილობდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებით უმკლავდებოდა რუსთაველ მოიერიშეებს „დილის" დაცვის ხაზი. კიდევ უფრო დიდი წარმატებით „ოლიმპის" უკანა ხაზი ახერხებდა მასპინძლების თითქმის ყველა იერიშის განმუხტვას.

პირველ ტაიმში **რევაზ ძოძუაშვილის** შეგირდები მოწინააღმდეგეს საჯარიმოს მისადგომებთან მისვლის საშუალებასაც იშვიათად აძლევდნენ, თუმცა „დილამ" დროის ამ მონაკვეთში მაინც მოახერხა გარკვეული პრობლემების შექმნა სტუმართათვის. 29-ე წუთზე **გონჩაროვის** პასით კართან მიახლოებული **ვაჟა ლომაშვილი** უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, შეეძლო გაეტანა. მანამდე **სადალაშვილის** დარტყმული საჯარიმოს შიგნით **დავით ჭიჭველიშვილს** ხელზე მოხვდა, მაგრამ არბიტრს ეს განზრახ ხელით თამაშად არ მიუჩნევია.

ტაიმის ბოლოს ბურთის მოგერიებისას შეცდა კეჩხუაშვილი, რაც იქვე მდგარი **რევაზ გოცირიძისთვის** ერთგვარი საგოლე საჩუქარი გახლდათ, თუმცა მან ვერ გამოიყენა იგი და მომენტი ისევ „დილის" გოლკიპერმა განმუხტა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდმა უმატა ტემპს. „ოლიმპი" კიდევ მეტი შემართებით დაიგეშა მეტოქის კარისკენ, პასიური მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება მიეცა „დილასაც". შესაბამისად თამაში გაიხსნა და სანახაობის თვალსაზრისით, უკეთესიც გახდა. რუსთაველები სწრაფად და ერთმანეთის მიყოლებით ახორციელებდნენ იერიშებს, ხოლო „დილის" კონტრშეტევას საამისოდ აუცილებელი რამ, სისწრაფე აკლდა, ისევე, როგორც მათ ერთადერთ გამოკვეთილ თავდამსხმელს ბორის გონჩაროვს.

59-ე წუთზე სახიფათო გამოდგა **აფციაურის** გამჭოლი დიაგონალური გადაცემა მასპინძელთა საჯარიმოში, რომელიც მცველებმა ვერ მოიგერიეს, მაგრამ მას ჯერ ვერც **კახელიშვილი** მიწვდა თავით და შემდეგ უკვე ძელთან მდგარმა **რევაზ გეწაძემაც** ვერ მოახერხა, რომ კარში შეეგდო. ერთ წუთში „დილის" კართან შექმნილი არეულობისას ჭიჭველიშვილმა ძელს გაარტყა ბურთი, დამატებული მეკარემ კუთხურზე მოიგერია, კუთხურიდან მოწოდებულს კი გოცირიძის თავური და გოლი მოჰყვა 0:1.

გატანილის შემდეგ ქვემოქართლელებს შემართება მოემატათ, შიდაქართლელებს — ნერვიულობა, რამაც თავის მხრივ, გორელების შეცდომათა რაოდენობაც გაზარდა. „ოლიმპმა" კიდევ ერთხელ შეაგდო, თუმცა **კრიჭაშვილმა** თამაშგარე აღნიშნა. მასპინძლები ცდას არ აკლებდნენ ანგარიშში ჩამორჩენის ამოსაქაჩად, მაგრამ **მირზა მერლანის** კართან რაიმე ღირებულის შექმნა ვერ მოახერხეს. ცოტა ხანში, დაახლოებით 17 მეტრიდან გეწაძის მიერ ყუმბარისებური ნასროლი მასპინძლეთა კარის ხარიხამ უკუაგდო.

თამაშის ბოლომდე ორივე კარის მიმართულებით არ განელებულა დაძაბულობა , რასაც შედეგი ვერ მოსდევდა.

მოედანზე შექმნილი დაძაბულობა ერთხანს ტრიბუნებსაც გადაედო. ჩვეულებისამებრ, აქტიურნი იყვნენ ფეხბურთურთის ადგილობრივი ქომაგნი, მაგრამ ეს აქტიურობა სერიოზულ ექსცესებში არ გადაზრდილა. გორელ გულშემატკივრებს აქამდე თავიანთ ქალაქში მოწესრიგებული საფეხბურთო კლუბი ენატრებოდათ, რაც დაგვიანებით მიიღეს და ახლა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდასღა ნატრობენ, რათა საფეხბურთო თვალსაზრისით, ხელახლა გამოცოცხლებულმა ქალაქმა ელიტაში წარმომადგენელი არ დაკარგოს.

საბოლოოდ, მატჩი ასეთივე ანგარიშით დამთავრდა. „ოლიმპმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, ხოლო აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულებით გადააბიჯა „დილამ".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

# ბობღიაშვილის ქულა

**სიონი-ზესტაფონი 0:0**

12.05.07 ბოლნისი. თ. სტეფანია
500 მაყურებელი

სიონი: ბობღიაშვილი – კობაური, სვანიძე, ორბელაძე, ბოიომო – ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი (46. ა. ალავიძე), კორღალიძე, სანიკიძე - ჩასემი (72. ქარდავა), ცხადაძე (77. უგრეხელიძე).

*სათადარიგოები: მამალაძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი.*

ზესტაფონი: ჭანტურია – ს. თოდუა (89. ლეანდრო), საჯაია, სანტოსი, კ. ჩხეტიანი – გ. ჭელიძე (65. ნ. კვასხვაძე), კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ჟონატასი - იონანიძე.

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, შ. ლონღაძე, ბ. ნოზაძე, ფიფია, გ. ჩხეტიანი.*

გაფრთხილება: რ. ონიანი (22), ვიეირა (39), ტორესი (56), კორღალიძე (75).

არბიტრი: ლ. სილაგავა

მართალია, ზესტაფონელები უკვე თასის ფინალისტები არიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ევროტურნირების გარანტირებულ საგზურს. შესაბამისად, იმერლები ჩემპიონატში საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან. მეტოქისგან განსხვავებით, მოტივაციის გარეშე შეხვდნენ ამ თამაშს ბოლნისელები, მაგრამ ფრესა და კინკილა ქულას მაინც გამოჰკრეს ხელი. ეს შედეგი კი "სიონის" მეკარე **ბობღიაშვილის** დამსახურებაა.

მატჩი, სანახაობრივი თვალსაზრისით, აშკარად ღარიბი გახლდათ. პირველ ტაიმში მასპინძლები დომინირებდნენ, მეორე ნახევარში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მინდია ბობღიაშვილმა თანაგუნდელთა დახმარებით კარის მშრალად შენახვა შეძლო.

მასპინძლებს სწრაფი გოლით დაწინაურების შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ იმერელთა შეცდომა **ბაჩანა ცხადაძემ** ვერ გამოიყენა. მან **ჭანტურიასთვის** თავზე გადავლებით გადაწყვიტა ანგარიშის გახსნა, მაგრამ გადააცილა. 25-ე წუთზე მასპინძლებს კიდევ ერთი შანსი ჰქონდათ. ამ მატჩში გამორჩეულ **ჩასემს** უმცროსმა ცხადაძემ ვერ გაუგო, ბურთს **კორღალიძემ** კი მიუსწრო, მაგრამ კარგად ველარ დაარტყა. თავის მხრივ, სტუმრებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი, მაგრამ ისეთი შანსი ნამდვილად არ ჰქონდათ, როგორც ბოლნისელებს. მე-10 და 27-ე წუთებზე **ვიეირას** დარტყმულს ბობღიაშვილი გადაეფარა.

57-ე წუთზე **იონანიძე** ვიეირას პასს ძლივს მისწვდა და ბურთი ძელს გაარტყა. 64-ე წუთზე ვიეირამ და **ჟონატასმა** ვერ იმარჯვეს, 70-ე წუთზე კი იონანიძეს მეკარემ აუღო, 89-ეზე კი ბობღიაშვილმა **სანტოსი** გაანბილა და მატჩიც უგოლოდ დასრულდა.

**დავით ცაბაძე**
ბოლნისიდან



გურამ ტურაშვილის ფოტო

**მერანი-ამერი 0:6**

12.05.07 თბილისი. შევარდენი
300 მაყურებელი

0:1 წინამძღვრიშვილი (11), 0:2 წინამძღვრიშვილი (45. ბოლქვაძის პასით), 0:3 წინამძღვრიშვილი (52), 0:4 კაკაშვილი (75. ტატანაშვილის პასით), 0:5 დავითაშვილი (85. დობროვოლსკის პასით), 0:6 ტატანაშვილი (88. დავითაშვილის პასით)

მერანი: სეფიაშვილი, კეტაშვილი (68. ფურცელაძე), აფშილავა, ჯანგიძე, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, ბურჯანაძე (57. ცისკარაული), ბესარაშვილი, გაგუა (65. ჩივაძე), ზედელაშვილი, ქორიძე

*სათადარიგოები: ლომიძე, კობერიძე, ქემაშვილი*

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (37. კაკაშვილი), დოლიძე (63. მესხი), დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, წინამძღვრიშვილი (55. ტატანაშვილი), დავითაშვილი

*სათადარიგოები: ნაჭყეპია, გაბისკირია, ჩიმაკაძე*

გაფრთხილება: ელბაქიძე (27), ბესარაშვილი (54)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

# დავითაშვილი თითქმის ასიანია

ამ გუნდებს შორის კლასთა სხვაობა პირველი წრის მატჩშიც ნათლად გამოჩნდა. მაშინ "ამერმა" "მერანს" 4:0 სძლია. შაბათს **ასლან ბალაძის** გუნდს ქულები ჰაერივით ესაჭიროებოდა, გლდანელებს კი გამარჯვება ბევრს ვერაფერს შეჰმატებდა. ამის მიუხედავად, **გიორგი ჩიხრაძის** შეგირდები საქმეს სრული პასუხისმგებლობით მიუდგნენ, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯნენ და საკუთარ აქტივს მორიგი გამარჯვება შეჰმატეს.

მატჩის გამორჩეული მოთამაშე, რა თქმა უნდა, **რატი წინამძღვრიშვილი** იყო. "ამერის" ჭაბუკმა ფორვარდმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. მას მხარი თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს. მერანელებს უფრო დაკვირვებით რომ ემოქმედათ, ანგარიში მათთვის ასეთი კატასტროფული არ იქნებოდა. მასპინძლები განსაკუთრებით პირველ ტაიმში სცოდავდნენ, წინამძღვრიშვილის გოლები "მერანის" დაცვის უხეშ შეცდომებს მოჰყვა.

მატჩი საშუალოზე დაბალ ტემპში წარიმართა. "მერანს" საგოლე შანსები მხოლოდ პირველ ტაიმში ჰქონდა. ყველაზე დასამახსოვრებელი აქედან ორი იყო. **გაგუას** ჯარიმა **ქვაჩახიამ** მოიგერია, "ამერის" კაპიტან **დავითნიძეს** კი ცოტა დააკლდა და საკუთარ კარს დალაშქრავდა.

"ამერს" საგოლე მომენტების რეალიზების შესაშური მაჩვენებელი ჰქონდა, რვა მცდელობიდან სტუმრებმა ექვსჯერ იხეირეს. ამ შეხვედრამ **სულიკო დავითაშვილი** "ასიანთა კლუბის" ზღურბლზე მიიყვანა. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მას 99 გოლი დაუგროვდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ტორპედო-ლოკომოტივი 1:3**

12.05.07 ქუთაისი. ცენტრალური
800 მაყურებელი

0:1 მალიჩავა (8), 1:1 იმედაძე (36), 1:2 ჟლენტი (54. ჩომახიძის პასით), 1:3 გოჩაშვილი (78. სოსელიას პასით)

ტორპედო: ქვილითაია, კვერნაძე, ლალაძე, ტაბიძე, კიკვიძე, ზ. ჩხეტიანი (65. გორგოძე), კირკიტაძე, ზივზივაძე, ნადირაძე (62. დანელია), იმედაძე, ლონღაძე (57. ხურციძე)

*სათადარიგოები: ოდიშარია, ხურცილავა, გოდერიძე, მდივნიშვილი*

ლოკომოტივი: მიგინეიშვილი, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, ფოფხაძე, მალიჩავა, ბარბაქაძე (46. სოსელია), ჟლენტი, სამხარაძე (56. ალავერდაშვილი), კუპრეიშვილი (46. ჩომახიძე), გოჩაშვილი

*სათადარიგოები: ზუხბაია, ბახტაძე, კირკიტაძე*

გაფრთხილება: თუთბერიძე (4), მიგინეიშვილი (72), ჟლენტი (79)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# ქუთაისში ქარი ქროდა

მატჩის დღეს იმერთა დედაქალაქში ძლიერი ქარი ქროდა, რამაც საფუძვლიანი კორექტივები შეიტანა ამ შეხვედრის მსვლელობასა და მის შედეგში. როგორც ცნობილია, უფულო და უმოტივაციო "ტორპედო" "ოქროს შუალედში განისვენებს", აი სტუმრებს კი წესით, თავგამოდება მართებდათ, რათა საფლეიოფო შეხლა-შემოხლას ასცილებოდნენ და თავი სამშვიდობოს დაეგულებინათ.



მამუკა კაკაურიძის ფოტო

შეხვედრა სწორედ ამ მოსალოდნელი სცენარით განვითარდა და ლოგიკური შედეგითაც დამთავრდა. სასტარტო პოზიციური ბრძოლების შემდეგ მე-8 წუთისათვის "ლოკომოტივმა" კუთხურის ჩამოწოდების უფლება მოიპოვა, **მალიჩავამ** ჩაჰკიდა საჯარიმოში, ამ დროს თამაშში უხილავი მეთორმეტე მოთამაშე "ქარი" ჩაერთო, რომელმაც წაიღო სფერო და იგი მასპინძელთა კარში ამოჩნდა, ასე დააწინაურა უხილავმა ძალამ სტუმრები.

"ტორპედო" ამის შემდეგ ცოტა გააქტიურდა, თუმცა რეალური არაფერი შეუქმნია, 30-ე წუთისთვის ლოკოელმა მალიჩავამ ისევ გამოიჩინა თავი. მან ძლიერად და სახიფათოდ გაისროლა, თუმცა ბურთს **ქვილითაია** გადაელობა. პირველი ტაიმის ფინიშისკენ, "ტორპედომ" გაიბრძოლა და ანგარიში გაათანაბრა. ეს ასე მოხდა: მასპინძლებმა ჯარიმისას მაღალი ბურთი ჩაჰკიდეს, რომელიც საჯარიმოში თავით შემოაგდო **ლონღაძემ**, აქ კი ყველას **იმედაძემ** დაასწრო და ძლიერად დაარტყა, ბურთს **მიგინეიშვილი** გადაელობა, მაგრამ ვერ შეიმაგრა, დამატებაზე ყველას ისევ იმედაძემ დაასწრო და მეორე დარტყმა ზუსტი გამოუვიდა.

მეორე ტაიმი "ლოკომოტივის" აქტიურობით დაიწყო და **კუპრეიშვილი** სახიფათო გასვლას და დარტყმას აკეთებს, თუმცა მასპინძელთა მეკარე ისევ ზუსტად თამაშობს, მალე ამას **სოსელიას** დარტყმა მოჰყვა, რომელიც ოდნავ ასცდა კარს. სტუმართა აქტიურობას მალე შედეგი მოჰყვა, **ჟლენტმა** თანაგუნდელთან ორსვლიანი გაითამაშა, შევიდა საჯარიმოში და მარჯვენა ზედა კუთხეში გაუტანა მასპინძელთა კიპერს, გაშვებულის შემდეგ "ტორპედო" ცოტას აფაფხურდა, რომელსაც მათთვის რაიმე შედეგი არ მოუტანია. უფრო მონდომებულმა სტუმრებმა კი 78-ე წუთზე მესამეც გაიტანეს და რომ იტყვიან "ქუდიც თავზე მოირგეს".

"ლოკოს" სწრაფ სამსვლიან კომბინაციას საჯარიმოს წინ დაახლოებით 20 მეტრში მდგარი **გოჩაშვილის** ზუსტი დარტყმა მოჰყვა მარჯვენა დაბალ კუთხეში და სტუმრებმაც სამი ქულა გაიფორმეს.

**მერაბ ბრძელიძე**
ქუთაისიდან

# ბათუმი სამშვიდობოზეა

**ბათუმი-ჩიხურა 3:0**

12.05.07 ბათუმი. ადელი
100 მაყურებელი

1:0 ბეჟანიძე (37. შალამბერიძის პასით), 2:0 ბეჟანიძე (40. კვარაცხელიას პასით) — 3:0 ნერგაძე (45. შალამბერიძის პასით)

ბათუმი: სომხიშვილი — კუნჭულია, ლობჟანიძე, თედორაძე, ხოხონიშვილი — შალამბერიძე, ცანავა (69. ბაჯელიძე), ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე (80. ბ.მახარაძე) — კვარაცხელია (74. ტულუში)

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ფარტენაძე, კერესელიძე, მაკარიანი*

ჩიხურა: სტურუა — ვაშაკიძე, ქემოკლიძე, გიგაური, გვეტაძე — ბუცხრიკიძე, კ. მახარაძე (46. ჩარგეიშვილი), ზამბახიძე, როგავა (46. ქუხილავა), — გ.მიქაძე (53. მ. მიქაძე), დვალი

სათადარიგო: მწყერაშვილი

*გაფრთხილება: დვალი (32), კ. მახარაძე (45)*

არბიტრი: მ. მაისურაძე

მატჩმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ბათუმელები გაცილებით მოტივირებულნი იყვნენ. სახიფათო მომენტამდე, რომელიც მასპინძლებმა შექმნეს, 10 წუთი მოგვიხდა ლოდინი. **დარჩიძემ** მარჯვენა ფლანგიდან შეუტია და ცრუ მოძრაობებით რამდენიმე მცველს გასცდა, დასარტყამ პოზიციაზე მდგომ **ნერგაძესაც** პასი არ დაუგვიანა, მაგრამ ბათუმელთა ნახევარმცველის დარტყმა კარს ასცდა.

25-ე წუთზე უკვე სტუმართა ჯერი დადგა და რომ არა **სომხიშვილი** და ძელი, ბათუმელები თამაშს ცენტრიდან დაიწყებდნენ. მახარაძემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა და ბურთი ბათუმელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ ყველას **დვალმა** დაასწრო და თავით დაარტყა. სომხიშვილმა რეაგირება მოასწრო და ტყავის სფერო მოიგერია, რომელიც ძელს მოხვდა და კარის ხაზის გასწვრივ გაგორდა. ჯერ ყველას გოლი გვეგონა, თუმცა, ფორტუნამ მასპინძლები აშკარად დაინდო. გოლი კი 37-ე წუთზე გავიდა. **შალამბერიძემ**, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ, მარჯვენა ფლანგიდან შეუტია, ლამის კუთხურის ალამთან მივიდა და იქიდან ჩააწოდა. მანამდე შეუმჩნეველი **ბეჟანიძე** უეცრად წინ გაიჭრა და დაბნეულ მცველებს ისღა დარჩენოდათ, რომ კარში შემავალი ბურთისთვის თვალი გაეყოლებინათ. იგივეს თქმა შეიძლება სტურუაზეც, რომელმაც რეაგირება ვერ მოასწრო.

ანალოგიურ სიტუაციაში გავიდა მეორე გოლიც. დარჩიძემ მოედნის ცენტრიდან ბურთი ძლიერად მოიგერია, **კვარაცხელიამ** პოზიციური ბრძოლა მოუგო **გიგაურს** და კარის გასწვრივ გამჭოლი გადაცემა გააკეთა. აქ კი კვლავ ბეჟანიძის დრო დადგა და მანაც დუბლი შეასრულა. დარტყმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ რეაგირებას აზრი აღარ ჰქონდა. ტაიმის მიწურულს უკვე ნერგაძემ გაასამა და მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. კვლავ შალამბერიძის აქტიურობა მარჯვენა ფლანგზე, საგოლე პასი და ნერგაძის თავური დარტყმა — 3:0.

მეორე ტაიმში ერთადერთი დასამახსოვრებელი ის მოხდა, რომ კვარაცხელიას მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ძელმა მოიგერია და „ჩიხურაც" მეოთხე გოლს გადაურჩა. დარჩენილ დროში ბურთს უმეტესწილად მასპინძლები აკონტროლებდნენ, მაგრამ მეტი ხიფათი არ შექმნილა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

**ბორჯომი-კახეთი 4:1**

12.05.07 ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
500 მაყურებელი

1:0 კოშკაძე (8. შ. ჯიქიას პასით), 2:0 შ. ჯიქია (41), 3:0 შ. ჯიქია (50. გრიგალაშვილის პასით), 4:0 შ. ჯიქია (54. კოშკაძის პასით), 4:1 ბიძინაშვილი (71)

ბორჯომი: შეყრილაძე – ქარქუზაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონღაძე (56. ლომიძე) –კოშკაძე (64.ლაზარაშვილი), გოგიჩაიშვილი, შ. გრიგალაშვილი, ნადირაშვილი – შ. ჯიქია, კაიდარაშვილი (74.კვერნაძე)

სათადარიგოები: ასაბაშვილი, კაკალაძე, საყვარელიძე

კახეთი: გ. იაშვილი - კევლიშვილი, მურველაშვილი, იოსებაშვილი (55. ბიბილაშვილი), გერგიშვილი –ჩუთლაშვილი (75. მედოევი), კუპრაშვილი, აბდულაევი (46.მელიქიშვილი), ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი – გ.ხიდაშელი

სათადარიგოები: ქუფარაშვილი, ბურნაძე

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი(57), გერგიშვილი(62), კევლიშვილი(64)

არბიტრი: ო. ხეცაძე

# ჯიქიადა

24-ე ტურის მატჩებიდან „ბორჯომი"-„კახეთის" დაპირისპირება ერთადერთი იყო, რომელსაც რაიმე სატურნირო მნიშვნელობა არ გააჩნდა. მასპინძლებმა ჩემპიონატის აუტსაიდერთან დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვეს. მატჩი **შოთა ჯიქიას** ბენეფისად იქცა, რომელმაც ბრწყინვალე თამაშთან ერთად, ჰეთ-თრიქი გააკეთა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

თორელებმა დებიუტშივე წნეხის ქვეშ მოაქციეს მეტოქე. ანგარიშის გახსნაც მალევე მოახერხეს: მატჩის გმირი ჯიქია მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში მყოფ **კოშკაძეს** გამოზომილი გადაცემა გაუკეთა, რომელმაც მარჯვენა დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი-1:0

21-ე წუთზე კახელებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ. **ხიდაშელი** მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ **შეყრილაძემ** დროულად დატოვა კარი და თავდამსხმელს დარტყმაში ხელი შეუშალა. ამის შემდეგ **გრიგალაშვილისა** და ჯიქიას სახიფათო დარტყმები ასცდა მიზანს. 37-ე წუთზე კვლავ სტუმრებს მიეცათ გატანის შანსი, ამჯერად **შეყრილაძესთან** პირისპირ **ტეტიაშვილი** აღმოჩნდა, მაგრამ მეკარემ ისევ იმარჯვა. ტაიმის ბოლოს მასპინძლები გააქტიურდნენ და ანგარიშიც გაზრდაც მოახერხეს. 41-ე წუთზე ჯიქიამ მშვენიერი სოლორეიდი განახორციელა, რამდენიმე მცველი ჩამოიცილა, საჯარიმოში შეიჭრა და ეფექტური გოლი გაიტანა-2:0

მეორე ტაიმში „ბორჯომმა" უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. 50-ე წუთზე გრიგალაშვილის ფლანგური გადაცემის შემდეგ ჯიქიამ მესამედ აილო იაშვილის კარი - 3:0 ცოტა ხანში მან ჰეთ-თრიქიც შეასრულა. 54-ე წუთზე ჯიქიამ საჯარიმოში კოშკაძის გადაცემა მიიღო, მეკარე მოატყუა და ბურთი აუღელვებლად გადაგზავნა კარში - 4:0

მეოთხე გოლის შემდეგ მასპინძლები მოდუნდნენ და კახელებსაც მიეცათ გააქტიურების საშუალება. რამდენიმე სახიფათო დარტყმის შემდეგ, 71-ე წუთზე სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. კუთხურის გათამაშების შემდეგ **ბიძინაშვილმა** საკმაოდ მახვილი კუთხიდან დაარტყა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:1. მატჩის ბოლომდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. „ბორჯომმა" დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა და გადათამაშებაში მოხვედრის საშიშროება საბოლოოდ აიცილა თავიდან.

**დავით კოხრეიძე**
ბორჯომიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 53-7 | 59 |
| 2. დინამო | 24 | 18 | 2 | 4 | 48-17 | 56 |
| 3. ამერი | 24 | 16 | 5 | 3 | 50-14 | 53 |
| 4. ზესტაფონი | 24 | 14 | 9 | 1 | 46-10 | 51 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 8 | 4 | 39-24 | 44 |
| 6. სიონი | 24 | 11 | 4 | 9 | 27-20 | 37 |
| 7. ტორპედო | 24 | 9 | 4 | 11 | 22-29 | 31 |
| 8. ბორჯომი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-32 | 30 |
| 9. ბათუმი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-26 | 27 |
| 10. ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 17-32 | 24 |
| 11. ჩიხურა | 24 | 5 | 6 | 13 | 13-36 | 21 |
| 12. მერანი | 24 | 4 | 8 | 12 | 15-41 | 20 |
| 13. დილა | 24 | 2 | 5 | 17 | 15-55 | 11 |
| 14. კახეთი | 24 | 0 | 2 | 22 | 20-74 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი


შოთა არველაძე

# ქეცბაიას თასი

## ოთხი გოლის, ორი საგზურისა და ერთი გაძევების ამბავი

კვიპროსის თასის ფინალში "ანორთოსისმა" 3:2 მოუგო "ომონიას" და ქვეყნის თასს დაეუფლა. მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ტიტული ფეხბურთიდან წასვლის მერე ზუსტად ერთი კვირაში მოიგო. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, გერმანიაში **ლევან კობიაშვილი** და მისი "შალკე" ჩემპიონობას ვერ შესწვდებიან. იმავე გერმანიაში ბრწყინვალედ ითამაშა **ალექსანდრე იაშვილმა** და გუნდს ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი შეუნარჩუნა. გოლით და გაძევებით აღნიშნა დაბრუნება ტრავმამოშუშებულმა **მიხეილ აშვეთიამ**, რომლისთვისაც სეზონი დასრულდა. **შოთა არველაძემ** ყოფილ კლუბ "აიაქსთან" რანდევუ კიდევ ერთხელ დაიბევა, ამჯერად სასწორზე ლიგის საგზურია. უეფას საგზურის მოპოვებაში დაეხმარა საკუთარ კლუბს **ლევან ცქიტიშვილი**, ხოლო **ზურაბ ხიზანიშვილი** ინტერტოტოს თასზე ასპარეზობით დაკმაყოფილდება. უკრაინაში გოლი გაიტანა **ლაშა ჯაკობიამ**, რუსეთში **დავით მუჯირმა**.

### ზურა ინტერტოტოზე, კახა უშეცდომოდ

ახალ სეზონს ზურაბ ხიზანიშვილის "ბლექბერნი" ნაადრევად დაიწყებს, კლუბმა ინგლისის პრემიერლიგაში ასპარეზობა 52 ქულით მეათე ადგილზე დაასრულა და ინტერტოტოს თასის საგზური მოიპოვა. "რედინგთან" 3:3 დასრულებულ მატჩში ტრავმირებულ ხიზანიშვილს არ უთამაშია, ქართველმა მცველმა ბოლოს 17 მარტს "ვესტ ჰემის" წინააღმდეგ ისპარეზა.

**კახა კალაძის** "მილანი" "კატანიას" ესტუმრა, რომლის ფეხბურთელებმა ბოლო სამ თვეში პირველად შეიგრძნეს გულშემატკივართა მხარდაჭერა. მატჩი 1:1 დასრულდა, კახა კალაძე მოედანზე 65-ე წუთიდან ვიხილეთ, მან კაპიტანი **პაოლო მალდინი** შეცვალა. "დატასპორტმა" კახას თამაში 6 ბალით შეაფასა შემდეგი ფრაზით - "სერიოზული შეცდომა არ მოსვლია". ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე "მილანი" 61 ქულით მეოთხეა.

### ჩემპიონობა თითქმის დაიკარგა

"შალკეს" საჩემპიონო შანსები ძალზე შემცირდა. სიმართლე ითქვას, "ხუმარები" არც იმსახურებენ ტიტულს, იმდენი შანსი გაატანეს ქარს ამ გაზაფხულზე.. "შალკე" დორტმუნდში "ბორუსიასთან" 0:2 დამარცხდა და პირველი ადგილი დაკარგა. დამარცხდა "ვერდერიც", სამაგიეროდ ამით "შტუტგარტმა" სრულად ისარგებლა და 67 ქულით დაწინაურდა, "შალკე" ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება. ბოლო ტურში "შალკე" "არმინიას" მასპინძლობს, ხუმარებს კოტბუსელთა იმედი თუ ექნებათ, შტუტგარტში "ენერგი" ჩადის. ლევან კობიაშვილმა მოედანზე ზუსტად 11 წუთი გაატარა, მან **იოზილი** შეცვალა.

### ბოლო ტური გადაწყვეტს

მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურის შემდეგ "ფრაიბურგმა" ბუნდესლიგაში ალზევების, ხოლო "კარლ ცაისმა" დარჩენის შანსები შეინარჩუნა, თუმცა ორივე ქართულ გუნდს მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება. "ფრაიბურგმა" ლიდერ "კარლსრუეს" გასვლაზე 3:0 მოუგო. გუნდის ქართველმა კაპიტანმა ალექსანდრე იაშვილმა მაგრად ითამაშა, მან ჯერ **მატმურს** (27-ე წუთი) გაატანინა, შემდეგ კი (მე-80 წთ.) თავად გაიტანა პენალტი. ეს იაშვილის მეათე გოლი და მეთხუთმეტე საგოლე პასია სეზონში. ქართველ ფორვარდს მატჩში საუკეთესო შეფასება - ორიანი - დაუწერეს. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო. ბოლო ტურში "ფრაიბურგი" უმოტივაციო "კობლენცს" მასპინძლობს და ალბათ გაიმარჯვებს კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს გერმანული ფეხბურთის ელიტაში დასაბრუნებლად. "ფრაიბურგის" კონკურენტი "დუისბურგი" "ესენს" მასპინძლობს, მასაც 57 ქულა აქვს, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობით წინაა. 59 ქულით მეორეა "ჰანზა", რომელიც ბოლო ტურში "უნტერჰახინგს" დაუხვდება.

"კარლ ცაისმა" "კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა, 1:1 ითამაშა და ბუნდესლიგის საგზურის შანსი მოუსპო. "კარლ ცაისი" 35 ქულით მეთექვსმეტეა, რადგან მასავით 35-ქულიან სამ


ქეცბაიამ ანორთოსისს თასი მოაგებინა

კლუბს (ესენი, უნტერჰახინგი, კიკერსი) ბურთების სხვაობით ვერ სჯობნის. ბოლო ტურში იენელები "აუგსბურგს" ესტუმრებიან, თუმცა მათ ქართველი ფორვარდი ვერ დაეხმარება. "კაიზერსლაუტერნთან" მატჩში **გიორგი ლომაია** და მიხეილ აშვეთია სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. მატჩის 51-ე წუთზე აშვეთიამ ანგარიში გაათანაბრა, 55-ე წუთზე კი ის გააგდეს. ქართველებს ერთნაირი შეფასება მისცეს - 3,5. "მიუნხენი" შინ 1:2 დამარცხდა "ჰანზასთან", **მათე ღვინიანიძე** 77-ე წუთზე შეცვალეს. ქართველი მცველი 4 ბალით დააკმაყოფილეს.


აშვეთიამ გოლი გაიტანა, მერე კი გააძევეს

### ისევ აიაქსთან რანდევუ

ჰოლანდიის ფლეი-ოფის ფინალში "აიაქსი" და "ალკმაარი" გავიდნენ, გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. "ალკმაარმა" შინ 2:0 მოუგო "ტვენტეს" და ორი მატჩის ჯამში ფლეი-ოფის ფინალში გავიდა. ქართველმა კაპიტანმა 61 წუთი ითამაშა, პირველ ტაიმში შოთა გააფრთხილეს. დანიაში "ვიბორგი" "ესბერგს" ესტუმრა და 2:2 დაუზავდა. **გიორგი ფოფხაძე** დისკვალიფიცირებულია.

### უეფას თასის საგზური ცქიტიშვილს

საბერძნეთის პირველობა დასრულდა, ლევან ცქიტიშვილის "პანიონიოსმა" ბოლო ტურში აეკი დაამარცხა 3:1, 45 ქულა დააგროვა, რისი წყალობითაც მეხუთე ადგილი და უეფას თასის საგზური მოიპოვა. ლევან ცქიტიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო, ის 83-ე წუთზე შეცვალეს. მასპინძელთა მეორე გოლი (69-ე წუთზე), ქართველი ნახევარმცველის პასით გავიდა. **ლევან მაღრაძის** "ქსანთი" შინ "ირაკლისთან" 1:2 დამარცხდა და 36 ქულით მეთერთმეტე ადგილით დაკმაყოფილდა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

### ჯაკობიას მაკრატელა

უკრაინაში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა, წაიფორხილა კიევის "დინამომ", რომელიც სტუმრად აუტსაიდერ "სტალს" დაუზავდა - 0:0. ქართულმა ტრიომ დღით ადრე დუბლების მატჩში მიიღო მონაწილეობა (0:0). **კახა ალადაშვილმა** და **დავით იმედაშვილმა** 90-90 წუთი ითამაშეს, **ოთარ მარცვალაძე** კი მე-80 წუთზე შეცვალეს. "დნეპრმა" დისკვალიფიცირებული **ჯაბა კანკავას** გარეშე 1:0 აჯობა ოდესის "ჩერნომორეცს", რომლის განაცხადშიც არ ყოფილა **ილია კანდელაკი**. დისკვალიფიცირებულმა კანკავამ დუბლების მატჩში (2:3) ითამაშა.

ზაპოროჟიეს "მეტალურგი" სიმფეროპოლში "ტავრიამ" გაანადგურა - 1:5. კაპიტანმა **დავით კვირკველიამ** ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, **ირაკლი მოდებაძეს** არ უთამაშია. "ილიჩივეცი"-"ზარია" 0:1 დასრულდა, მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **გიორგი ციმაკურიძე**, სტუმრებში **გიორგი ჭელიძე** 84-ე წუთზე გამოჩნდა. **ვასილ გიგიაძის** და **ლადო ბურდულის** "კრივბასი" სტუმრად 1:2 დამარცხდა "ვორსკლასთან". გიგიაძემ შეუცვლელად ითამაშა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ბურდული კვლავ ტრავმირებულია.

კიევში ლაშა ჯაკობიამ მე-5 წუთზე დააწინაურა "არსენალი", როცა "შახტიორის" გოლკიპერ **შუტკოვს** მაკრატელათი ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა. თუმცა სტუმრებმა მაინც მიაღწიეს მიზანს და 2:1 იმარჯვეს.

### მუმუს მეორე

რუსეთში მეცხრე ტურის მატჩები გაიმართა. "კრილია სოვეტოვმა" 3:0 დაამარცხა "ლუჩ ენერგია". დავით მუჯირმა მატჩის 35-ე წუთზე მედვედევის პასით ანგარიში 2:0 გახადა. ქართველი ნახევარმცველი 78-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის შემდეგ ჩვენებური უკმაყოფილო იყო: *"გული მწყდება, რომ თითქმს ყოველ მატჩში მცვლიან. თუმცა იმედია, მალე დავიბრუნებ მწვრთნელის კეთილგანწყობას"*. ეს ქართველი ფეხბურთელის პირველი გოლია თამაშიდან წლევანდელ სეზონში (აქამდე მუჯირმა პენალტიდან გაიტანა).

ნალჩიკის "სპარტაკმა" 1:0 დაამარცხა "მოსკვა" და გათამაშების ცხრილის ფსკერს თავი დააღწია (მეათე ადგილზე გადავიდა). **ალეკო ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ლევან გვაზავა** მოედანზე 57-ე წუთზე შევიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


იაშვილი და ფრაიბურგი მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, პრემიერლიგა, XXXVIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-რედინგი | 3:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 17 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXVI ტური | | | | |
| კახა კალაძე | კატანია-მილანი | 1:1 | 25 წთ (შეცვლაზე) | 17 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXXIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | დორტმუნდი-შალკე | 2:0 | 11 წუთი (შეცვლაზე) | 28 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXXIII ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ფრაიბურგი | 0:3 | 90 წუთი, 1 გოლი, 1 პასი | 31 თ, 10 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | კარლსრუე-ფრაიბურგი | 0:3 | არ უთამაშია, სათადარიგო | 13 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | კობლენცი-აუე | 2:1 | არ უთამაშია | 24 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი-კაიზერი | 1:1 | 90 წუთი | 14 თ, -16 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი-კაიზერი | 1:1 | 55 წთ. (გააძევეს), 1 გოლი | 10 თ, 5 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ჰანზა | 1:2 | 77 წთ (შეცვლეს) | 20 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, თასი, ფლეი-ოფი | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-ტვენტე | 2:0 | 61 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 29 თ, 15 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXX ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-აეკ | 3:1 | 83 წთ (შეცვალეს), პასი | 19 თ, 2 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი-ირაკლისი | 1:2 | 90 წუთი | 23 თ, 0 |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXVI ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | სტალი-დინამო | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | სტალი-დინამო | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | სტალი-დინამო | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია, დისკვ. | 20 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | დნიპრო-ჩერნომორეცი | 1:0 | არ უთამაშია | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი დ.-მეტალისტი | - | დღეს | 14 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | ვორსკლა-კრივბასი | 2:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 20 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ვორსკლა-კრივბასი | 2:1 | 90 წუთი | 26 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩივეცი-ზარია | 0:1 | არ უთამაშია | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | ტავრია-მეტალურგი ზ. | 5:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 21 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | ტავრია-მეტალურგი ზ. | 5:1 | არ უთამაშია | 20 თ, 3 გ. |
| გიორგი ჭელიძე | ილიჩივეცი-ზარია. | 0:1 | 6 წთ (შეცვლაზე) | 8 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | 5:1 | არ უთამაშია, დუბლები | 11 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, IX ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი-სატურნი | 0:0 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ამკარი | 1:0 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ამკარი | 1:0 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-ლუჩი | 3:0 | 78 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 8 თ, 2 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-როსტოვი | 2:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-მოსკვა | 1:0 | 90 წუთი | 9 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-მოსკვა | 1:0 | 33 წთ (შეცვლაზე) | 7 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXVII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ესბერგი-ვიბორგი | 2:2 | არ უთამაშია, დისკვ. | 9 თ, 0 გ. |

იტალია. სერია A. XXXVI ტური

# განწირულის სულისკვეთება?

## მილანი და ლაციო ლიგაში, ახალი კონტრაქტი პრანდელის

სერია A-ს მორიგ ტურში საბოლოოდ გაირკვა პირველი ოთხეული, რომელიც შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. დარჩენილ მატჩებში "ლაციოს" მხოლოდ ქულა სჭირდებოდა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ გუშინდელი შედეგებით, ეს ქულაც აღარ არის საჭირო. "ემპოლისა" და "პალერმოს" მარცხმა "ბიანკოჩელესტეს" ავტომატურად დაუბევა ადგილი უპრესტიჟულეს ევროტურნირში. რომაელებმა ისე დაიწყეს ჩემპიონთან მატჩი, ვიფიქრეთ, "რომასთან" კოშმარული სათასო მარცხის შემდეგ, "ინტერი" დედაქალაქის მეორე გრანდთანაც შერცხვებოდა. მე-4 წუთისთვის "ლაციალე" 2:0-ს (!) იგებდა. მერე, "ლაციო" კიდევ ერთხელ გავიდა წინ ორი ბურთით (3:1), მაგრამ **რობერტო მანჩინის** ბიჭებმა, უდიდესი ძალისხმევის ფასად, მაინც მოახერხეს თამაშის შემობრუნება. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ "ინტერი" თავის ოპონენტებზე ერთი თავით მაღლა დგას. "ლაციალემ" ყველაფერი კი გააკეთა გამარჯვებისთვის, მაგრამ ვერაფერს გახდა ერთი ფეხბურთელის წინააღმდეგ. საუბარია მის ყოფილ ფორვარდ **კრესპოზე**, რომელმაც სამჯერ აილო 43 წლის **ბალოტას** კარი. გამარჯვების გოლი კი თამაშის მიწურულს **მატერაციმ** მიითვალა და მცველის კვალობაზე, 9 გოლით ბრწყინვალე შედეგი აჩვენა.

უეფას ზონის ორ ადგილზე 3 გუნდი აცხადებს პრეტენზიას. "ფიორენტინამ" რთული მატჩი გადაიტანა სერია A-ში დარჩენისთვის მებრძოლ "კალიარისთან" და მხოლოდ **პაცინის** ეულ გოლს დასჯერდა. ალბათ, "ვიოლა" უეფას თასზე ითამაშებს. გუშინვე, **ჩეზარე პრანდელიმ** კლუბთან ახალი 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება კიდევ ერთ საუეფასთასო ადგილს, ამისთვის "ემპოლი" და "პალერმო" იბრძოლებენ.

გასავარდნ ზონაში კი, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს. მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნებისთვის ერთბაშად 8 გუნდი იბრძვის. "კალიარის" გარდა, გუშინ არც ერთი გაჭირვებული არ დარჩენილა ქულის გარეშე. უცნაური იყო "ტორინოს" გამარჯვება "ოლიმპიკოზე". "რეჯინა"-"კიევოს" მატჩსაც (1:1) ბევრი რამის გარკვევა შეეძლო. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფრით არც ერთი მხარე არ უნდა იყოს კმაყოფილი. თუმცა ბოლოს რისკზე წასვლა არავის უნდოდა. სასიცოცხლოდ აუცილებელი 3 ქულა აილო "ლივორნომ", რომელმაც უმოტივაციო "სამპდორიას" აჯობა. "პარმა" ჩემპიონატის მიწურულსღა ათამაშდა. **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგეს, მაგრამ შეიძლება, ეს მხოლოდ "განწირულის სულისკვეთება" იყოს. ისე კი, იტალიური ფეხბურთის ყოფილ გრანდს ახლა უფრო მეტი აქვს გადარჩენის შანსი, ვიდრე ერთი თვის წინათ.

კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც გამარჯვებამ ცოტა შვება მოჰგვარა, "სიენაა", რომელმაც განახევრებული "ემპოლი" (5 წამყვანი მოთამაშე აკლდა) დაამარცხა. "კატანიისთვის" ნამდვილად საპატიოა (მხოლოდ საპატიო, და არა საკმარისი) ფრე "მილანთან", რომელსაც სერია A ათენის ფინალისთვის მზადების ეტაპად ექცა. სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება "მილანმაც" გაინაღდა და ამით წინასასეზონო ამოცანის მაქსიმუმი შეასრულა. **კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე** 65-ე წუთიდან ათამაშა...

### მომდევნო ტური

20 მაისი. კიევო-ასკოლი, სამპდორია-კატანია, მესინა-ფიორენტინა, ატალანტა-ინტერი, ტორინო-ლივორნო, ლაციო-პარმა, ემპოლი-რეჯინა, კალიარი-რომა, პალერმო-სიენა, მილანი-უდინეზე.

### ინტერი-ლაციო 4:3

ინტერი: ჟულიო სეზარი-6.5, მატერაცი-6.5, მაქსველი-6.5 (71. კამბიასო-6), ბურდისო-6, მაიკონი-6.5, ხ. ძანეტი-6, სოლარი-5.5 (46. ფიგუ-6), ვიეირა-6.5, სტანკოვიჩი-6, კრესპო-7.5, რეკობა-6.5 (64. გონსალესი-6).

ლაციო: ბალოტა-6, კრიბარი-6, ძაური-6.5, სივილია-5.5, მუტარელი-6.5 (80. ბელერი-შ.გ), ხიმენესი-6.5, ბეჰრამი-6.5, მუდინგაი-6, ლედესმა-6.5, როკი-7 (73. მაკინვა-6), პანდევი-7 (64. მანფრედინი-6).

გოლები: 0:1 პანდევი (3), 0:2 მუტარელი (4), 1:2 კრესპო (20), 2:2 კრესპო (35), 2:3 ლედესმა (41), 3:3 კრესპო (81), 4:3 მატერაცი (85)

გაძევება: სივილია (82. ლაციო)

გაფრთხილება: 1-2; კუთხური: 9-3; ჯარიმა: 14-12; თამაშგარე: 2-4; კარში დარტყმა: 19-16 (12-9); ბურთის ფლობა: 56%-44%.

მაყურებელი: 45 000

### რომა-ტორინო 0:1

რომა: კურჩი-6, კივუ-5, მ. ფერარი-5.5, კასეტი-5.5, პეროტა-5.5, ტადეი-6, ტონეტო-5.5 (75. როზი-შ.გ), ფატი-5 (69. პანუჩი-6), ვილჰელმსონი-5 (60. მანსინი-5.5), ტოტი-5, ვუჩინიჩი-5.

ტორინო: აბიატი-6, ი. ფრანჩესკინი-6 (51. ოგბონა-6), ბალესტრი-6, ო. ბრევი-6, კომოტო-6, დი ლორეტო-6, დე აშენტისი-6 (62. მარტინელი-6), ბარონე-5.5, არდიტო-6, როზინა-6, მუცი-6.5 (46. სტელონე-6).

გოლი: 0:1 მუცი (14)

გაფრთხილება: 1-5; კუთხური: 15-4; ჯარიმა: 11-21; თამაშგარე: 0-0; კარში დარტყმა: 25-7 (14-3); ბურთის ფლობა: 69%-31%.

მაყურებელი: 25 681

### კატანია-მილანი 1:1

კატანია: პანტანელი-7, სარდო-5.5, ვარგასი-6.5, სტოვინი-5.5, სეზარ ვინისიუ-6, კაზერტა-6, ბაიოკო-5.5, იცკო-5.5, ედუსეი-6, სპინეზი-6.5 (82. როსინი-შ.გ), მასკარა-5.5 (85. სილვესტრი-შ.გ).

მილანი: დიდა-6.5, მალდინი-6.5 (65. კალაძე-6), ნესტა-7, ოდო-6, იანკულოვსკი-6.5, ზეედორფი-7, გატუზო-6 (80. გურკუფი-შ.გ), კაკა-6, ბროკი-6, პირლო-6, ფ. ინძაგი-6 (65. ჯილარდინო-5.5).

გოლები: 0:1 ზეედორფი (6), 1:1 სპინეზი (61)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 9-2; ჯარიმა: 23-18; თამაშგარე: 3-5; კარში დარტყმა: 18-16 (12-9); ბურთის ფლობა: 38%-62%.

მაყურებელი: 8 000

### ფიორენტინა-კალიარი 1:0

ფიორენტინა: ფრეი-6.5, გამბერინი-6.5, პასკუალი-6, დაინელი-6.5, უიფალუში-6, მონტოლივო-6.5 (77. ბლაზი-შ.გ), იორგენსენი-6.5 (54. რეჟინალდო-6.5), პაციენცა-6, ლივერანი-7 (66. გობი-6), პაცინი-6.5, მუტუ-6.5.

კალიარი: კიმენტი-6, ლოპესი-5.5, დელ გროსო-5.5, კანინი-5.5, ფ. პიზანო-5.5 (45. ფერი-6), მარკინი-5.5 (77. კაპონე-შ.გ), ბუდელი-6, ბიონდინი-6, ლ. კოლუჩი-5.5 (67. ლანჯელა-6), პეპე-6, სუასო-6.5.

გოლი: 1:0 პაცინი (7)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 10-7; ჯარიმა: 15-17; თამაშგარე: 4-2; კარში დარტყმა: 15-9 (12-2); ბურთის ფლობა: 55%-45%.

მაყურებელი: 19 312

### სიენა-ემპოლი 2:0

სიენა: მანინგერი-6, რინაუდო-6.5, მოლინარო-6.5, პორტანოვა-7, ნეგრო-6 (52. გასტალდელო-6.5), ვერგასოლა-6, გალოპა-6.5, კონკო-6.5, ე. ბრევი-6 (59. კოდრეა-შ.გ), ფრიკი-6, ლოკატელი-6 (66. მაკარონე-6.5).

ემპოლი: ბასი-6, მარძორატი-5.5, ასკოლი-6, მარიანინი-5.5, ვანუკი-6 (46. ტოსტო-6), ბუშე-6, ფიჩინი-5.5, საუდატი-5 (65. კორალი-5), მატეინი-6 (80. კატურანო-შ.გ), ედერი-5.5.

გოლები: 1:0 პორტანოვა (12), 2:0 მაკარონე (90)

გაძევება: ვანილი (34. ემპოლი)

გაფრთხილება: 3-2; კუთხური: 3-5; ჯარიმა: 27-19; თამაშგარე: 4-4; კარში დარტყმა: 15-4 (7-2); ბურთის ფლობა: 40%-60%.

მაყურებელი: 10 000

### ასკოლი-პალერმო 3:2

ასკოლი: ელეფთეროპულოსი-6, მელარა-6, პეშე-6, დი ბიაჯო-შ.გ (5. ბელუში-6), მინიერი-6, პერული-5.5 (46. პ. ძანეტი-6.5), ბუდიანსკი-7, გუბერტი-6 (85. ჯამპა-შ.გ), ბონანი-6, სონჩინი-6.5, პაოლუჩი-6.

პალერმო: ალიარდი-4, ბიავა-5.5, ძაკარდო-6, ბარძალი-5.5, კასანი-5.5 (60. მ. პიზანო-5.5), ბრეშანო-5.5, გუანა-6 (77. ბრიენცა-შ.გ), კორინი-6, სიმპლისიუ-5.5, მატუსიაკი-6.5 (51. კარაჩოლო-5.5), დი მიკელე-5.5.

გოლები: 0:1 სიმპლისიუ (10), 1:1 ბუდიანსკი (25), 1:2 მატუსიაკი (31), 2:2 პაოლუჩი (47), 3:2 ბუდიანსკი (61)

გაძევება: სიმპლისიუ (80. პალერმო)

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 3-6; ჯარიმა: 21-23; თამაშგარე: 2-9; კარში დარტყმა: 18-11 (9-9); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 5 000

### ლივორნო-სამპდორია 1:0

ლივორნო: მანიტა-შ.გ, პასკუალე-6.5 (87. პფერტცელი-შ.გ), გალანტე-6, გრანდონი-6, პავანი-6, ა. ფილიპინი-7, ბალერი-6.5 (66. პაულინიო-შ.გ), მორონე-6.5, ფიორე-6 (75. კოპოლა-შ.გ), პასონი-6, კ. ლუკარელი-7.

სამპდორია: კასტელაცი-7, აკარდი-6, ფალკონე-6, მაჯო-6, პიერი-6, პალომბო-5.5, პაროლა-5 (58. დ. ფრანჩესკინი-5), ოლივერა-6 (70. ჯ. დელვეკიო-5), ვოლპი-6, ციგლერი-5.5 (46. კ. ძენონი-5), კვალიარელა-5.

გოლი: 1:0 ა. ფილიპინი (72)

გაფრთხილება: 3-1; კუთხური: 11-2; ჯარიმა: 19-15; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 18-11 (10-7); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 13 000

### უდინეზე-ატალანტა 2:3

უდინეზე: დე სანქტისი-6 (46. კაზაცა-6), ზაპოტოჩნი-5.5, ნატალი-6, მოტა-5, საპატა-6, გ. დ'აგოსტინო-6.5, სიკეირა-6 (58. გოტი-6), მუნტარი-6, ზივოკი-6 (46. დე მარტინო-6), ბარეტო-6.5, გიანი-7.5.

ატალანტა: კალდერონი-5.5, ტალამონტი-5.5 (57. ლორია-6), ბელინი-6, კაროციერი-6, ადრიანო პერეირა-6, არიატი-6, დონატი-6.5 (69. ბერნარდინი-6), ტისონე-7, პინტუ-6.5, მილიაჩო-6, ძამპანია-7 (54. ვიერი-6).

გოლები: 1:0 გიანი (28), 1:1 ძამპანია (45-პენ), 2:1 გიანი (68), 2:2 ტისონე (74), 2:3 ვიერი (86)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 8-5; ჯარიმა: 21-17; თამაშგარე: 1-5; კარში დარტყმა: 19-13 (9-9); ბურთის ფლობა: 57%-43%.

მაყურებელი: 13 652

### რეჯინა-კიევო 1:1

რეჯინა: კამპანიოლო-7, დი დიო-5.5 (83. ნარდინი-შ.გ), მოდესტო-6, ა. ლუკარელი-6, ლანძარო-6, ჯაკ. ტედესკო-6.5, ვიჯანი-5.5, ამერინი-5 (80. გაცი-შ.გ), ბიანკი-6 (90. მისიროლი-შ.გ), ამორუზო-6, ფოჯა-5.5.

კიევო: სკუიცი-6, რიკლერი-6, ლანა-6, მანდელი-6.5, მალაგო-6, სემიოლი-7 (88. მარკეზე-შ.გ), მარკოლინი-6, ბრიგი-7, სამარკო-6.5, ბოგდანი-6 (67. ობინა-6), პელისიე-6.5 (87. კოსატო-შ.გ).

გოლები: 0:1 საძარკო (51), 1:1 ბიანკი (53)

გაფრთხილება: 3-2; კუთხური: 3-7; ჯარიმა: 13-25; თამაშგარე: 4-2; კარში დარტყმა: 6-17 (4-10); ბურთის ფლობა: 58%-42%.

მაყურებელი: 15 000

### პარმა-მესინა 4:1

პარმა: ბუჩი-6, პაჩი-6.5, კასტელინი-6.5, ფერნანდო კოუტუ-6 (50. ფერონეტი-6), ბოლი-6, გრელა-6.5, პარავიჩინი-6.5, გასბარონი-7, ბუდანი-6 (67. [illegible]-6), ჯ. როსი-7 (53. პაპონი-6), მუსლიმოვიჩი-6.5.

მესინა: პაოლეტი-5, მორელო-5, პარიზი-5 (81. გომზი-შ.გ), ძანკი-5, კანდელა-5, ჯალომბარდო-5, დ'აევერსა-6, ლავეკია-5 (64. ალვარესი-5.5), მაზიელო-5 (64. დე ვეცე-5.5), პესტრინი-4.5, რიგანო-5.5.

გოლები: 1:0 ჯ. როსი (23), 2:0 მუსლიმოვიჩი (29), 3:0 ჯ. როსი (31), 4:0 გასბარონი (34), 4:1 რიგანო (87)

გაფრთხილება: 1-3; კუთხური: 4-4; ჯარიმა: 7-12; თამაშგარე: 0-3; კარში დარტყმა: 16-10 (10-6); ბურთის ფლობა: 57%-43%.

მაყურებელი: 14 700

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 36 | 29 | 6 | 1 | 76-33 | 93 |
| 2. რომა | 36 | 21 | 9 | 6 | 68-28 | 72 |
| 3. ლაციო | 36 | 18 | 10 | 8 | 58-31 | 61 |
| 4. მილანი | 36 | 18 | 12 | 6 | 55-31 | 61 |
| 5. ფიორენტინა | 36 | 20 | 9 | 7 | 55-28 | 54 |
| 6. ემპოლი | 36 | 14 | 11 | 11 | 38-37 | 53 |
| 7. პალერმო | 36 | 14 | 10 | 12 | 54-49 | 52 |
| 8. ატალანტა | 36 | 12 | 13 | 11 | 53-49 | 49 |
| 9. სამპდორია | 36 | 12 | 10 | 14 | 42-43 | 46 |
| 10. უდინეზე | 36 | 11 | 10 | 15 | 45-51 | 43 |
| 11. ლივორნო | 36 | 9 | 12 | 15 | 37-52 | 39 |
| 12. ტორინო | 36 | 10 | 9 | 17 | 27-44 | 39 |
| 13. პარმა | 36 | 9 | 11 | 16 | 38-55 | 38 |
| 14. კატანია | 36 | 9 | 11 | 16 | 44-67 | 38 |
| 15. სიენა | 36 | 8 | 14 | 14 | 32-42 | 37 |
| 16. კალიარი | 36 | 8 | 13 | 15 | 31-44 | 37 |
| 17. რეჯინა | 36 | 11 | 14 | 11 | 47-47 | 36 |
| 18. კიევო | 36 | 8 | 12 | 16 | 37-46 | 36 |
| 19. მესინა | 36 | 5 | 10 | 21 | 32-63 | 25 |
| 20. ასკოლი | 36 | 4 | 12 | 20 | 34-65 | 24 |

ბომბარდირები: 22 - ტოტი (რომა); 18 - ბიანკი (რეჯინა), კ. ლუკარელი (ლივორნო); 17 - სპინეზი (კატანია); 16 - ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა), რიგანო (მესინა), როკი (ლაციო); 14 - ამორუზო (რეჯინა), კრესპო (ინტერი), იაკუინტა (უდინეზე); 13 - კ. დონი (ატალანტა), სუასო (კალიარი).

## სერია B

XXXIX ტური

**იუვენტუსი-ბოლონია 3:1**

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (66. ბირინდელი), ბუმსონგი, კიელინი, ბალცარეტი, მარკიონი, ჯანიკედა (26. კ. ძანეტი), მარკიზიო, პალადინო (76. ჯოვინკო), დელ პიერო, ტრეზეგე.

გოლები: 0:1 ბელუჩი (27), 1:1 დელ პიერო (37), 2:1 დელ პიერო (86-პენ), 3:1 ტრეზეგე (90)

გაძევება: ტერცი (85. ბოლონია), მარაცინა (87. ბოლონია)

**კროტონე-არეცო 1:2**

გოლები: 1:0 რანოკია (2-საკ. კარში), 1:1 რანოკია (35), 1:2 მარტინეტი (41)

**ვერონა-ფროზინონე 2:2**

გოლები: 1:0 უილიამი (10), 1:1 დი ნარდო (30), 1:2 მარჯოტა (32), 2:2 ლუნკო (52)

**რიმინი-ბარი 0:1**

გოლი: 0:1 სანტორუვო (58)

**ტრევიზო-ჩეზენა 1:1**

გოლები: 0:1 ფოიდისი (40), 1:1 ფავა (53)

გაძევება: ვიალი (57. ტრევიზო)

**ლეჩე-სპეცია 0:1**

გოლი: 0:1 ვარიკიო (82)

**პიაჩენცა-პესკარა 3:1**

გოლები: 1:0 ნოჩერინო (16), 2:0 ნოჩერინო (20), 2:1 ანტონელი (60), 3:1 სიმონი (89)

**მოდენა-მანტოვა 2:2**

გოლები: 0:1 კარიდი (7-პენ), 0:2 გოდეასი (23), 1:2 კამპედელი (84), 2:2 ლონგო (90)

**ჯენოა-ტრიესტინა 3:2**

გოლები: 1:0 მილანეტო (6-პენ), 2:0 გასპარეტო (11), 2:1 გალეოტო (41-საკ. კარში), 3:1 დი ვაიო (59), 3:2 ელიაკვუ (82)

გაძევება: ტესტინი (44. ტრიესტინა)

**ალბინოლეფე-ვიჩენცა 0:0**

**ბრეშა-ნაპოლი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 38 | 26 | 10 | 2 | 74-25 | 79 |
| 2. ჯენოა | 38 | 22 | 7 | 9 | 63-41 | 73 |
| 3. ნაპოლი | 37 | 18 | 14 | 5 | 46-27 | 68 |
| 4. მანტოვა | 38 | 14 | 19 | 5 | 45-30 | 61 |
| 5. რიმინი | 38 | 15 | 15 | 8 | 48-31 | 60 |
| 6. პიაჩენცა | 38 | 18 | 6 | 14 | 51-46 | 60 |
| 7. ბოლონია | 38 | 16 | 10 | 12 | 44-38 | 58 |
| 8. ბრეშა | 37 | 15 | 10 | 12 | 40-39 | 55 |
| 9. ალბინოლეფე | 38 | 10 | 20 | 8 | 39-36 | 50 |
| 10. ლეჩე | 38 | 14 | 7 | 18 | 47-50 | 49 |
| 11. ჩეზენა | 38 | 12 | 12 | 14 | 48-58 | 48 |
| 12. ვიჩენცა | 38 | 11 | 14 | 13 | 39-35 | 47 |
| 13. ტრევიზო | 38 | 10 | 15 | 13 | 39-41 | 45 |
| 14. ბარი | 38 | 10 | 13 | 15 | 32-38 | 43 |
| 15. სპეცია | 38 | 10 | 13 | 15 | 42-51 | 43 |
| 16. ფროზინონე | 38 | 10 | 13 | 15 | 37-49 | 43 |
| 17. ტრიესტინა | 38 | 10 | 14 | 14 | 33-45 | 43 |
| 18. მოდენა | 38 | 10 | 11 | 17 | 34-43 | 41 |
| 19. ვერონა | 38 | 9 | 12 | 17 | 26-41 | 39 |
| 20. არეცო | 38 | 10 | 14 | 14 | 36-40 | 38 |
| 21. კროტონე | 38 | 7 | 11 | 20 | 32-59 | 32 |
| 22. პესკარა | 38 | 5 | 10 | 23 | 32-64 | 24 |

ბომბარდირები: 18 - დელ პიერო (იუვენტუსი); 17 - ბელუჩი (ბოლონია); 15 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 14 - კაჩა (პიაჩენცა); 12 - კალაიო (ნაპოლი), ტრეზეგე (იუვენტუსი); 11 - კარიდი (მანტოვა), შვოხი (ვიჩენცა); 10 - ვედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), ნედვედი (იუვენტუსი), პოსანცინი (ბრეშა).

## სერია C/1

XXXIV ტური

ივრეა-მასეზე 1:2; პადოვა-გროსეტო 0:1; სანჯოვანეზე-სასუოლო 2:3; პისტოიეზე-ლუკეზე 2:2; პავია-პრო სესტო 1:2; მონცა-პიციგეტონე 2:1; კრემონეზე-ჩიტადელა 0:0; პროპატრია-ნოვარა 1:0; ვენეცია-პიზა 1:0.

## სერია C/2

XXXIV ტური

სამბენედეტეზე-გალიპოლი 4:2; რავენა-ფოჯა 2:1; ტარანტო-აველინო 1:2; კავეზე-სალერნიტანა 1:1; სან მარინო-ანკონა 1:3; მანფრედონია-მარტინა 2:2; ლანჩანო-იუვე სტაბია 0:0; ჯულიანოვა-პერუჯა 2:4; ტერნანა-ტერამო 2:0.

კალჩოპოლის ახალი ტალღა

# მე ვიტყვი სიმართლეს!

## იუვენტუსის ყოფილმა დირექტორმა გუდას პირი მოხსნა...

გასულ ზაფხულს, იტალიურ ფეხბურთში აგორებულმა სკანდალმა თითქოს ყველას თავისი ადგილი მიუჩინა - დასასჯელი დაისაჯა, დასაქვეითებელი დაქვეითდა, სკუდეტოც "დაჩაგრულს" გადაეცა... მოკლედ, დიდი ამბები მოხდა ზედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ. მერე იტალიის ნაკრებმა მუნდიალი მოიგო და თითქოს ყველას დაავიწყდა ზაფხულის ცივი შხაპი. მაგრამ საგამოძიებო კომისია მუშაობას აგრძელებს. ამას წინათ, სკანდალში "ინტერის" ჩათრევის მცდელობაც იყო. დისკვალიფიცირებულმა არბიტრმა **მასიმო დე სანტისმა** ანგარდაცვლილ **ჯაჩინტო ფაკეტის** დაადო ხელი - მოჯი არა და, "ინტერის" პრეზიდენტი კი ხშირად მირეკავდაო...

და ჰა, კიდევ ერთი ამბავი, რომელიც "რეპუბლიკაში" გამოქვეყნებული ინტერვიუთი გახმაურდა. პოპულარული გამოცემის კითხვებს "იუვენტუსის" ერთ-ერთმა ყოფილმა დირექტორმა **მაურიციო კაპობიანკომ** უპასუხა. მაგრამ პასუხიც არის და პასუხიც - კაცმა, რომელიც "ბიანკონერიში" 1984-დან 2005 წლამდე მუშაობდა, გუდას პირი მოხსნა. თუ გამოძიება ამ საქმეებს ჩაუჯდა, ხოლო ბატონი მაურიციო მართალი აღმოჩნდა, "იუვენტუსი" უფრო ადრეულ სკუდეტოებსაც გამოემშვიდობება, თუ მარტო ეს აკმარეს და სერია A-სთვის გამზადებული, მთლად სამოყვარულო ლიგაში არ მოისროლეს...

ვიდრე კაპობიანკოს ნაუბარზე გეტყოდეთ, გაგაცნობთ ერთ პატარა განცხადებას, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სახელით, ამავე უწყების სპეციალური საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ **ფრანჩესკო სავერიო ბორელიმ** გააკეთა:

*"ფედერკალჩოს საგამოძიებო კომიტეტი მიმართავს მაურიციო კაპობიანკოს, გამოცხადდეს კომიტეტის მოსმენაზე და გაზეთ "რეპუბლიკაში" მოყვანილი ფაქტები დაადასტუროს, ან უარყოს. ბატონ კაპობიანკოს ვაძლევთ წინადადებას, დაასახელოს სხვა პირებიც, რომლებიც შეიძლება, ამ საქმეებში პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობდნენ. თუ კომიტეტი არ დაკმაყოფილდება მისი მონათხრობით, ანუ, მტკიცებულებები არ იქნება დამაჯერებელი და სანდო, "იუვენტუსის" ყოფილი დირექტორი რისკავს, რომ ცილისწამებისთვის განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს. ამიტომ, ჩვენ მოვუწოდებთ მას, ითანამშრომლოს კომიტეტთან, რათა დაამტკიცოს, რომ მის ბრალდებებს მყარი საფუძველი გააჩნია".*

მაინც, რა თქვა ასეთი ამ კაცმა? მოდით, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და მოვუსმინოთ "იუვენტუსის" ყოფილ ჩინოსანს: *"2005 წლის დასაწყისში ჩემთვის ცნობილი გახდა სულ მცირე ოთხი ფაქტი, როცა "იუვე" ძვირფასი ნივთებითა და ფულით ასაჩუქრებდა მსაჯებს (თითოეულს 10 ათასი ევროთი), ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებსა და ანტისადოპინგო კომიტეტის წევრებს. ცხადია, ეს ხდებოდა ვიღაც მესამე პირის საშუალებით, და ალბათ, ეს ის პირი იყო, ვინც მსაჯებისგან ნდობით სარგებლობდა. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა 1995 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა კლუბში ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო მოვიდნენ".*

ესე იგი, 1995 წელი... არადა, "კალჩოპოლის" საქმე მხოლოდ ბოლო სამი წლის ფაქტებს მოიცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკანდალის მასშტაბები იზრდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კაპობიანკო სიმართლეს ლაპარაკობს. კი მაგრამ, სად იყავით აქამდეო, - ეკითხება ჟურნალისტი:

*"რატომ აქამდე არ ვთქვი? ვიდრე "კალჩოპოლი" მთელი ძალით იფეთქებდა, ამ ფაქტებს მხოლოდ ფრაგმენტულად ვხედავდი, მაგრამ როცა გამოძიებამ დეტალები გამოამზეურა და ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, როგორ ანგრევდა ეს ხალხი უმდიდრესი ტრადიციის მქონე კლუბის ისტორიასა და რეპუტაციას. და ისინი ამას მსაჯებისა და ჟურნალისტების დახმარებით აკეთებდნენ".*

ჟურნალისტებიო? კი, მაგრამ რა შუაში არიან ჩვენი კოლეგები? როგორც კაპობიანკო ამტკიცებს, "იუვენტუსი" კონტრაქტებს უფორმებდა იმ კომპანიებს, რომლებიც ახლოს იდგნენ ამა თუ იმ ჟურნალისტთან. ეს იყო ერთგვარი "საკომუნიკაციო პროექტები" და ისინი მაშინვე წყდებოდა, როგორც კი "ბებერ ქალბატონს" სკუდეტოს ჩაახუტებდნენ. გამოდის, რომ მოჯი ირიბად "ყიდულობდა" მასმედიას...

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი იმაზე, თუ როგორ ფინანსდებოდა "ულტრასებად" წოდებული "იუვეს" ქომაგთა რადიკალური ფრთა. "მბრალდებლის" მონაყოლით, 2003 წელს ტურინული გრანდის აქციათა 30 პროცენტი იყიდა კომპანია "სემანამ", რომლის ფულიც, უხეშად რომ ვთქვათ, პირდაპირ ტიფოზების ჯიბეში მიდიოდა. ისინი ამ ფულის ნაწილით ქირაობდნენ ქორეოგრაფებს, ამზადებდნენ ბანერებს, გიგანტურ დროშებსა და ათასგვარ ატრიბუტიკას. ერთი შეხედვით, ეს საკლუბო ტრადიციების უწყინარ პროპაგანდად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში, კაპობიანკო მინიშნებას აკეთებს ათეულათასობით ევროზე, რომელიც კლუბის ბუღალტერიის მიერ "ირეცხებოდა".

ყოფილი დირექტორი უყურადღებოდ არც დღევანდელ უფროსობას ტოვებს. ის ამტკიცებს, რომ "კალჩოპოლის" შემდეგ "იუვენტუსში" ბევრი არაფერი შეცვლილა: *"დღეს ყველა გადაწყვეტილებას გენერალური დირექტორი ალესიო სეკო იღებს. თავის დროზე ის მოჯის მარჯვენა ხელი იყო და მის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა. პოსტი შეინარჩუნა რენატო ოპეციმაც, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა ჯირაუდოს მითითებებს. და ფინანსური დირექტორი მიშელ ბერჟერო? ან მარკეტინგის დირექტორი ფასონე? ისინი ხომ დღესაც "იუვენტუსში" არიან?! და მერე ამას ახალ "იუვეს" ეძახიან. თავად განსაჯეთ, ეს ხომ ისევ ის "იუვენტუსია". რა შეიცვალა მოჯისა და ჯირაუდოს წასვლით? არც არაფერი! ჩვენ იგივე სახეებს ვხედავთ".*

მოჯის ძლევამოსილებაზე საუბარს კაპობიანკო კიდევ ერთი ადრეული ამბით ასრულებს. ლუჩანონეს, თურმე, თვით უეფაც გაუჩუმებია: *"შეძრული ვიყავი, როგორ მიაჩუმათეს საქმე, რომელიც ერთ-ერთი იუვენტუსელის დოპინგზე ჩავარდნას ეხებოდა. ამის თაობაზე კლუბსა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას უეფამ შეატყობინა. ეს მოხდა 1997 წელს, ანუ, ერთი წლით ადრე, ვიდრე ის ცნობილი სკანდალი აგორდებოდა, როცა დოპინგის თემა პირველად ზდენეკ ზემანმა გამოიტანა სამსჯავროზე. ხომ გესმით, რას ნიშნავს, როცა უეფასთვის ცნობილი ხდება დოპინგის გამოყენების ფაქტი? მაგრამ მოჯიმ შეძლო და უეფაც კი გააჩუმა".*

მოკლედ, ეს იყო მთავარი, რაც კაპობიანკომ "რეპუბლიკას" უამბო. ბუნებრივია, "იუვენტუსის" რეაქციამაც არ დააყოვნა. "ქალბატონის" განცხადებაში ვკითხულობთ: *"ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ უსუსური ხერხებით მოახდინონ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. ბატონ კაპობიანკოს ერთადერთი მიზანი საკუთარი პერსონის გადარჩენაა. თუ საჭირო იქნება, მზად ვართ, ვუპასუხოთ საგამოძიებო კომიტეტის კითხვებს. კაპობიანკოს სწორედ იქ შევხვდებით და სიმართლესაც გავარკვევთ. "იუვენტუსი" დღეს ნამდვილად სუფთაა. ნოემბერში დამტკიცებული ახალი საკლუბო სტრუქტურა დირექტორატისგან სრულ ნდობას იმსახურებს".*

ერთი სიტყვით, საინტერესო ამბები გველოდება. შეიძლება, იტალიური ფეხბურთისთვის ეს ზაფხულიც შფოთიანი იყოს. კაპობიანკომ ბევრი საყურადღებო რამ თქვა და ალბათ, გამოძიება ახალი ძალით შეუდგება მუშაობას. "კალჩოპოლის" დასასრული არ უჩანს...

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

# დორტმუნდმა შალკე მოკლა!

## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩემპიონი შტუტგარტი ხდება!



რურის დიდი დერბი. ვიორნსმა კურანის არაფერი გააბედინა

"შტუტგარტი" გერმანიის ჩემპიონი? ეს სენსაციაა, უდიდესი სენსაცია, რადგან შვაბებს არ ჰყავთ ისეთი შემადგენლობა, როგორიც "შალკეს", "ვერდერსა" და "ბაიერნს"... ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ამ თვალსაზრისით, VFB ვერც "ჰამბურგს" სჯობნის და ვერც თუნდაც იმ "დორტმუნდს", რომელმაც მხოლოდ ახლახან გაინაღდა ელიტაში დარჩენა და ინტერტოტოს თასის საგზურისთვის იბრძვის. "შტუტგარტი" საკმაოდ კარგად დაბალანსებული, მაგრამ უვარსკვლავო გუნდია, რომელმაც სტაბილურად ითამაშა მეორე წრეში და მხოლოდ და მხოლოდ, იმის გამო ხდება გერმანიის ჩემპიონი, რომ "შალკე" და "ვერდერი" უთავმოყვარეო გუნდები არიან (ალარაფერს ვამბობთ "ბაიერნზე", რომელიც პირველობისთვის ბრძოლას სამი კვირის წინათ გამოეთიშა). "ვერდერის" უთავმოყვარეობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ბრემენელებმა შაბათს საკუთარ მოედანზე თითქმის უმოტივაციო "აინტრახტთან" 1:2 წააგეს. "შალკელებმა" კი მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონ ის, რომ ზუსტად ისევე მოუხდათ ტირილი და გოდება, როგორც 2001 წელს. **მირკო სლომკას** გუნდმა დორტმუნდში ძალიან ცუდად ითამაშა და მოსისხლე მტერთან სამართლიანად დამარცხდა. მართალია, გელზენკირხენულ კლუბს ფეხი ბოლოს "ბორუსიამ" დაუდო და წააქცია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ "შალკემ" "ვერცხლის სინი" დორტმუნდში დაკარგა, რადგან სლომკას გუნდმა მეორე წრეში არაერთი ქულა გაატანა ქარს (გაიხსენეთ, თუნდაც "ლევერკუზენთან" და "ჰამბურგთან" წაგებები "აუფ შალეზე"). და ესეც არ იყოს, გელზენკირხენელებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დორტმუნდში მოგება წარმოუდგენლად გაუჭირდებოდათ. ჰო, "შალკესთვის" ჯერ არაფერი დამთავრებულა, რადგან ბოლო ტურის წინ "ხუმარები" "შტუტგარტს" ორი ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ ძალიან რთული წარმოსადგენია ის, რომ შვაბებმა საკუთარ მოედანზე "კოტბუსი" ვერ დაამარცხონ.

რა შეიძლება მოხდეს ბოლო ტურში? "შტუტგარტი" "ენერგისთან" მოგების შემთხვევაში ჩემპიონი ხდება, ხოლო თუ ეს შეხვედრა ფრედ დასრულდება, მაშინ "შალკემ" "არმინია" მინიმუმ ოთხბურთიანი უპირატესობით უნდა დაამარცხოს, რადგან მხოლოდ ასე თუ აჯობებს VFB-ს გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობით. და თუ "კოტბუსმა" სასწაული მოახდინა და შტუტგარტში მოიგო (გაითვალისწინეთ, რომ "ენერგის" არანაირი მოტივაცია აღარ აქვს), მაშინ "შალკეს" "არმინიასთან" ნებისმიერი ანგარიშით მოგება დააკმაყოფილებს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბუნდესლიგა 2006/07 უდიდესი სენსაციით დასრულდება, რადგან სეზონის დასაწყისში, როცა **ჯოვანი ტრაპატონის** გაგდების შემდეგ შვაბები სრულ გაურკვევლობაში იყვნენ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ "შტუტგარტი" 33-ე ტურის შემდეგ პირველ ადგილზე იქნებოდა. მაინც, როგორ და რა გზით მიაღწიეს შვაბებმა ამ ყველაფერს და რას წარმოადგენს მათი მწვრთნელი **არმინ ფეე**? ამაზე დაწვრილებით ამ კვირაში ვისაუბრებთ, ახლა კი, უბრალოდ იმას შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში "შტუტგარტი" მხოლოდ ერთხელ იყო ბუნდესლიგის ლიდერი (მე-12 ტურში, "ჰანოვერის" 2:1-ზე დამარცხების შემდეგ) და მაშინაც ეგრევე დაკარგა პირველი ადგილი (წააგო რა "ბაიერნთან", 1:2). ამასთან, შვაბები მხოლოდ 6-ჯერ იყვნენ მეორე ადგილზე! მოკლედ, "კოტბუსთან" მოგებაც და "შტუტგარტი" მეხუთედ იჩემპიონებს (ბუნდესლიგას კი, რომელიც 1963 წელს დაარსდა, მესამედ მოიგებს) - ეს გუნდი "ვერცხლის სინს" ბოლოს 15 წლის წინათ (1991/92 წლების სეზონში) ფლობდა...

დავუბრუნდეთ "შალკესა" და ამ გუნდის უბედურებას. გერმანიის დროით 17 საათსა და 18 წუთზე, რურის დიდი დერბის მთავარმა მსაჯმა **ჰერბერტ ფანდელმა** საფინალო სასტვენი მისცა, რითაც შალკელებს ოცნების კოშკები ალბათ, საბოლოოდ დაუნგრია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ფეხბურთით, რაც "ხუმარებმა" დორტმუნდში აჩვენეს, მათ ჩემპიონობა არ დაიმსახურეს, თუმც არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ ფანდელის სასტვენის შემდეგ აბსოლუტურად ყველა შალკელი ტიროდა. გელზენკირხენელთა იმედგაცრუება და ნაღველი ათმაგი გახლდათ, რადგან ისინი "ბორუსიასთან" დამარცხდნენ. 2001 წელს "შალკემ" ბოლო ტურში, ბოლო წამებზე დაკარგა "ვერცხლის სინი", 2005-ში, 25-ე ტურის შემდეგ "ხუმარები" 3 ქულით უსწრებდნენ "ბაიერნს", მაგრამ მერე ისევ ჩაისვარეს და ბოლოს მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ, ახლა კი ბოლოსწინა ტურში დასამარდნენ - ნუთუ "შალკე" ვერასდროს გახდება ჩემპიონი? სლომკა, საერთოდ, ცალკე სასაუბრო თემაა, თუმცა აქ მაინც უნდა ვთქვათ, რომ მირკომ **თომას დოლთან** ტაქტიკური ბრძოლა წააგო. დოლი მწვრთნელია, შესაძლოა, არა საუკეთესო, მაგრამ მაინც მწვრთნელია. სლომკა კი... აი, ეს ჯერაც საკითხავია...

*"გული მტკივა, რადგან საჩემპიონო გუნდი მყავს,"* - განაცხადა "შალკეს" თავკაცმა ნამატჩევს და როგორც ხედავთ, ფაქტობრივად, თვითონვე აღიარა, რომ ამ გუნდს არ ჰყავს ღირსეული მწვრთნელი, მერე კი იქვე დაამატა, - *"მეორე ადგილი? რა თავში ვიხლით?!"* არსად ჩანდა **ლინკოლნი**, დორტმუნდელთა პირველი გოლის დროს გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს კაპიტანმა **ბორდონმა** და **პანდერმა**, **კევინ კურანის** კი, ერთი საგოლე შანსიც არ ჰქონია. BVB-მ კი ისე ითამაშა, თითქოს ამ სეზონში ელიტაში დარჩენისთვის კი არა, მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა. ჩინებული იყო "რეალისკენ" გეზაღებული **მეტცელდერი**, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა, გრანდიოზული იყო **ალექს ფრაი**, რომელმაც დანაპირები აასრულა და შავ-ყვითელთა ფანებისთვის საძულველ გუნდს გოლი გაუტანა. და რომ არა **ნოიერი**, "შალკე" სულაც განადგურდებოდა. მეორე გოლი **ები სმოლიარეკის** ანგარიშზეა და ამ გოლმა საბოლოოდ ცხადი გახადა ის, რაზეც მთელი გერმანია ბჭობდა: "დორტმუნდმა" "შალკე" გაამწარა! *"თქვენ ვერასდროს გახდებით გერმანიის ჩემპიონები!"* - სკანდირებდნენ ბოლოს "ბორუსიის" ფანები და ამ სიტყვებით თითოეულ გელზენკირხენელს გული მოუკლეს.

*"ჩემპიონი შტუტგარტი გახდება!"* - ეს კი იმ 6 000 შვაბის შეძახილია, ვინც "შტუტგარტს" ბოხუმში ჩაჰყვა. "რურშტადიონზე" VFB ორჯერ აგებდა, მაგრამ "შალკესგან" განსხვავებით, რომელიც ორი კვირის წინათ ამავე მოედანზე 1:2 დამარცხდა, ფეეს გუნდმა "ბოხუმს" მაინც მოუგო. გარდამტეხი **მარიო გომესის** გოლი გახლდათ, კაცისა, რომელიც გუნდს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა - სუპერმარიო მოედანზე 55-ე წუთზე შევიდა და 6 წუთში წონასწორობა აღადგინა. საბედისწერო გოლი კი **კაკაუს** ანგარიშზეა (72). მატჩის ერთ-ერთი გმირი **ტიმო ჰილდებრანდი** იყო, რომელმაც ბოლო წუთზე **დაბროვსკის** დარტყმა სასწაულებრივ ნახტომში მოიგერია.

გაირკვა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული სამივე გუნდის ვინაობაც. მიონხენგლადბახის "ბორუსიის" შემდეგ, "მაინცი" და "ალემანია" გაუბედურდნენ. აახენელებმა "ვოლფსბურგს" ვერ მოუგეს (2:2), "მაინცმა" კი "გლადბახს" გადაურბინა (3:0), მაგრამ რად გინდა... მართალია, "მგლები" ამ ორ გუნდს მხოლოდ 3 ქულით უსწრებენ, მაგრამ ბურთების შეფარდება ორივეზე გაცილებით უკეთესი აქვთ: "ვოლფსბურგი"- მინუს 6, "ალემანია" - მინუს 20, "მაინცი" - მინუს 20.

**მომდევნო ტური**

**19 მაისი. ვოლფსბურგი-ვერდერი, აინტრახტი-ჰერტა, ლევერკუზენი-ბორუსია (დ), ჰანოვერი-ნიურნბერგი, ბაიერნი-მაინცი, შალკე-არმინია, ბორუსია (მ)-ბოხუმი, ჰამბურგი-ალემანია, შტუტგარტი-კოტბუსი.**



გომესი და კაკაუ, მომავალი ჩემპიონები?

### ბოხუმი-შტუტგარტი 2:3

**ბოხუმი:** დრობნი-3.5, შრიოდერი-4, მალტრიტცი-3.5, იაია-4 (46. დრშეკი-4), ბუტშერი-3.5 (78. ილიჩევიჩი), მიშიმოვიჩი-3.5, დაბროვსკი-3, ცდებელი-4, გროტე-4 (64. ბიონიგი-4), ეპალე-4, გეკასი-4.5.

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-2.5, ოსორიო-3.5 (55. ა. და სილვა-3.5), ტასკი-4, დელპიერი-4.5, მანინი-3, პარდო-3, ხედირა-3.5, ჰიტცლშპერგერი-2.5, ლაუთი-4.5 (55. გომესი-3), ჰილბერტი-4, კაკაუ-2 (88. შტრელერი).

**გოლები:** 1:0 შრიოდერი (4), 1:1 ჰიტცლშპერგერი (24), 2:1 მალტრიტცი (42), 2:2 გომესი (61), 2:3 კაკაუ (72).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 13-24; **კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 12-12; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 31 328.

### ბორუსია (დ)-შალკე 2:0

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, მეტცელდერი-2, ბრჟენსკა-3, ვიორნსი-3, დედე-3.5, კრუსკა-3, კრინგე-3.5, ტინგა-3.5 (71. გორდონი), პიენაარი-4 (71. ნ. შაჰინი), სმოლიარეკი-2, ფრაი-2 (83. ვალდესი).

**შალკე:** ნოიერი-2.5, რაფინია-4 (73. ლარსენი), ბორდონი-3.5, კრსტაიჩი-4.5, პანდერი-4, ერნსტი-3.5, ჰამით ალთინთოფი-4.5, ლინკოლნი-4.5, ასამოა-5 (63. ჰალილ ალთინთოფი-4.5), კურანი-5, იოზილი-3.5 (79. კობიაშვილი).

**გოლები:** 1:0 ფრაი (44), 2:0 სმოლიარეკი (85).

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 17-19; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 28-20; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 80 708.

### ვერდერი-აინტრახტი 1:2

**ვერდერი:** ვიზე-3.5, ფრიტცი-3.5, პასანენი-5 (56. დ. იენსენი-4), ნალდო-4, ვომე-4, ბაუმანი-3.5, ფრინგსი-3.5, ჰანტი-3 (73. მერტეზაკერი), დიეგო-4, კლოზე-5, როზენბერგი-4 (62. ალმეიდა-4.5).

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3.5, ოხსი-3, კირიაკოსი-4, ვასოსკი-3.5, შპიხერი-3.5, შტრაიტი-3 (78. რუსი), ფინკი-3, ჰუგელი-3.5 (75. პროისი), კიოლერი-3, ამანატიდისი-2, ტაკაჰარა-3.5 (85. ტოსკი).

**გოლები:** 0:1 ამანატიდისი (14), 1:1 ჰანტი (34), 1:2 ნალდო (69-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 23-20; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 9-16; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 42 100.

### ალემანია-ვოლფსბურგი 2:2

**ალემანია:** ჰესე-3, კასპერი-4, შტელე-2.5, სიჩონი-3, ლეივაკაბესი-5 (88. იოზგენი), მ. ლემანი-2.5, რეგეკამპფი-3, ფილი-4, პინტუ-3 (77. კრონტირისი), ებერსი-5 (62. ნემეტი-3), რიოსლერი-2.

**ვოლფსბურგი:** იენტცში-2.5, კიროგა-4, ჰოფლანდი-4, მადლუნგი-3, ვან დერ ჰეიდენი-3.5, ვან დერ ლეეგტე-3, მაკიადი-3.5 (76. ლამპრეხტი), კრჟინოვეკი-4 (90. შარპეი), მარსელინიო-3, კლიმოვიჩი-3.5, ბოაკი-4.5 (76. ჰილი).

**გოლები:** 1:0 მ. ლემანი (65-პენ), 2:0 ნემეტი (68), 2:1 ლამპრეხტი (81), 2:2 კლიმოვიჩი (86).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 15-19; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 21-24; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 800.

### მაინცი-ბორუსია (მ) 3:0

**მაინცი:** ვეტკლო-2, დემირტასი-3, მ. ფრიდრიხი-3.5, ნოვესკი-3.5, როზე-3.5, ფოილნერი-3, ანდრეასენი-3.5, პეკოვიჩი-3.5, სოტო-2 (83. გერბერი), ზიდანი-2 (85. ჟაბიში), რუმანი-3 (75. ამრი).

**ბორუსია (მ):** ჰაიმეროთი-2.5, ბიოგელუნდი-3.5, გოჰური-4, ფლესერსი-4, კომპერი-4, კლუგე-3, ლეველსი-3.5, იანსენი-3.5, მარინი-3, ინსუა-4.5 (46. ლამიდი-3.5), რაფაელი-3.5.

**გოლები:** 1:0 ზიდანი (32-პენ), 2:0 რუმანი (45), 3:0 ფოილნერი (72).

**გაძევება:** გოჰური (87. ბორუსია მ).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22-10; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 17-22; **ბურთის ფლობა:** 56%-47%.

**მაყურებელი:** 20 300.

### ჰერტა-ლევერკუზენი 2:3

**ჰერტა:** ფიდლერი-3.5, ა. ფრიდრიხი-3.5, ვან ბურიკი-4 (46. კ. ბოატენგი-2.5), ფათი-4 (72. ნოიენდორფი), ჩაჰედი-3.5, შმიდტი-4, კ. მიულერი-4 (53. დეჟაგა-4.5), ბაშთურქი-4, ჟილბერტო-3.5, ხიმენესი-3.5, პანტელიჩი-3.

**ლევერკუზენი:** ადლერი-3.5, კასტრო-4, ჟუანი-2.5, კალსენ-ბრაკერი-3, შტენმანი-3, შვეგლერი-3, როლფესი-2, შნაიდერი-3, ბარნეტა-2.5 (85. ბაბიჩი), კისლინგი-3 (77. ფრაიერი), ვორონინი-3 (92. ბარბარესი).

**გოლები:** 0:1 კალსენ-ბრაკერი (13), 1:1 პანტელიჩი (32), 1:2 ვორონინი (34), 2:2 ხიმენესი (51), 2:3 შნაიდერი (64-პენ).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 13-16; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 20-21; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 54 820.

### არმინია-ჰანოვერი 3:1

**არმინია:** ჰაინი-1.5, ბოლმანი-4.5, ვესტერმანი-3.5, კუჩერა-4, რაუ-3.5, კაუფი-3.5, ტეშე-3.5, ბიომე-2.5 (66. მარქსი-3.5), ვატა-2, ვიხნიარეკი-2 (63. კამპერი-3), აიგლერი-3 (75. შულერი).

**ჰანოვერი:** ენკე-3.5, ჩერუნდოლო-5 (74. შრიოტერი), ფარენჰორსტი-4, ვინიციუსი-4, ტარნატი-4, ბალიტში-3, იანკოვი-5 (46. შტაინერი-3.5), როზენტალი-3 (72. ბრდარიჩი), ბრუგინკი-3.5, ჰუშტი-2.5, ჰაშემიანი-4.

**გოლები:** 1:0 ვიხნიარეკი (22), 1:1 როზენტალი (30), 2:1 ბიომე (32), 3:1 ვატა (65).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 10-19; **კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 12-21; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 26 601.

### კოტბუსი-ბაიერნი 0:3

**კოტბუსი:** პიპლიცა-4, ბანდროვსკი-4, მაკენა-4, მიტრესკი-4, კვიტანოვიჩი-3.5, კუკიელკა-4, ტ. როსტი-3.5 (68. სკელა-4), ბაუმგარტი-4.5, მუნტეანუ-4.5 (68. გუნკელი-3.5), კიოიო-4.5 (64. შაო-4), რადუ-4.

**ბაიერნი:** კანი-3, ლელი-4, დემიკელისი-3.5, ვან ბუიტენი-2.5 (46. გიორლიტცი-4), ლამი-3.5, ოტლი-4, ვან ბომელი-3.5, ქარიმი-4 (88. ნგვატმაჰოპი), სანტა კრუსი-3.5, მაკაი-2.5 (65. შოლი-3.5), პისარო-3.

**გოლები:** 0:1 მაკაი (33-პენ), 0:2 ვან ბუიტენი (35), 0:3 სანტა კრუსი (61).

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 5-24; **კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 24%-76%.

**მაყურებელი:** 22 450.

### ნიურნბერგი-ჰამბურგი 0:2

**ნიურნბერგი:** შეფერი-4, დ. რაინჰარდტი-3.5, ვოლფი-3, გლაუბერი-4, პინოლა-3.5, ენგელჰარდტი-5 (60. სიბონი-4), პოლაკი-4 (65. მნარი-4), კრისტიანსენი-4, მინტალი-4.5, შროთი-5, საენკო-4.5 (46. პაგენბურგი-3).

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2.5, ბენჯამინი-4, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-2.5, ატუბა-3.5, დემელი-4 (75. მაჰდავიკია), იაროლიმი-2, დე იონგი-3.5, სორინი-3, ვან დერ ვაარტი-2 (92. გერერო), ოლიჩი-2.5 (80. სანოგო).

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (39), 0:2 იაროლიმი (41).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 20-11; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 47 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 33 | 20 | 7 | 6 | 59-36 | 67 |
| 2. შალკე | 33 | 20 | 5 | 8 | 51-31 | 65 |
| 3. ვერდერი | 33 | 19 | 6 | 8 | 74-40 | 63 |
| 4. ბაიერნი | 33 | 17 | 6 | 10 | 50-38 | 57 |
| 5. ლევერკუზენი | 33 | 14 | 6 | 13 | 52-48 | 48 |
| 6. ნიურნბერგი | 33 | 10 | 15 | 8 | 40-32 | 45 |
| 7. ბორუსია (დ) | 33 | 12 | 8 | 13 | 40-41 | 44 |
| 8. ჰანოვერი | 33 | 12 | 8 | 13 | 41-47 | 44 |
| 9. ჰამბურგი | 33 | 9 | 15 | 9 | 39-37 | 42 |
| 10. არმინია | 33 | 11 | 9 | 13 | 46-47 | 42 |
| 11. ბოხუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 47-50 | 42 |
| 12. ჰერტა | 33 | 11 | 8 | 14 | 48-54 | 41 |
| 13. კოტბუსი | 33 | 11 | 8 | 14 | 37-47 | 41 |
| 14. აინტრახტი | 33 | 9 | 13 | 11 | 45-56 | 40 |
| 15. ვოლფსბურგი | 33 | 8 | 13 | 12 | 37-43 | 37 |
| 16. ალემანია | 33 | 9 | 7 | 17 | 46-66 | 34 |
| 17. მაინცი | 33 | 8 | 10 | 15 | 32-52 | 34 |
| 18. ბორუსია (მ) | 33 | 6 | 8 | 19 | 23-42 | 26 |

**ბომბარდირები:** 20 - გეკასი (ბოხუმი); 16 - ფრაი (ბორუსია დ), მაკაი (ბაიერნი); 15 - კურანი (შალკე); 14 - ზიდანი (მაინცი), გომესი (შტუტგარტი); 13 - კლოზე (ვერდერი), დიეგო (ვერდერი), რადუ (კოტბუსი), კაკაუ (შტუტგარტი), პანტელიჩი (ჰერტა); 12 - ხიმენესი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

XXXIII ტური

**ბრაუნშვაიგი-აუგსბურგი 0:1**

გოლი: 0:1 და კოშტა (84)

**კარლ ცაისი-კაიზერსლაუტერნი 1:1**

გოლები: 0:1 სიმპსონი (10), 1:1 აშვეთია (51)

**კარლსრუე-ფრაიბურგი 0:3**

გოლები: 0:1 მატმური (27), 0:2 იაშვილი (79-პენ), 0:3 ჰანსენი (89)

**კობლენცი-აუე 2:1**

გოლები: 1:0 ძაკა (15), 2:0 ბაბატცი (45), 2:1 ემერიხი (85-პენ)

**კიოლნი-ოფენბახი 2:2**

გოლები: 0:1 ტურკერი (22), 1:1 ჰელმესი (63), 2:1 ნოვაკოვიჩი (65), 2:2 აგრიტისი (69)

**მიუნხენი-ჰანზა 1:2**

გოლები: 0:1 რანი (10), 0:2 კერნი (23), 1:2 გიოქთანი (78)

**პადერბორნი-დუისბურგი 0:3**

გოლები: 0:1 ლავრიჩი (2), 0:2 გრლიჩი (29), 0:3 იდრისუ (65)

**ესენი-ბურგჰაუზენი 1:1**

გოლები: 1:0 ბოშკოვიჩი (32), 1:1 ლედგერვუდი (90)

**უნტერჰახინგი-ფიურტი 2:1**

გოლები: 1:0 რატგებერი (7), 1:1 რიზინგერი (23), 2:1 გიოლსელამი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 33 | 20 | 7 | 6 | 66-40 | 67 |
| 2. ჰანზა | 33 | 15 | 14 | 4 | 46-29 | 59 |
| 3. დუისბურგი | 33 | 15 | 12 | 6 | 63-40 | 57 |
| 4. ფრაიბურგი | 33 | 16 | 9 | 8 | 53-39 | 57 |
| 5. ფიურტი | 33 | 16 | 6 | 11 | 52-37 | 54 |
| 6. კაიზერი | 33 | 13 | 13 | 7 | 46-32 | 52 |
| 7. აუგსბურგი | 33 | 14 | 10 | 9 | 42-30 | 52 |
| 8. მიუნხენი | 33 | 14 | 5 | 14 | 45-47 | 47 |
| 9. კიოლნი | 33 | 12 | 9 | 12 | 47-48 | 45 |
| 10. აუე | 33 | 13 | 5 | 15 | 44-46 | 44 |
| 11. პადერბორნი | 33 | 11 | 9 | 13 | 31-36 | 42 |
| 12. კობლენცი | 33 | 11 | 8 | 14 | 36-43 | 41 |
| 13. ესენი | 33 | 8 | 11 | 14 | 34-37 | 35 |
| 14. ოფენბახი | 33 | 9 | 8 | 16 | 41-58 | 35 |
| 15. კარლ ცაისი | 33 | 8 | 11 | 14 | 38-55 | 35 |
| 16. უნტერჰახინგი | 33 | 9 | 8 | 16 | 32-46 | 35 |
| 17. ბურგჰაუზენი | 33 | 6 | 11 | 16 | 37-62 | 29 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 33 | 4 | 10 | 19 | 19-47 | 22 |

**ბომბარდირები:** 17 - კაპლანი (კარლსრუე); 16 - ფედერიკო (კარლსრუე); 14 - ლოური (აუგსბურგი), ტურკერი (ოფენბახი); 13- ჰელმესი (კიოლნი); 12 - ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი), კერნი (ჰანზა), ლავრიჩი (დუისბურგი); 10 - ანტარი (ფრაიბურგი), იაშვილი (ფრაიბურგი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXV ტური

**კილი-ალენი 2:1; უნიონი-ვუპერტალი 0:3; ლევერკუზენი II-დინამო (დ) 3:2; სტ.პაული-ფორტუნა 2:0; ვილჰელმსჰაფენი-მაგდებურგი 0:2; ჰერტა II-დორტმუნდი II 3:0; ემდენი-ერფურტი 1:0; ვერდერი II-ჩემნიცი 0:1.**

### რეგიონალლიგა (სამ)

XXXV ტური

**შტ.კიკერსი-მიუნხენი II 1:0; დარმშტადტი-კაიზერსლაუტერნი II 4:0; ზიგენი-ელვერსბერგი 2:2; ინგოლშტადტი-შტუტგარტი II 2:2; ჰოფენჰაიმი-დორფმერკინგენი II 3:1; ჰომბურგი-უნტერჰახინგი 2:0; როიტლინგენი-ჰოფენჰაიმი 0:2; ზაარბრიუკენი-აალენი 4:2; ბაიერნი II-ულმი 0:1.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტური

# დრამა ბრემელ ლეინზე

## ოლდ ტრეფორდზე სტუმრებმაც მოიგეს და მასპინძლებმაც...



მანჩესტერ იუნაიტედი ტრიუმფს საკუთარ გულშემატკივართან ერთად ზეიმობს

"მანჩესტერ იუნაიტედი"-"ვესტ ჰემის" მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ბანაკში სიხარულმა დაისადგურა. ამ თამაშს დამარცხებული არ ჰყავდა. მანჩესტერელებს ერთი კვირით ადრე მოპოვებული საჩემპიონო რეგალიები გადასცეს. ლონდონელებმა კი პრემიერლიგაში დარჩენა გაინაღდეს და მისი ფანებიც ბედნიერების მწვერვალზე იდგნენ. გამარჯვების გოლი **კარლოს ტევესმა** შეაგდო. ამ სეზონში "ჩაქუჩებმა" "ეშმაკებს" დუბლი შეუსრულეს, მოუგეს რა ორივე მატჩი შინ და სტუმრად, საერთო ანგარიშით 2:0.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა. მან თადარიგში გაამწესა **კრისტიანო რონალდო, რაიან გიგზი** და **პოლ სქოულზი. რიო ფერდინანდი** კი განაცხადშიც არ შეიყვანა. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და დასაწყისშივე შეეცადნენ ანგარიშის გახსნას. გუშინდელ მატჩებამდე ერთი დღით ადრე "შეფილდ იუნაიტედის" თავკაცი **ნილ უორნოკი** იმედს გამოთქვამდა, რომ უმოტივაციოდ დარჩენილი "იუნაიტედი" მეტოქეს სამ ქულას უბრძოლველად არ გაატანდა. "მენიუს" შემადგენლობის გაცნობისას მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს სწორედ ასე მოხდა, მაგრამ საკმარისია ორი კლუბის დაპირისპირებათა ისტორიის გახსენება და ყველაფერს უმალ მოეფინება ნათელი. "იუნაიტედი" და "ვესტ ჰემის" დაუძინებელი მეტოქეები არიან. 1992 და 1995 წლებში "მენიუმ" ჩემპიონობა "აპტონ პარკზე" დაკარგა. მეტოქეები ერთმანეთს შელავათებს არასდროს უწევდნენ.

თამაშის დასაწყისში **უეინ რუნიმ** მოწინააღმდეგეს რამდენჯერმე შეუტია. პირველი რეალური მომენტი კი კუთხურის გათამაშებას მოჰყვა. **მაიკლ ქერიკის** ჩაწოდებული **ალან სმიტს** ახლო ძელთან მიუვიდა, თავდამსხმელმა ბურთს თავი დაჰკრა, მაგრამ მას **იოსი ბენაიუნი** გადაელობა და მოიგერია. დამატებაზე **კირან რიჩარდსონმა** ითამაშა, მაგრამ ბენაიუნი ისევ შეუვალი ალმოჩნდა.

რამდენიმე წუთში "იუნაიტედის" მორიგ კუთხურს ისევ საგოლე მომენტი მოჰყვა. ქერიკის ჩაწოდებულს ამჯერად **ჯონ ოში** გამოეხმაურა. მისი დარტყმისას **რობ გრინმა** ბურთი თითების წვერებით მოიგერია. ტაიმის მიწურულს "ვესტ ჰემის" მეკარემ ბურთი მეტოქის საჯარიმოსაკენ გადააგდო. ამთ შემდეგ ყველაფერი უსწრაფესად მოხდა. **ბობი ზამორამ** და ტევესმა მოკლე პასებით "იუნაიტედის" მცველების თავგზა აუბნიეს და არგენტინელმა შორ კუთხეში დასცხო, 0:1.

შესვენებიდან 12 წუთის შემდეგ სერ ალექსმა საქმეში ჩართო მძიმე არტილერია. გიგზი, რონალდო და სქოულზი ერთდროულად შევიდნენ მინდორზე. "ვესტ ჰემმა" მთელი გუნდით უკან დაიხია. "იუნაიტედის" ვარსკვლავები მეტოქის საჯარიმოსთან უყურადღებოდ მოქმედებდნენ. მათი პასების უმეტესობა სტუმართა ნადავლი ხდებოდა. უფრო მეტიც, ტევესსა და **ლუიშ ბოა მორტეს** კონტრიერიშებისას უფრო ყურადღებით რომ ემოქმედათ, ანგარიში შეიძლება უფრო შთამბეჭდავიც ყოფილიყო. გრინმა რონალდოს სახიფათო თავური მოიგერია. ბოა მორტე კი პენალტით დასჯას გადაურჩა. მან ოში უხეშად შეაჩერა, თუმცა არბიტრმა თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. საფინალო სასტვენისას "ვესტ ჰემის" ფეხბურთელები მინდორზე შეიჭრნენ და დიდი ზეიმი მოაწყვეს. ხუმრობა ხომ არ არის: დეკემბერში უიმედო აუტსაიდერი კლუბი უმაღლეს დივიზიონში დარჩა...

შეფილდის "ბრემელ ლეინზე" ნამდვილი დრამა გათამაშდა. მასპინძელ "იუნაიტედს" გადასარჩენად ერთი ქულაც ჰყოფნიდა. **ნილ უორნოკის** შეგირდებს არ უნდა წაეგოთ და თავი ქუდში ექნებოდათ, მაგრამ მათ იმ **დევიდ ანსუორთმა** მოუსწრაფა სიცოცხლე, რომელიც იანვრის ტრანსფერებისას "ვიგანში" სწორედ "შეფილდიდან" გადავიდა. 33 წლის ვეტერანი დაშავებული **რაიან ტეილორის** ნაცვლად თამაშობდა. ტაიმის ბოლო წუთზე მან აუღელვებლად შეაგდო **ფილ ჟაგიელკას** ხელით თამაშისათვის დანიშნული პენალტი.

**პოლ ჯუელის** "ვიგანი" მე-14 წუთზე, **პოლ შარნერის** გოლით დაწინაურდა. შესვენებამდე რვა წუთით ადრე **ჯონ სტიდმა** გაათანაბრა. "შეფილდს" ისევ გაუჩნდა დარჩენის შანსი. მაგრამ ანსუორთმა ტაიმი სტუმრების სასარგებლოდ დაასრულა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს მეორე გოლის გასატანად. **დენი ვებერმა** ძელი შეაზანზარა. 73-ე წუთზე ვიგანელმა **ლი მაკალოხმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ნაადრევად დატოვა მინდორი, მაგრამ "შეფილდს" ვერაფერმა უშველა. მან და "ვიგანმა" სეზონი თანაბარი ქულებით დაასრულეს. სამაგიეროდ, სტუმრების ბურთების ოდნავ უკეთესი ბალანსი (+1) ალმოჩნდათ. უორნოკის შეგირდები პრემიერლიგაში შარშან ამ დროს ალზევდნენ. იქამდე მათ უმაღლეს დივიზიონში 12 წელი არ ეთამაშათ. გუშინ 1994 წლის ისტორია განმეორდა. 13 წლის წინ "იუნაიტედი" ასევე ბოლო ტურში დამარცხების შედეგად ("ჩელსისთან") ალმოჩნდა პირველ დივიზიონში...

"ბოლტონმა" "ასტონ ვილასთან" ფრეს მიაღწია და მეორედ 133-წლიან ისტორიაში უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. თამაშს მასპინძლების ყოფილი თავკაცი **სემ ელერდაისი** დაესწრო. ის 29 აპრილს გადადგა და დღეს ან ხვალ "ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელად წარადგენენ. მაგრამ გუშინ სიამოვნებით მიიღო ბოლტონელთა თავმჯდომარის, **ფილ გარტსაიდის** მიპატიჟება და თამაშს დირექტორების ლოჟიდან მიადევნა თვალი. 81-ე წუთზე "ვილამ" მასპინძლებს დამსახურებული ქულა გამოგლიჯა. მაგრამ იმის გამო, რომ "რედინგმა" ბლექბერნში ვერ გაიმარჯვა, ევროპული საგზური ბოლტონელებს დარჩათ. გუნდმა სეზონის უმეტესი ნაწილი ევროპულ ზონაში გაატარა, მაგრამ ჩემპიონატის მიწურულს ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. ამიტომ მის ევროპულ ამბიციებს საფრთხე დაემუქრა. ბირმინგემელები "რიბოკ სთედიუმზე" რვამატჩიანი წაუგებელი სერიით ჩავიდნენ და გუშინ ორჯერ გაათანაბრეს...

უეფას თასზე ითამაშებს ამ ტურნირის წლევანდელი მეოთხედფინალისტი "ტოტენჰემი", რომელმაც "მანჩესტერ სიტის" მოუგო. პირველად ბოლო ოცი წლის განმავლობაში "მამლებმა" ზედიზედ მეორედ მოახერხეს უეფას თასის საგზურის მოპოვება და ზედიზედ მეორედ მეხუთე ადგილზე გასვლა. გასულ სეზონში "ტოტენჰემი" სულ მთლად ჩემპიონთა ლიგის საგზურზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ "არსენალმა" შეუშალა ხელი.

ალსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ლონდონელთაგან გოლები, როგორც წესი, თავდამსხმელებს გააქვთ. ასე მოხდა გუშინაც, **რობი კინმა** "ტოტენჰემის" მაისურით მე-200 მატჩი ჩაატარა და სეზონის 22-ე გოლი შეაგდო. **დიმიტარ ბერბატოვმა** კი სადებიუტო სეზონი 23 გოლით ჩაამთავრა. "ტოტენჰემის" ყველა ფორვარდმა ერთად 60 გოლს მოუყარა თავი (შედარებისათვის, "მანჩესტერ იუნაიტედში" 20-ზე მეტმა ფეხბურთელმა გაიტანა). **ჟერმენ დეფოს** რომ 11-მეტრიანი გამოეყენებინა, ეს რიცხვი ერთით უკეთესი იქნებოდა...

"ბლექბერნი" ინტერტოტოს თასზე იასპარეზებს. წესით, ეს საგზური "რედინგს" უნდა შეხვედროდა, მაგრამ პრემიერლიგის დებიუტანტებმა, რომლებმაც შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარეს, გადაწყვიტეს, მომავალი ჩემპიონატისთვის მოემზადონ და ევროტურნირებზე ჯერ არ იფიქრონ. ბლექბერნელმა თავდამსხმელმა **ბენი მაკარტიმ** სეზონის მე-18 გოლი მიითვალა. ალვნიშნოთ ისიც, რომ რედინგელმა **ივარ ინგიმარსონმა** 86-ე წუთზე, როცა ანგარიში უკვე 3:3 იყო, მეოთხე გოლი გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს...

უეფას თასის საგზურისათვის "პორტსმუთიც" იბრძოდა. "არსენალთან" ნამატჩევს **ჰარი რედნაპი** არბიტრ **გრემ პოლის** იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებდა, რომლის გამო **ნიკო კრანჩარს** 68-ე წუთზე გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. პოლმა, რომელმაც პრემიერლიგის თამაში უკანასკნელად განსაჯა, თამაშგარე დააფიქსირა, თუმცა განმეორებისას ჩანდა, რომ კარში შესვლამდე ბურთი "მეთოფეების" მცველ **ფილიპ სენდეროსს** შეეხო. "არსენალს" თავის გამოჩენის გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა. **ჟულიო ბაპტიშტამ** მარტო პირველ ნახევარში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. მე-40 წუთზე კი პენალტი ვერ შეაგდო. მისი დარტყმული **დევიდ ჯეიმსმა** მოიგერია...

"ჩელსიმ" სეზონის მიწურულს ზედიზედ მეექვსე მატჩი დაასრულა ფრედ, თუმცა "ლივერპულის" 26 წლის წინანდელი რეკორდი კი გაიმეორა: ამიერიდან "არისტოკრატებსაც" შეუძლიათ, შინ 63-მატჩიანი წაუგებელი სერიით მოიწონონ თავი. **დიდიე დროგბამ** სეზონის 32-ე გოლი გაიტანა. "ევერტონმა" კი დაიმსახურებული ერთი ქულა აიღო და გაისად უეფას თასზე ითამაშებს. "ჩელსის" ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა: 74-ე წუთზე **ჯონ ობი მიკელმა** ტრავმა მიიღო და უცნობია, გამოჯანმრთელდება თუ არა ასოციაციის თასის ფინალური მატჩისათვის. "მანჩესტერ იუნაიტედთან" უპრინციპულესი პაექრობის წინ ლონდონელთა საკადრო პრობლემები ისევ მწვავდება...

"ჩარლტონი" პრემიერლიგას დამშვიდებული სინდისით გამოეთხოვა: ის "ლივერპულს" ორჯერ ამარცხებდა "ენფილდზე", თუმცა მასპინძლებმა ორჯერვე გაუთანაბრეს. **რობი ფაულერი**, რომელმაც გუშინ კაპიტნის სამკლაურით ითამაშა, საბოლოოდ გამოემშვიდობა მშობლიურ კლუბს. რა თქმა უნდა, გოლით გამოთხოვებას სხვა გემო ექნებოდა, მაგრამ "ენფილდმა" ის მაინც ტაშით გააცილა. რობის არ გაუმართლა. ის თამაშის დასრულებამდე ორი წუთით, სწორედ არ ოვაციისათვის შეცვალეს. არადა, მინდორზე რომ დარჩენილიყო, ბოლო წუთზე დანიშნულ პენალტს ალბათ ის დაარტყამდა და არა **ჰარი კიუელი**. უფრო მეტად არ გაუმართლა **იერჟი დუდეკს**, რომელიც ასევე ტოვებს "ლივერპულს", ტრავმამ კი მინდორზე გასვლის საშუალება არ მისცა. მისი და **პეპე რეინას** არყოფნაში, **რაფა ბენიტესმა** იტალიელი ახალწვეული **დანიელე პადელი** გამოიყვანა. დღეიდან ლივერპულელთა მთელი ყურადღება ათენისაკენ იქნება მიპყრობილი. მოგეხსენებათ, 23 მაისს "მილანთან" გადამწყვეტი მატჩია...

**მარკ ვიდუკამაც** დუბლი შეასრულა და "ფულჰემთან" გუშინდელი თამაში მის მიდლსბროულ კარიერაშიც შეიძლება უკანასკნელი ალმოჩნდეს. 31 წლის ავსტრალიელს კონტრაქტი უმთავრდება. ხელშეკრულების გაგრძელებას კი აღარ აპირებს. გუშინდელი დუბლით მან საამსეზონო მონაგარი 19 ბურთამდე აიყვანა.

ფრედ, 1:1 დასრულდა "უოტფორდისა" და "ნიუკასლის" მატჩი. შეხვედრას ინგლისის ნაკრების თავკაცი **სტივ მაკლარენი** დაესწრო. მას **მაიკლ ოუენის** ნახვა სურდა. ფორვარდს ისევ არ გაუმართლა. ის 67-ე წუთზე შეცვალეს. ოუენი თანაგუნდელ **მეტიუ პეტისონს** შეეჯახა და მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო. ამიტომ 25 მაისს, ალბანეთთან ინგლისის B ნაკრების მატჩი შეიძლება გამოტოვოს. უოტფორდელთა შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარა მეკარე **ბენ ფოსტერმა**. მას ორწლიანი საიჯარო კონტრაქტი დაუმთავრდა და ზაფხულში "მანჩესტერ იუნაიტედს" მიაშურებს.

### შეფილდ იუნაიტედი-ვიგანი 1:2

**შეფილდი**: კენი, გირი, კილგელონი, მორგანი, გილესპი, ჟაგიელკა, მონტგომერი (79. კ.დევისი), ქუინი (56. კაზიმ-რიჩარდსი), ტონგე, ნეიდი (46. ვებერი), სტიდი.

**ვიგანი**: პოლიტი, ბაინესი, ბოისი, დე ზეეუვი (31. სკოკო), რაიან ტეილორი (42. ანსუორთი), კილბეინი, ლანდზაატი (77. ფოლანი), შერნერი, ვალენსია, ჰესკი, მაკალოხი.

**გოლები**: 0:1 შარნერი (14), 1:1 სტიდი (38), 1:2 ანსუორთი (45-პენ).

**გაძევება**: მაკალოხი (74. ვიგანი)

**გაფრთხილება**: 3-5; **დარტყმა**: 10(5)-9(3); **ჯარიმა**: 11-15; **კუთხური**: 10-3; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 32 604

### მანჩესტერ იუნ.-ვესტ ჰემი 0:1

**იუნაიტედი**: ვან დერ სარი, ბრაუნი, ევრა (57. გიგზი), ჰაინცე, ოში, ქერიკი (58. სქოულზი), ფლეტჩერი, რიჩარდსონი, რუნი, სმითი (58. რონალდო), სოლსკიაერი.

**ვესტ ჰემი**: გრინი, კოლინსი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი (28. სპექტორი), ნილი, ბენაიუნი, ნობლი, რეო კოკერი, ბოა მორტე, ტევესი (82. მულინსი), ზამორა (63. ჰერვუდი).

**გოლი**: 0:1 ტევესი (45)

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 31(20)-6(4); **ჯარიმა**: 13-11; **კუთხური**: 14-3; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 75 927

### ბოლტონი-ასტონ ვილა 2:2

**ბოლტონი**: იაასკელაინენი, ბენ ჰაიმი, გარდნერი, მეიტე, მიხალიკი, კამპო, ფაიე, ნოლანი, სპიდი (55. ვას ტე), ანელკა (46. ტალი), კევინ დევისი.

**ვილა**: სორენსენი (46. ტეილორი), ბუმა (58. საიმონ დევისი), აარონ ჰიუზი, ლაურენსენი, მელბერგი, აგბონლაორი, ბერი, ბერგერი (74. მური), გარდნერი, კარიუ, იანგი.

**გოლები**: 1:0 სპიდი (32), 1:1 გარდნერი (37), 2:1 კევინ დევისი (58), 2:2 მური (81).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 12(2)-8(3); **ჯარიმა**: 10-11; **კუთხური**: 7-6; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 26255

### ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი 2:1

**ტოტენჰემი**: რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, გარდნერი, კინგი, ჯენასი, ლენონი (75. მალბრანკი), ტაინიო, ზოკორა, ბერბატოვი, რობი კინი (81. დეფო).

**სიტი**: ისაკსონი, დესტენი (28. ჰამანი), დანი, ჯორდანი, ონუოა, ბისლი (81. სამარასი), ირლანდი, სუნი, ჯონსონი, მპენზა, ვასელი.

**გოლები**: 1:0 რობი კინი (10), 2:0 ბერბატოვი (32), 2:1 მპენზა (40).

*86-ე წუთზე დეფომ ვერ გაიტანა პენალტი.*

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 10(3)-10(5); **ჯარიმა**: 11-13; **კუთხური**: 6-6; **ბურთის ფლობა**: 39%-61%.

**მაყურებელი**: 35 426

### ბლექბერნი-რედინგი 3:2

**ბლექბერნი**: ფრიდელი, მოკოენა, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი (69. დანი), პედერსენი, მაკარტი, ნონდა (66. დერბიშირი).

**რედინგი**: ჰანემანი (23. ფედერიჩი), დე ლა კრუსი, დაბერი, ინგიმარსონი, შორი, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი (70. ოსტერი), კი ჰიეონი, დოილი, ლონგი (66. ლიტა).

**გოლები**: 1:0 მაკარტი (21), 1:1 კი ჰიეონი (36), 2:1 ბენტლი (56), 2:2 დოილი (58), 3:2 დერბიშირი (67), 3:3 გუნარსონი (77).

**გაფრთხილება**: 2-0; **დარტყმა**: 15(6)-13(7); **ჯარიმა**: 16-7; **კუთხური**: 5-10; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 22 671

### პორტსმუთი-არსენალი 0:0

**პორტსმუთი**: ჯეიმსი, ჯონსონი, პამარო, პრიმუსი, ტრაორე, საიმონ დევისი (64. მენდესი), ჰიუზი, კრანჩარი, ონილი (76. მვუემბა), კანუ, მვარუვარი (46. ლუალუ).

**არსენალი**: პოომი, კლიში, ჯურუ, ებუე, ჰოიტი, სენდეროსი, კოლო ტურე, ბაპტიშტა, დიაბი, ფაბრეგასი, გლები.

*მე-40 წუთზე ბაპტიშტამ ვერ გაიტანა პენალტი.*

**გაფრთხილება**: 0-0; **დარტყმა**: 10(4)-15(6); **ჯარიმა**: 18-15; **კუთხური**: 2-6; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 20 188

### ჩელსი-ევერტონი 1:1

**ჩელსი**: ჩეხი, ბულარუზი, ბრიჯი (89. ჰატჩინსონი), ფერეირა, ტერი, ჯო კოული (70. საჰარი), ლემპარდი, მიკელი (74. მორაიში), რაიტ-ფილიპსი, დროგბა, კალუ.

**ევერტონი**: ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, კარსლი, ფერნანდესი (77. მაკფადენი), ოსმანი, ვოგანი (72. ბიტი).

**გოლები**: 0:1 ვოგანი (50), 1:1 დროგბა (57).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 16(10)-9(5); **ჯარიმა**: 13-5; **კუთხური**: 9-2; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 41 746

### ლივერპული-ჩარლტონი 2:2

**ლივერპული**: პადელი, აგერი, არბელოა (61. ჩაბი ალონსო), კარაგერი, ფინენი, ჯერარდი, მასკერანო, რიისე, ზენდენი (57. კიუელი), ფაულერი (88. ფაულერი), კუიტი.

**ჩარლტონი**: რენდოლფი, ბუგერა, ჰრაიდარსონი, ტეტჩერი, იანგი, ჟენგი (90. მარკუს ბენტი), ემბროუზი (52, ჰიუზი), ჰოლანდი, სემი (82. ჰასელბენკი), სონგი, დარენ ბენტი.

**გოლები**: 0:1 ჰოლანდი (2), 1:1 ჩაბი ალონსო (62), 1:2 დარენ ბენტი (72), 2:2 კიუელი (90).

**გაფრთხილება**: 0-0; **დარტყმა**: 22(7)-8(4); **ჯარიმა**: 5-12; **კუთხური**: 9-2; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 43 134

### მიდლსბრო-ფულჰემი 3:1

**მიდლსბრო**: შვარცერი, არკა, აარონ დევისი, პოგატეცი, ვიტერი, ვუდგეიტი, ბოატენგი (68. მორისონი), დაუნინგი, როშემბაკი, ლი (68. იაკუბუ), ვიდუკა (90. ჯონსონი).

**ფულჰემი**: ნიემი, ბოკანეგრა, კრისტანვალი (50. კუოდრო), ნაიტი, როსენორი, ვოლცი, საიმონ დევისი, დემპსი, ჰელგუსონი (64. ჯონი), მაკბრაიდი, რაძინსკი.

**გოლები**: 1:0 ვიდუკა (34), 1:1 საიმონ დევისი (42), 2:1 ვიტერი (45), 3:1 ვიდუკა (47).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 21(10)-8(5); **ჯარიმა**: 11-12; **კუთხური**: 10-3; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 29 556

### უოტფორდი-ნიუკასლი 1:1

**უოტფორდი**: ფოსტერი (90. ჩემბერლეინი), დოილი, მარიაპა, შიტუ, სტიუარტი, ბანგურა, რინალდი, ვილიამსონი, ჰოსკინსი (56. ჰენდერსონი), კინგი, სმიტი (87. რობინსონი).

**ნიუკასლი**: გივენი, კარი, რემიჯი, სტივ ტეილორი, ბატი, დაიერი, მილნერი, პეტისონი, სოლანო (59. ონიევუ), ამეობი (62. ქეროლი), ოუენი (67. ობრაიენი).

**გოლები** 0:1 დაიერი (29), 1:1 კინგი (52-პენ).

**გაფრთხილება**: 2-4; **დარტყმა**: 11(2)-1(1); **ჯარიმა**: 13-6; **კუთხური**: 8-5; **ბურთის ფლობა**: 43%-57%.

**მაყურებელი**: 19 830

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 38 | 28 | 5 | 5 | 83-27 | 89 |
| 2. ჩელსი | 38 | 24 | 11 | 3 | 64-24 | 83 |
| 3. ლივერპული | 38 | 20 | 8 | 10 | 57-27 | 68 |
| 4. არსენალი | 38 | 19 | 11 | 8 | 63-35 | 68 |
| 5. ტოტენჰემი | 38 | 17 | 9 | 12 | 57-54 | 60 |
| 6. ევერტონი | 38 | 15 | 13 | 10 | 52-36 | 58 |
| 7. ბოლტონი | 38 | 16 | 8 | 14 | 47-52 | 56 |
| 8. რედინგი | 38 | 16 | 7 | 15 | 52-47 | 55 |
| 9. პორტსმუთი | 38 | 14 | 12 | 12 | 45-42 | 54 |
| 10. ბლექბერნი | 38 | 15 | 7 | 16 | 52-54 | 52 |
| 11. ასტონ ვილა | 38 | 11 | 17 | 10 | 43-41 | 50 |
| 12. მიდლსბრო | 38 | 12 | 10 | 16 | 44-49 | 46 |
| 13. ნიუკასლი | 38 | 11 | 10 | 17 | 38-47 | 43 |
| 14. მანჩესტერ ს | 38 | 11 | 9 | 18 | 29-44 | 42 |
| 15. ვესტ ჰემი | 38 | 12 | 5 | 21 | 35-59 | 41 |
| 16. ფულჰემი | 38 | 8 | 15 | 15 | 38-60 | 39 |
| 17. ვიგანი | 38 | 10 | 8 | 20 | 37-59 | 38 |
| 18. შეფილდი | 38 | 10 | 8 | 20 | 32-55 | 38 |
| 19. ჩარლტონი | 38 | 8 | 10 | 20 | 34-60 | 34 |
| 20. უოტფორდი | 38 | 5 | 13 | 20 | 29-59 | 28 |

**ბომბარდირები**: 19 - დროგბა (ჩელსი); 17 - მაკარტი (ბლექბერნი), რონალდო (მანჩესტერ იუნ); 14 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 12 - აიეგბენი (მიდლსბრო), ვიდუკა (მიდლსბრო), კუიტი (ლივერპული), ბენტი (ჩარლტონი); 11 - ლემპარდი (ჩელსი), ჯონსონი (ევერტონი), ვან პერსი (არსენალი), მარტინსი (ნიუკასლი), ბერბატოვი (ტოტენჰემი).

### ჩემპიონატი

**ფლეი ოფი**

1/2 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| საუთჰემპტონი-დერბი | 1:2 |
| ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი | 2:3 |

### I ლიგა

**ფლეი ოფი**

1/2 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| იეოვილი-ნოტინგემი | 0:2 |
| ოლდემი-ბლეკპული | 1:2 |

### II ლიგა

**ფლეი ოფი**

1/2 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| როვერსი-ლინკოლნი | 2:1 |
| შრუსბერი-მილტონი | დღეს |

### FA Trophy

| | |
|---|---|
| კიდერმინსტერი-სტივენიჯი | 2:3 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIV ტური

# თეთრი ბაირაღები



ბარსამ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა

სამეფო კლუბმა ეპიკური გამარჯვება იზეიმა. **ფაბიო კაპელოს** გუნდი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა, მაგრამ შეუპოვრობისა და გამარჯვებისადმი უშრეტი ლტოლვის ფასად „ესპანიოლს" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამი ქულა გამოსტაცა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს სამი ქულა მადრიდის „რეალისთვის", დედაქალაქური გრანდი ხომ ჩემპიონობისთვის გამალებით იბრძვის. ერთი სიტყვით, კაპელოს ბიჭების დიდი ამოცანები **ვალტერ პანდიანის** სამმა გოლმა საფრთხეში ჩააგდო.

პირველი ტაიმი კატალონიელთა კარგი თამაშითა და მასპინძელთა დაცვის უსუსურობით აღინიშნა. როგორც ჩანს, კაპელომ სწრაფი გოლის გატანა დაისახა მიზნად. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „რეალი" დაცვას ფაქტობრივად არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. იტალიელი სპეციალისტის მაქსიმალიზმმა სავალალო შედეგი გამოიღო. პრაქტიკულად მარტოდმარტო მიტოვებულმა **იკერ კასილიასმა** საწყის წუთებში რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოიგერია. წესით, ეს იერიშები საგანგაშო ზარის ტოლფასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დედაქალაქელებმა არაფერი შეცვალეს და მალე ძალიან მწარედაც დაისაჯნენ. მე-14 წუთზე პანდიანი **რუფეტემ** დროული პასით კასილიასთან პირისპირ დატოვა. ურუგვაელ ფორვარდს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. ზუსტად ცხრა წუთში პანდიანი კიდევ ერთხელ მოექცა მოვლენათა ეპიცენტრში. სხვათა შორის, საგოლე პასი მას ისევ და ისევ რუფეტემ მიაწოდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ „რეალის" დაცვა იმ ეპიზოდშიც "ტყემალზე იჯდა". 25 წუთში ორი გოლის გატანა „ესპანიოლისთვის" სერიოზული განაცხადი იყო, სამეფო კლუბისთვის კი სრული კატასტროფა. ტაქტიკის შეცვლას აზრი აღარ ჰქონდა. მადრიდულ გრანდს შეტევები უნდა გაეგრძელებინა. ასეც მოიქცნენ და მალე ერთი ბურთი გაქვითეს. **რუუდ ვან ნისტელროიმ** ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული **რობერტო კარლოსის** პასით გაიტანა. კაპელოსა და მისი შეგირდების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ზუსტად ოთხ წუთში პანდიანიმ ჰეთ თრიკი შეასრულა. სამხრეთამერიკელს ასისტენტობა უკვე **მოამ** გაუწია. შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. „რეალი" ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა...

...მაგრამ მასპინძლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე უკან დახევას წამითაც არ აპირებენ. თამაში ახალი განახლებული იყო, როცა ვან ნისტელროიმ **რაული** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. კაპიტანმა მცველს დუელი მოუგო და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. ძალიან მალე **ხოსე ანტონიო რეიესმა** კატალონიელი მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. ეს უკვე დიდი შემობრუნება გახლდათ, მაგრამ მასპინძლებისთვის ფრე მაინც წაგების ტოლფასი იქნებოდა. დედაქალაქელთა საბედნიეროდ, დრო საკმარისად რჩებოდა. სამეფო კლუბმა რამდენიმე სახიფათო იერიში მოაწყო, თუმცა სანუკვარი ბურთის შეგება საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე შეძლო. ეს საპატიო მისია **გონსალო იგუაინმა** შეასრულა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ყველას დიდი იმედი გაუჩნდა, რომ კვირას „ბარსელონა" „ბეტისთან" წაიფორხილებდა. ასეც მოხდა, თუმცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ ფაბიო კაპელოს ამ თემით სპეკულირება არ დაუწყია. აი, რა განაცხადა მან: *„დღევანდელი გამარჯვება მთლიანად ფეხბურთელების დამსახურებაა. უაღრესად კმაყოფილი გახლავართ. ჩემი გუნდის ბრძოლისუნარიანობით აღფრთოვანებული ვარ. ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა „რეალის" ბიჭებმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და ურთულესი პაექრობა მოიგეს. არადა, ამ სიტუაციიდან ბევრი სხვა გრანდი ვერ გამოძვრებოდა. ვიცოდი, რომ ყველას დაგაინტერესებდათ, თუ რატომ შევცვალე წინა ტურის გმირი გუტი. საქმე ის არის, რომ ხოსე მარიას ტრავმა აწუხებს და გასულ კვირაში სრულფასოვანი ვარჯიში პრაქტიკულად ერთხელაც არ ჩაუტარებია. საბედნიეროდ, მის ნაცვლად შესულმა რეიესმა გოლი გაიტანა და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ბედნიერი და მოტივირებული ვარ, მჯერა, ჩემპიონები გავხდებით."*

პირველობის კიდევ ერთი მაძიებელი „სევილია" დაძაბული და დამღლელი კვირის შემდეგ „რეკრეატივოს" მასპინძლობდა. რა თქმა უნდა, ანდალუსიელთა ამოცანა სამი ქულის მოხვეჭა გახლდათ. კლასისა და ბრძოლისუნარიანობის წყალობით, **ხუანდე რამოსის** გუნდმა ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. ყველაფერი **ენცო მარესკას** გოლით დაიწყო. იტალიელმა **ლუიშ ფაბიანოს** პასი მიიღო და მეკარეს აუღებელი დაურტყა. მომდევნო გოლის სანახავად გულშემატკივრებს დიდი ხნით ლოდინი მოუხდათ. „სევილიამ" უპირატესობა" მე-80 წუთზე გაზარდა. ლუიშ ფაბიანომ მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა. შეხვედრის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე პენალტი **პალოპის** კარშიც დაინიშნა. მსაჯმა **ესკუდეს უჩესთვის** ხელის კვრა არ აპატია. **ხესუს ვასკესმა** მეკარე მოატყუა და ბურთი კუთხეში გაგზავნა. უელველებს მეტისთვის დრო აღარ დარჩათ. ანდალუსიური დერბის მოგებით სენიორ რამოსმა ბავშვივით გაიხარა: "ცდებოდა ის, ვინც ფიქრობდა, რომ „სევილიამ" პრიმერა დივიზიონზე ხელი ჩაიქნია. არავითარ შემთხვევაში. მართალია, წინა ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე" წავაგეთ და საქმე გავირთულეთ, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტა წამითაც არ გვიფიქრია. ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ გულშემატკივრები სამი ტიტულით გავახაროთ. დღევანდელი პაექრობა უმნიშვნელოვანესი იყო. ქულების დაკარგვა ფაქტობრივად ყველა შანსის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. ახლა კი ჩინებული შესაძლებლობა გვაქვს, რათა პრიმერა დივიზიონში ტრიუმფის გვჯეროდეს. „სევილიის" ფეხბურთელები ნამდვილი გმირები არიან. ხუმრობა ხომ არ არის, ერთბაშად სამ ფრონტზე ღირსეულად იბრძოდე. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, მოვლენათა ეპიცენტრში ვრჩებით. წინ ორი ფინალი (ესპანეთისა და უეფას თასების) გველის. გარდა ამისა, პრიმერა დივიზიონში უპრინციპულეს ოთხ პაექრობას გავმართავთ. ღმერთო, მოგვეცი გაძლება."

„სოსიედადმა" მიმდინარე სეზონში მეორე საგარეო გამარჯვებას მიაღწია. ბასკებმა ერთ-ერთ კონკურენტ „ხიმნასტიკს" სძლიეს. ამ წაგების შემდეგ ტარაგონელები, ალბათ, განწირულები არიან. სტუმრებმა შეხვედრა უჩვეულოდ დამაჯერებლად წარმართეს. სანსებასტიანელებმა მრავალი საგოლე მომენტი შექმნეს. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჯერ კიდევ მეოთხე წუთზე ჰქონდათ, მაგრამ **არანბურუს** დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. სტუმრებმა პირველი გოლი მე-11 წუთზე შეაგდეს. **გარიტანოს** თავური ზუსტი აღმოჩნდა. მოგვიანებით, **სავიომაც** იყოჩაღა. ვეტერანმა ბრაზილიელმა **ლოპეს რეკარტეს** მიერ მიწოდებული ბურთი ცაციით კარში გადაგზავნა. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ ივარგეს. **პორტილიომ მორალესის** მიერ წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა. სტუმრებმა სტატუს-კვო მეორე ტაიმში აღადგინეს. პირველი გოლის ავტორმა გარიტანომ ასისტენტობაც შეითავსა და **ანსოტეგის** გაატანინა. ამ გამარჯვებით, „სოსიედადმა" პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსები გაიუმჯობესა.

აი, „სელტა" კი ნელ-ნელა ფსკერისკენ მიიწევს. ვიგოელებს **ხრისტო სტოიჩკოვის** დანიშვნამ არათუ არ უშველა, არამედ პირიქით, საშინელი სამსახური გაუწია. თავად განსაჯეთ, ბულგარელი სპეციალისტის მისვლის შემდეგ გალისიელებმა ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „სელტის" დამარცხებაში ამჯერად მსაჯმაც შეიტანა წვლილი. **რუბინოს პერესმა** „ლევანტეს" არარსებული პენალტი აჩუქა. ვალენსიელებმა ძლვენი შეირგეს და „ელ ბალაიდოსიდან" წარმოუდგენლად ფასეული სამი ქულა წაიღეს.

„ხეტაფეს" ფეხბურთელებს „ბარსელონასთან" სათასო ნახევარფინალში მომხდარი სასწაულით ტკბობა ძალიან გაუგრძელდათ და „ატლეტიკოსთან" მატჩში ცხვირი წაიმტვრიეს. ეს არც არის გასაკვირი. **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა მართლაც სასწაული მოახდინეს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „კამპ ნოუზე" მოგებული მატჩის შემდეგ (5:2) „ბარსა" ფინალში გასვლას ვერ შეძლებდა. მოკლედ, „ხეტაფემ" ზომაზე მეტი შამპანური დალია და სტუმრად ჩასულ „ატლეტიკოს" სამი ქულა უმტკივნეულოდ გაატანა. ამ შეხვედრაში მთავარი როლი **ფერნანდო ტორესმა** შეასრულა. „ელ ნინიომ" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება დუბლით აღნიშნა.

„კამპ ნოუზე" თეთრი ცხვირსახოცები წელს პირველად აფრიალდა. კატალონიაში დიდი ტრაგედია მზადდება. გულშემატკივრებს „ხეტაფესთან" განცდილი ფიასკო და სირცხვილი არ ჰქონდათ მონელებული, როცა „ბარსელონამ" „ბეტისთან" საშინაო შეხვედრაში ოქროს ქულები გაანიავა. შესაძლოა, ეს უპასუხისმგებლობა და უთავმოყვარეობა გუნდს სეზონის ბოლო ტიტულის დაკარგვად დაუჯდეს. სიმართლე გითხრათ, უფრო სავარაუდო, სწორედ მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებაა. „ბარსამ" ყველა დასაშვებ და დაუშვებელ ზღვარს გადააბიჯა. არავინ დავობს, **რიიკაარდის** კოლექტივს კრიზისის ხანა უდგას, მაგრამ ის რაც „ბეტისთან" მატჩში ვნახეთ, კრიზისის მიღმაა. ამას მხოლოდ და მხოლოდ იმპოტენცია ჰქვია. **სობისმა რონალდინიოს** მიერ პირველი ტაიმის დებიუტში გატანილ გოლს, ფაქტობრივად, ყველანაირი ფასი დაუკარგა. მასპინძელთა დამრიგებელი კი აცხადებს, რომ მისი ბიჭები სიამაყეს, იმედსა და თავმოყვარეობას არ დაკარგავენ.

### მომდევნო ტური

**20 მაისი. ატლეტიკო-ბარსელონა, ბეტისი-ხიმნასტიკი, დეპორტივო-სევილია, ესპანიოლი-ხეტაფე, სოსიედადი-სელტა, სარაგოსა-ბილბაო, ლევანტე-ოსასუნა, მალიორკა-ვალენსია, ვილიარეალი-რასინგი, რეკრეატივო-რეალი.**

### რეალი-ესპანიოლი 4:3

**რეალი:** კასილიასი, სისინიო (46. ივან ელგერა), სერხიო რამოსი, კანავარო, რობერტო კარლოსი, ემერსონი, დიარა, იგუაინი, გუტი (46. რეიესი), რაული (90. მიგელ ტორესი), ვან ნისტელროი.

**ესპანიოლი:** კამენი, ველასკო (75. ხარკე), ლაკრუსი, მარკ ტორეხონი, ჩიკა, ანხელი, კოსტა, რუფეტე (67. კორო), იონათასი, მოა, პანდიანი (60. ლუის გარსია).

**გოლები:** 0:1 პანდიანი (15), 0:2 პანდიანი (26), 1:2 ვან ნისტელროი (29), 1:3 პანდიანი (34), 2:3 რაული (48), 3:3 რეიესი (57), 4:3 იგუაინი (89)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 24(13)-9(5); **კუთხური:** 7-2; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 16-18; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 80 000

### სევილია-რეკრეატივო 2:1

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, აიტორ ოსიო (84. ალფარო), დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარესკა (59. მარტი), პუერტა, ლუიშ ფაბიანო, კერჟაკოვი (73. რენატო).

**რეკრეატივო:** ლაკე, მერინო, მარიო, პაბლო ამო, პოლი, კასორლა, ბარბერი, ხესუს ვასკესი, აიტორი (77. ჩელი), როსუ (61. უჩე), სინამა პონგოლე (66. ხავი გერერო).

**გოლები:** 1:0 მარესკა (13), 2:0 ლუიშ ფაბიანო (81-პენ), 2:1 ხესუს ვასკესი (89-პენ)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 17(9)-19(9); **კუთხური:** 10-4; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 21-20; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 42 000

### ბილბაო-დეპორტივო 1:1

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, სარიეგი, ხავი გონსალესი, მურილიო, ირაოლა, ეჩებერია (64. იესტე), ხავი მარტინესი, გაბილონდო (75. ლორენტე), ურსაისი.

**დეპორტივო:** ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილია, სერხიო, დე გუსმანი (73. პაბლო ალვარესი), ხუან როდრიგესი, რიკი (80. ფილიპე), არისმენდი, ესტოიანოფი (46. ბოდიპო).

**გოლები:** 1:0 მურილიო (56), 1:1 რიკი (62)

**გაძევება:** კაპდევილა (78. დეპორტივო), სარიეგი (90+3. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 5-5; **დარტყმა:** 8(3)-9(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 20-22; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 26 000

### სელტა-ლევანტე 1:2

**სელტა:** ესტებანი, კონტრერასი, ტამაში, პლასენტე (80. დე რიდერი), ანხელი, უბინია, გუსტავო ლოპესი, ნენე, ირინეი (19. პაბლო გარსია), ნუნიესი (53. ბამოგო), ბაიანო.

**ლევანტე:** მოლინა, დესკარგა, ალვარო, ალექსისი, რუბიალესი, კამაჩო, ტომაზი, კურტუა, ეტიენი (51. ნ'დიაიე), რეჯი (63. კაპო), რიგა (87. მანოლო).

**გოლები:** 0:1 რეჯი (38-პენ), 0:2 რიგა (48), 1:2 ბაიანო (61)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 20(5)-9(4); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 13-22; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 23 000

### ხეტაფე-ატლეტიკო 1:4

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, ტენა, პარედესი, სელესტინი, კასკერო, რედონდო (76. პაჩონი), ნაჩო (46. ვივარ დორადო/68. ალბანი), მანუ დელ მორალი, გუისა.

**ატლეტიკო:** პიჩუ, სეიტარიდისი, ელერი, ანტონიო ლოპესი, ზე კასტრო, ლუქსენი (66. კოშტინია), გალეტი, მანიშე, ხურადო (68. აგუერო), პეტროვი, ფერნანდო ტორესი (82. მაქსი როდრიგესი).

**გოლები:** 0:1 ფერნანდო ტორესი (1), 0:2 მანიშე (17), 1:2 მანუ დელ მორალი (58), 1:3 ფერნანდო ტორესი (64), 1:4 გალეტი (87-პენ)

**გაფრთხილება:** 4-6; **დარტყმა:** 17(5)-16(10); **კუთხური:** 8-6; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 21-20; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 17 000

### ხიმნასტიკი-სოსიედადი 1:3

**ხიმნასტიკი:** რუბენ პერესი, კალვო, სესარ ნავასი, მატელიანი, მარკო, კამპანიო (69. კუელარი), შაბოდი, მორალესი (56. გრანი), რუბენ კასტრო, პორტილიო, პინილია (27. მერინო).

**სოსიედადი:** ბრავო, ანსოტეგი, ვიქტორ ლოპესი, ლოპეს რეკარტე, ესტრადა, გარიტანო, ხუანიტო, სავიო, არანბურუ (55. ჩაბი პრიეტო), ერერა (80. დიას დე სერიო), კოვაჩევიჩი (86. მიკელ ალონსო).

**გოლები:** 0:1 გარიტანო (11), 0:2 სავიო (23), 1:2 პორტილიო (30), 1:3 ანსოტეგი (71)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 16(4)-14(7); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 6-5; **ჯარიმა:** 21-16; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 20 000

### ოსასუნა-ვილიარეალი 1:4

**ოსასუნა:** რიკარდო, კუელარი, ხოსეტო (86. ნექუნამი), კორალესი, ისკიერდო (66. ვებო), პუნიალი, რაულ გარსია, ხუანფრანი, ვალდო, დავიდ ლოპესი, სოლდადო (74. ხუანლუ).

**ვილიარეალი:** ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო როდრიგესი, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, ტაკინარდი, სენა (82. სომოსა), კანი, პირესი (71. მატი ფერნანდესი), მარკოსი (58. ფრანკო), ფორლანი.

**გოლები:** 0:1 პირესი (6), 1:1 ვალდო (16), 1:2 ფორლანი (63), 1:3 ფორლანი (86), 1:4 ფორლანი (90+2)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 21(5)-11(8); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 6-0; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 21 000

### რასინგი-მალიორკა 0:2

**რასინგი:** ტონიო, რუბენი, გარაი, კრისტიანი, პინილიოსი (64. ხუანხო), ვიტოლო, სკალონი, კოლსა (60. ბალბოა), მუნიტისი, ოსკარ სერანო (73. კრისტიან ალვარესი), ჟიგიჩი.

**მალიორკა:** მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (62. იანკოვიჩი), პერეირა, იბაგასა (74. ბასინასი), არანგო, ვიქტორი (69. ტრეხო), იონას გუტიერესი.

**გოლები:** 0:1 ნავარო (52), 0:2 არანგო (59)

**გაძევება:** მუნიტისი (22. რასინგი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 15(4)-12(6); **კუთხური:** 13-4; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 17-20; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 21 000

### ბარსელონა-ბეტისი 1:1

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ტიურამი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა, ჩავი, დეკუ, ძამბროტა (46. ბელეტი), მესი (75. სავიოლა), ეტო'ო, რონალდინიო (67. ედმილსონი).

**ბეტისი:** კონტრერასი, ილიჩი, მელი, ხუანიტო, ისიდორო, ფოგელი, რივერა (60. ასუნსაო), კაპი, ედუ, ოდონკორი (71. რობერტი), ფერნანდო (62. სობისი).

**გოლები:** 1:0 რონალდინიო (4-პენ), 1:1 სობისი (89)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 18(3)-4(3); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 21-23; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 76 000

### ვალენსია-სარაგოსა 2:0

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, მარჩენა, ხოაკინი, ალბელდა (68. უგო ვიანა), სილვა (80. ხორხე ლოპესი), ანგულო (64. გავილანი), ვილია.

**სარაგოსა:** სესარი, სერხიო, გაბი მილიტო, ხუანფრანი, ჩუს ერერო, საპატერი, დ'ალესანდრო (77. ევერტონი), აიმარი, სერხიო გარსია, დიეგო მილიტო, ოსკარი (76. მოვილია).

**გოლები:** 1:0 მორეტი (20), 2:0 სილვა (43)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 18(8)-13(2); **კუთხური:** 7-4; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 14-17; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 41 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 64-30 | 66 |
| 2. რეალი | 34 | 20 | 6 | 8 | 55-34 | 66 |
| 3. სევილია | 34 | 19 | 7 | 8 | 59-32 | 64 |
| 4. ვალენსია | 34 | 19 | 5 | 10 | 49-32 | 62 |
| 5. სარაგოსა | 34 | 15 | 10 | 9 | 47-34 | 55 |
| 6. ატლეტიკო | 34 | 15 | 9 | 10 | 40-29 | 54 |
| 7. რეკრეატივო | 34 | 14 | 8 | 12 | 46-45 | 50 |
| 8. ვილიარეალი | 34 | 14 | 8 | 12 | 39-40 | 50 |
| 9. ხეტაფე | 34 | 13 | 10 | 11 | 33-28 | 49 |
| 10. რასინგი | 34 | 12 | 13 | 9 | 39-41 | 49 |
| 11. მალიორკა | 34 | 14 | 6 | 14 | 40-42 | 48 |
| 12. ესპანიოლი | 34 | 11 | 12 | 11 | 41-43 | 45 |
| 13. დეპორტივო | 34 | 11 | 11 | 12 | 25-34 | 44 |
| 14. ოსასუნა | 34 | 10 | 7 | 17 | 39-46 | 37 |
| 15. ბეტისი | 34 | 7 | 15 | 12 | 32-41 | 36 |
| 16. ლევანტე | 34 | 8 | 12 | 14 | 29-43 | 36 |
| 17. ბილბაო | 34 | 8 | 10 | 16 | 37-55 | 34 |
| 18. სოსიედადი | 34 | 7 | 9 | 18 | 26-41 | 30 |
| 19. სელტა | 34 | 7 | 9 | 18 | 32-52 | 30 |
| 20. ხიმნასტიკი | 34 | 6 | 6 | 22 | 31-61 | 24 |

**ბომბარდირები:** 21 - ვან ნისტელროი (რეალი); 19 - კანუტე (სევილია), დიეგო მილიტო (სარაგოსა); 18 - რონალდინიო (ბარსელონა); 12 - ფორლანი (ვილიარეალი); 13 - ვილია (ვალენსია), მორიენტესი (ვალენსია); 11 - ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 10 - ლუის გარსია (ესპანიოლი).

### II დივიზიონი

XXXVII ტური

**სიუდადი-ალავესი 5:1**

გოლები: 1:0 ხიმენესი (11), 1:1 არტურო (13), 2:1 გოიტომი (25), 3:1 საისარი (46), 4:1 საისარი (71), 5:1 გოიტომი (75)

**ელჩე-ტენერიფე 0:1**

გოლი: 0:1 აიოსე (83)

**მალაგა-ვესინდარიო 3:2**

გოლები: 0:1 კირიანი (22), 0:2 ჩისკო (38-პენ), 1:2 იდალგო (50-პენ), 2:2 როსადო (65), 3:2 როსადო (83)

**პონფერადინა-მურსია 1:1**

გოლები: 0:1 ივანი (68), 1:1 ბაა (90)

**სალამანკა-რეალი B 3:2**

გოლები: 0:1 გონსალესი (13), 1:1 მარტინი (31), 2:1 ბრაულიო (38), 2:2 გარსია (64), 3:2 ბრაულიო (71)

**სპორტინგი-ნუმანსია 1:0**

გოლი: 1:0 კონგო (86)

**ლას პალმასი-ალბასეტე 0:1**

გოლი: 0:1 კალე (62)

**ლორკა-ალმერია 3:1**

გოლები: 1:0 ბაროსო (19), 2:0 კარლოსი (64), 2:1 ბერმეხო (66), 3:1 ბაროსო (78)

**ვალიადოლიდი-კადისი 2:2**

გოლები: 1:0 მანჩევი (14), 1:1 ლობოსი (43), 2:1 მანჩევი (75), 2:2 გონსალესი (85)

**ხერესი-კასტელონი 1:0**

გოლი: 1:0 ნავასი (5)

**ეხიდო-ერკულესი 2:0**

გოლები: 1:0 ორტისი (15), 2:0 სალასი (62)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 37 | 23 | 10 | 4 | 61-28 | 79 |
| 2. მურსია | 37 | 20 | 11 | 6 | 56-35 | 71 |
| 3. ალმერია | 37 | 21 | 7 | 9 | 62-42 | 70 |
| 4. ხერესი | 37 | 16 | 8 | 13 | 44-35 | 56 |
| 5. სიუდადი | 37 | 16 | 8 | 13 | 42-35 | 56 |
| 6. ალბასეტე | 37 | 15 | 10 | 12 | 44-41 | 55 |
| 7. სალამანკა | 37 | 14 | 11 | 12 | 47-41 | 53 |
| 8. კადისი | 37 | 13 | 13 | 11 | 43-39 | 52 |
| 9. ნუმანსია | 37 | 13 | 12 | 12 | 40-39 | 51 |
| 10. ტენერიფე | 37 | 15 | 6 | 16 | 39-44 | 51 |
| 11. ეხიდო | 37 | 13 | 10 | 14 | 43-44 | 49 |
| 12. ელჩე | 37 | 13 | 10 | 14 | 40-41 | 49 |
| 13. სპორტინგი | 37 | 13 | 8 | 16 | 43-41 | 47 |
| 14. კასტელონი | 37 | 12 | 11 | 14 | 38-38 | 47 |
| 14. ერკულესი | 37 | 12 | 11 | 14 | 43-45 | 47 |
| 16. მალაგა | 37 | 12 | 11 | 14 | 42-44 | 47 |
| 17. ლას პალმასი | 37 | 12 | 11 | 14 | 44-47 | 47 |
| 18. რეალი B | 37 | 12 | 8 | 17 | 44-56 | 44 |
| 19. ალავესი | 37 | 10 | 13 | 14 | 43-54 | 43 |
| 20. პონფერადინა | 37 | 9 | 13 | 15 | 37-49 | 40 |
| 21. ლორკა | 37 | 9 | 8 | 20 | 35-52 | 35 |
| 22. ვესინდარიო | 37 | 6 | 6 | 25 | 34-74 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-შატორუ | 3:1 |
| ბასტია-სტრასბური | 1:2 |
| ბრესტი-გენიონი | 2:1 |
| დიჟონი-აიაჩო | 2:2 |
| გინგამი-ტური | 3:1 |
| ლიბურნი-ისტრი | 1:2 |
| მეცი-გრენობლი | 1:2 |
| ნიორი-კრეტეი | 2:1 |
| კაენი-რეიმსი | 2:1 |
| მონპელიე-ჰავრი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 36 | 22 | 10 | 4 | 52-18 | 76 |
| 2. სტრასბური | 36 | 18 | 13 | 5 | 44-29 | 67 |
| 3. კაენი | 36 | 17 | 14 | 5 | 61-38 | 65 |
| 4. ამიენი | 36 | 19 | 6 | 11 | 53-42 | 63 |
| 5. გრენობლი | 36 | 14 | 14 | 8 | 49-37 | 56 |
| 6. ჰავრი | 35 | 15 | 10 | 10 | 49-32 | 55 |
| 7. შატორუ | 36 | 14 | 9 | 13 | 40-42 | 51 |
| 8. დიჟონი | 36 | 13 | 12 | 11 | 40-44 | 51 |
| 9. ბასტია | 36 | 13 | 11 | 12 | 46-44 | 50 |
| 10. აიაჩო | 36 | 12 | 11 | 13 | 44-45 | 47 |
| 11. რეიმსი | 36 | 12 | 10 | 14 | 42-42 | 46 |
| 12. გინგამი | 36 | 10 | 13 | 13 | 43-42 | 43 |
| 13. ლიბურნი | 36 | 12 | 7 | 17 | 41-49 | 43 |
| 14. გენიონი | 36 | 11 | 9 | 16 | 41-49 | 42 |
| 15. ნიორი | 36 | 9 | 13 | 14 | 31-42 | 40 |
| 16. კრეტეი | 36 | 9 | 13 | 14 | 32-46 | 40 |
| 17. ბრესტი | 36 | 8 | 15 | 13 | 35-39 | 39 |
| 18. მონპელიე | 35 | 8 | 11 | 16 | 36-47 | 35 |
| 19. ისტრი | 36 | 8 | 11 | 17 | 33-57 | 35 |
| 20. ტური | 36 | 5 | 8 | 23 | 27-55 | 23 |

## საფრანგეთის თასი

### ფინალი

**მარსელი-სოშო 2:2 პენ. 4:5**

მარსელი: კარახო, ბეიე, რ. ზუბარი, ჟ. როდრიგესი, ტაივო, კანა, მ'ბამი (94. მაულიდა), რიბერი, ნასრი, ნიანგი (74. ორუმა), ჯ. სისე.

სოშო: რიშერი, პიშო, აფოლაბი, ბრეშე, ტოშიჩი, პიტო (106. ბრუნელი), ნ'დავი, ზიანი, ჟ. ლერუა, დაგანო (104. ლე ტალეკი), გრაქსი (74. ბირსა).

გოლები: 1:0 ჯ. სისე (5), 1:1 დაგანო (67), 2:1 ჯ. სისე (98), 2:2 ლე ტალეკი (116)

მაყურებელი: 79 797

## ჰოლანდია

### ფლეი ოფი. ჩემპ. ლიგა

| | |
|---|---|
| აიაქსი-ჰერენვეენი | 4:0 (0:1) |
| ალკმაარი-ტვენტე | 2:0 (1:1) |

### ფლეი ოფი. უეფას თასი

| | |
|---|---|
| როდა-უტრეხტი | 1:1 (0:0) |
| ფეიენოორდი-გრონინგენი | 1:1 (1:2) |

### ფლეი ოფი. ინტერტოტო

| | |
|---|---|
| ბრედა-ვიტესი | 0:1 (2:3) |
| ნიმეგენი-სპარტა | 2:1 (1:1) |

### ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| როზენდალი-ვოლენდამი | 1:0 |
| ვენლო-დენ ბოში | 0:1 |
| ექსელსიორი-ვეენდამი | 3:0 |
| ვაალვიკი-დორდრეხტი | 2:0 |

## ირლანდია

X ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ლონგფორდი | 5:0 |
| დუბლინი-სტ. პატსი | 2:2 |
| უოტერფორდი-გოლვეი | 1:0 |
| სლიგო-კორკი | 4:1 |
| დროგედა-ბრეი | გადაიდო |
| დერი-შემროკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. პატსი | 10 | 7 | 2 | 1 | 18-6 | 23 |
| 2. დროგედა | 9 | 6 | 3 | 0 | 17-9 | 21 |
| 3. ბოჰემიანსი | 10 | 4 | 5 | 1 | 10-3 | 17 |
| 4. კორკი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-9 | 16 |
| 5. შემროკი | 9 | 4 | 2 | 3 | 9-6 | 14 |
| 6. დუბლინი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-9 | 13 |
| 7. სლიგო | 10 | 4 | 1 | 5 | 9-13 | 13 |
| 8. დერი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-9 | 11 |
| 9. ბრეი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| 10. უოტერფორ | 10 | 2 | 2 | 6 | 5-13 | 8 |
| 11. გოლვეი | 10 | 1 | 4 | 5 | 6-11 | 7 |
| 12. ლონგფორდ | 10 | 1 | 3 | 6 | 6-17 | 6 |

## საბერძნეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| იონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 3:5 |
| არისი-ატრომიტოსი | 1:2 |
| ერგოტელისი-ეგალეო | 3:0 |
| აპოლონი-ლარისა | 1:2 |
| პანათინაიკოსი-კერკირა | 2:2 |
| პანიონიოსი-აეკ | 3:1 |
| პაოკ-ოფი | 1:0 |
| ქსანთი-ირაკლისი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოს | 30 | 22 | 5 | 3 | 62-23 | 71 |
| 2. აეკ | 30 | 18 | 8 | 4 | 60-27 | 62 |
| 3. პანათინაიკ | 30 | 16 | 6 | 8 | 47-28 | 54 |
| 4. არისი | 30 | 11 | 13 | 6 | 32-26 | 46 |
| 5. პაოკ | 30 | 13 | 6 | 11 | 32-29 | 45 |
| 6. პანიონიოსი | 30 | 12 | 9 | 9 | 33-31 | 45 |
| 7. ოფი | 30 | 12 | 6 | 12 | 41-45 | 42 |
| 8. ატრომიტოს | 30 | 10 | 10 | 10 | 40-44 | 40 |
| 9. ერგოტელის | 30 | 11 | 6 | 13 | 30-32 | 39 |
| 10. ქსანთი | 30 | 8 | 12 | 10 | 24-22 | 36 |
| 11. ლარისა | 30 | 9 | 9 | 12 | 30-38 | 36 |
| 12. კერკირა | 30 | 8 | 11 | 11 | 34-36 | 35 |
| 13. აპოლონი | 30 | 9 | 8 | 13 | 27-36 | 35 |
| 14. ირაკლისი | 29 | 9 | 5 | 15 | 22-34 | 32 |
| 15. ეგალეო | 30 | 7 | 7 | 16 | 27-45 | 28 |
| 16. იონიკოსი | 29 | 2 | 3 | 24 | 14-59 | 7 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 5 ქულა*

## ბელგია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| სერკლი-ვესტერლო | 4:1 |
| ანდერლეხტი-ბრიუსელი | 6:0 |
| ბევერენი-მონსი | 0:0 |
| გენკი-შარლერუა | 0:2 |
| გენტი-ბეერსხოტი | 1:2 |
| ლიერსი-მუსკრონი | 3:3 |
| რუზელარე-სტ.ტრუიდენი | 3:2 |
| სტანდარდი-ბრიუგე | 1:0 |
| ვარეგემი-ლოკერენი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 33 | 23 | 8 | 2 | 74-27 | 77 |
| 2. გენკი | 33 | 22 | 6 | 5 | 70-34 | 72 |
| 3. სტანდარდი | 33 | 19 | 7 | 7 | 62-36 | 64 |
| 4. გენტი | 33 | 18 | 5 | 10 | 55-39 | 59 |
| 5. შარლერუა | 33 | 16 | 9 | 8 | 49-39 | 57 |
| 6. ბრიუგე | 33 | 14 | 8 | 11 | 55-37 | 50 |
| 7. ბეერსხოტი | 33 | 13 | 9 | 11 | 49-46 | 48 |
| 8. ვესტერლო | 33 | 12 | 9 | 12 | 40-43 | 45 |
| 9. მონსი | 33 | 11 | 8 | 14 | 38-40 | 41 |
| 10. მუსკრონი | 33 | 9 | 12 | 12 | 49-55 | 39 |
| 11. რუზელარე | 33 | 10 | 9 | 14 | 50-69 | 39 |
| 12. სერკლი | 33 | 10 | 7 | 16 | 28-33 | 37 |
| 13. ვარეგემი | 33 | 9 | 10 | 14 | 39-52 | 37 |
| 14. ბრიუსელი | 33 | 7 | 14 | 12 | 36-49 | 35 |
| 15. სტ. ტრუიდენ | 33 | 8 | 8 | 17 | 36-50 | 32 |
| 16. ლოკერენი | 33 | 5 | 15 | 13 | 31-44 | 30 |
| 17. ბევერენი | 33 | 5 | 10 | 18 | 29-61 | 25 |
| 18. ლიერსი | 33 | 5 | 8 | 20 | 29-65 | 23 |

### II დივიზიონი

XXXIII ტური

ვირტონი-ტუბეკე 0:1; ანტვერპენი-სტ-ჟილი 0:3; დესელი-დენდერი 0:2; ოსტენდე-ჰევერლე 2:2; ტინენი-დაინცე 2:0; ეუპენი-ვაასლანდი 0:2; რონსე-ლომელი 1:1; მეხელენი-რასინგი 4:0; კორტრიიკი-ჰამე 3:0.

## ავსტრია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ალტახი-რიდი | 0:2 |
| აუსტრია-შტურმი | 0:1 |
| მატერსბურგი-ზალცბურგი | 2:1 |
| პაშინგი-ტიროლი | 3:1 |
| გრაცერი-რაპიდი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 34 | 20 | 9 | 5 | 67-24 | 69 |
| 2. მატერსბურგ | 34 | 15 | 7 | 12 | 53-54 | 52 |
| 3. პაშინგი | 34 | 14 | 9 | 11 | 46-38 | 51 |
| 4. რიდი | 34 | 13 | 11 | 10 | 43-40 | 50 |
| 5. რაპიდი | 34 | 13 | 10 | 11 | 52-46 | 49 |
| 6. შტურმი | 34 | 15 | 5 | 14 | 38-39 | 47 |
| 7. აუსტრია | 34 | 10 | 12 | 12 | 40-42 | 42 |
| 8. ალტახი | 34 | 10 | 5 | 19 | 42-59 | 35 |
| 9. ტიროლი | 34 | 8 | 10 | 16 | 39-56 | 34 |
| 10. გრაცერი | 34 | 8 | 10 | 16 | 41-63 | 34 |

*შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა*

### II დივიზიონი

XXX ტური

ავსტრია (ლ)-ავსტრია A 2:1; ჰარტბერგი-გრატკორნი 1:2; კერნტენი-ადმირა 3:2; ლეობენი-ლინცერი 1:1; პარნდორფი-კაპფენბერგი 5:1; შვანენშტადტი-ლუშტენაუ 2:2.

## ხორვატია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ზაგრები-დინამო | 0:4 |
| ჰაიდუკი-რიეკა | 2:2 |
| კამენი-სიბალია | 1:3 |
| მედიმურიე-პულა | 1:0 |
| შიბენიკი-ვარტექსი | 3:4 |
| სლავენი-ოსიეკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 32 | 29 | 2 | 1 | 81-22 | 89 |
| 2. ჰაიდუკი | 32 | 22 | 6 | 4 | 60-22 | 72 |
| 3. ზაგრები | 32 | 18 | 3 | 11 | 57-39 | 57 |
| 4. სლავენი | 32 | 14 | 6 | 12 | 40-37 | 48 |
| 5. შიბენიკი | 32 | 14 | 6 | 12 | 48-46 | 48 |
| 6. ოსიეკი | 32 | 11 | 9 | 12 | 40-43 | 42 |
| 7. ვარტექსი | 32 | 12 | 5 | 15 | 48-61 | 41 |
| 8. რიეკა | 32 | 11 | 6 | 15 | 49-53 | 39 |
| 9. მედიმურიე | 32 | 11 | 4 | 17 | 40-57 | 37 |
| 10. სიბალია | 32 | 8 | 5 | 19 | 30-53 | 29 |
| 11. პულა | 32 | 6 | 10 | 16 | 28-40 | 28 |
| 12. კამენი | 32 | 3 | 4 | 25 | 27-75 | 13 |

## ჩეხეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 2:1 |
| იაბლონეცი-ბრნო | 0:1 |
| კლადნო-მოსტი | 2:2 |
| ბოლესლავი-ბანიკი | 2:0 |
| პლზენი-სლოვაცკო | 2:0 |
| ტეპლიცე-სიგმა | 2:2 |
| პრშიბრამი-სლავია | 0:2 |
| სპარტა-ლიბერეცი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 28 | 17 | 7 | 4 | 38-20 | 58 |
| 2. ლიბერეცი | 27 | 15 | 9 | 3 | 41-17 | 54 |
| 3. ბოლესლავი | 28 | 16 | 6 | 6 | 43-26 | 54 |
| 4. სლავია | 28 | 15 | 7 | 6 | 40-21 | 52 |
| 5. პლზენი | 28 | 11 | 9 | 8 | 33-28 | 42 |
| 6. ბანიკი | 28 | 10 | 10 | 8 | 36-31 | 40 |
| 7. ბრნო | 28 | 11 | 7 | 10 | 32-32 | 40 |
| 8. ტეპლიცე | 27 | 10 | 9 | 8 | 41-34 | 39 |
| 9. იაბლონეცი | 28 | 8 | 11 | 9 | 28-30 | 35 |
| 10. ბუდეიოვიცე | 28 | 9 | 7 | 12 | 26-39 | 34 |
| 11. მოსტი | 28 | 5 | 15 | 8 | 30-35 | 30 |
| 12. კლადნო | 28 | 7 | 9 | 12 | 22-35 | 30 |
| 13. ზლინი | 28 | 5 | 11 | 12 | 19-31 | 26 |
| 14. სიგმა | 28 | 6 | 7 | 15 | 28-40 | 25 |
| 15. პრშიბრამი | 28 | 3 | 12 | 13 | 15-34 | 21 |
| 16. სლოვაცკო | 28 | 2 | 10 | 16 | 17-36 | 16 |

## შოტლანდია

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ჰარტსი-ჰიბერნიანი | 2:0 |
| სელტიკი-აბერდინი | 2:1 |
| ფალკირკი-დანდი იუნ | 2:0 |
| ინვერნესი-დანფერმლაინი | 2:1 |
| მოზერველი-სტ. მირენი | 2:3 |
| რეინჯერსი-კილმარნოკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 37 | 26 | 6 | 5 | 64-32 | 84 |
| 2. რეინჯერსი | 37 | 21 | 9 | 7 | 61-30 | 72 |
| 3. აბერდინი | 37 | 18 | 8 | 11 | 53-38 | 62 |
| 4. ჰარტსი | 37 | 17 | 10 | 10 | 47-34 | 61 |
| 5. კილმარნოკი | 37 | 15 | 7 | 15 | 46-54 | 52 |
| 6. ჰიბერნიანი | 37 | 12 | 10 | 15 | 54-45 | 46 |
| 7. ფალკირკი | 37 | 14 | 5 | 18 | 46-47 | 47 |
| 8. ინვერნესი | 37 | 10 | 13 | 14 | 41-48 | 43 |
| 9. დანდი იუნ | 37 | 10 | 11 | 16 | 40-59 | 41 |
| 10. მოზერველი | 37 | 10 | 7 | 20 | 41-61 | 37 |
| 11. სტ. მირენი | 37 | 8 | 12 | 17 | 31-50 | 36 |
| 12. დანფერმლა | 37 | 8 | 8 | 21 | 26-52 | 32 |

### ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| ეირდრი-სტირლინგი | 2:3 |
| ისტ ფაიფი-ქუინზ პარკი | 0:3 |

## დანია

XXX ტური

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ბრონდბიუ | 1:1 |
| ესბერგი-ვიბორგი | 2:2 |
| ჰორსენსი-ოლბორგი | 1:4 |
| ნორდსილანდი-ვეილე | 3:0 |
| ოდენსე-სილკებორგი | 2:0 |
| კოპენჰაგენი-რანდერსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 30 | 22 | 6 | 2 | 58-21 | 72 |
| 2. ოდენსე | 30 | 17 | 7 | 6 | 43-29 | 58 |
| 3. მიდტიულან | 30 | 16 | 9 | 5 | 54-34 | 57 |
| 4. ოლბორგი | 30 | 16 | 7 | 7 | 49-32 | 55 |
| 5. ნორდსილან | 30 | 14 | 8 | 8 | 60-35 | 50 |
| 6. ბრონდბიუ | 30 | 11 | 10 | 9 | 46-36 | 43 |
| 7. ესბერგი | 30 | 8 | 10 | 12 | 42-47 | 34 |
| 8. რანდერსი | 30 | 9 | 7 | 14 | 36-47 | 34 |
| 9. ჰორსენსი | 30 | 6 | 10 | 14 | 27-47 | 28 |
| 10. ვიბორგი | 30 | 7 | 5 | 18 | 30-59 | 26 |
| 11. ვეილე | 30 | 5 | 6 | 19 | 32-61 | 21 |
| 12. სილკებორგ | 30 | 4 | 5 | 21 | 29-58 | 17 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

ჰიკ-ნაესტვედი 0:0; ფრემადი-ბრაბრანდი 0:3; კოგე-ჰერფიოლგე 1:1; ოლსტიკე-ორჰუსი 0:0; ტისტედი-სიონდერილი 0:0; აგფ ორჰუსი-აკადემისკი 1:0; კიოლდინგი-ფრემი 3:0; ლუნგბიუ-ფრედერისია 0:2.

## შვედეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-აიკ | 0:2 |
| ჰამარბიუ-ერებრუ | 1:0 |
| კალმარი-ელფსბორგი | 2:1 |
| იურგორდენი-გაის | დღეს |
| გიოტებორგი-გეფლე | დღეს |
| ჰალმსტადი-ტრელებორგსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამარბიუ | 6 | 3 | 2 | 1 | 10-3 | 11 |
| 2. კალმარი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 3. აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5-7 | 9 |
| 4. გიოტებორგ | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| 5. მალმიო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| 6. გეფლე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 7. იურგორდენ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| 8. ელფსბორგი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-7 | 7 |
| 9. ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 10. ჰელსინგბორ | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 11. ერებრუ | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 12. გაის | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 13. ტრელებორგ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-10 | 5 |
| 14. ბრომაპოიკარ | 6 | 1 | 2 | 3 | 7-13 | 5 |

### II დივიზიონი

V ტური

იონჩოპინგსი-მიალბიუ 0:0; იორგრიტე-ენჩოპინგსი 1:1; ლიუნგსკილე-ბუნკეფლო 1:1; სირიუსი-სილვია დღეს; ლანდსკრონა-ფალკენბერგსი დღეს; ნორჩოპინგი-ჰაკენი დღეს; სუნდსვალი-ოსტერსი დღეს.

## უნგრეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ფეჰერვარი-დიორი | 2:1 |
| ტატაბანია-უიპეშტი | 3:2 |
| პაკში-ჰონვედი | 1:2 |
| კაპოშვარი-სოპრონი | 2:2 |
| ვაცი-ზალაეგერსეგი | 0:5 |
| ვაშაში-პეჩი | 3:3 |
| დებრეცენი-რეაკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დებრეცენი | 27 | 19 | 3 | 5 | 56-19 | 60 |
| 2. მტკ | 28 | 17 | 4 | 7 | 55-30 | 55 |
| 3. ზალაეგერშ | 28 | 16 | 4 | 8 | 51-37 | 52 |
| 4. უიპეშტი | 28 | 15 | 4 | 9 | 39-28 | 49 |
| 5. ვაშაში | 28 | 12 | 6 | 10 | 38-36 | 42 |
| 6. ჰონვედი | 28 | 11 | 7 | 10 | 46-39 | 40 |
| 7. ფეჰერვარი | 28 | 12 | 4 | 12 | 41-41 | 40 |
| 8. დიოშდიორი | 28 | 11 | 4 | 13 | 39-47 | 37 |
| 9. კაპოშვარი | 28 | 10 | 5 | 13 | 35-34 | 35 |
| 10. პაკში | 28 | 9 | 7 | 12 | 30-34 | 34 |
| 11. სოპრონი | 28 | 10 | 4 | 14 | 29-43 | 34 |
| 12. რეაკ | 27 | 9 | 6 | 12 | 37-45 | 33 |
| 13. ტატაბანია | 28 | 10 | 3 | 15 | 42-53 | 33 |
| 14. დიორი | 28 | 8 | 8 | 12 | 30-39 | 32 |
| 15. პეჩი | 28 | 7 | 11 | 10 | 28-37 | 32 |
| 16. ვაცი | 28 | 4 | 6 | 18 | 19-53 | 18 |

## პორტუგალია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-მარიტიმუ | 2:0 |
| ბოავიშტა-ბრაგა | 0:1 |
| აკადემიკა-სპორტინგი | 0:2 |
| ავეში-ამადორა | 0:1 |
| ფერეირა-პორტუ | 1:1 |
| ლეირია-ნავალი | 2:2 |
| ნასიონალი-ბეირა მარი | 3:0 |
| სეტუბალი-ბენფიკა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 29 | 21 | 3 | 5 | 61-19 | 66 |
| 2. სპორტინგი | 29 | 19 | 8 | 2 | 50-15 | 65 |
| 3. ბენფიკა | 29 | 19 | 7 | 3 | 53-19 | 64 |
| 4. ბელენენსეში | 29 | 15 | 4 | 10 | 35-25 | 49 |
| 5. ბრაგა | 29 | 14 | 7 | 8 | 34-29 | 49 |
| 6. ფერეირა | 29 | 10 | 11 | 8 | 30-35 | 41 |
| 7. ლეირია | 29 | 10 | 10 | 9 | 24-26 | 40 |
| 8. ნასიონალი | 29 | 11 | 5 | 13 | 40-37 | 38 |
| 9. ამადორა | 29 | 9 | 7 | 13 | 22-35 | 34 |
| 10. ბოავიშტა | 29 | 7 | 11 | 11 | 30-33 | 32 |
| 11. მარიტიმუ | 29 | 8 | 8 | 13 | 29-42 | 32 |
| 12. ნავალი | 29 | 7 | 11 | 11 | 27-35 | 32 |
| 13. აკადემიკა | 29 | 6 | 8 | 15 | 28-44 | 26 |
| 14. ავეში | 29 | 5 | 7 | 17 | 21-38 | 22 |
| 15. ბეირა მარი | 29 | 4 | 10 | 15 | 27-54 | 22 |
| 16. სეტუბალი | 29 | 4 | 9 | 16 | 19-44 | 21 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

პენაფიელი-ფეირენსე 1:0; გონდომარი-გიმარაეში 0:2; მოსკავიდე-ლეიქსოეში 1:2; ჟილ ვისენტე-პორტიმონენსე 0:0; ოლანენსე-რიუ ავე 2:0; შავეში-სანტა კლარა 0:4; ვიზელა-ტროფენსე 0:0; ვარზიმი-ეშტორილი 2:1.

## შვეიცარია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| სიონი-იანგ ბოიზი | 2:0 |
| ტუნი-არაუ | 1:0 |
| ციურიხი-შაფჰაუზენი | 0:0 |
| ბაზელი-გრასჰოპერსი | 3:0 |
| ლუცერნი-სტ. გალენი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 33 | 20 | 6 | 7 | 60-30 | 66 |
| 2. ბაზელი | 33 | 19 | 8 | 6 | 70-40 | 65 |
| 3. იანგ ბოიზი | 33 | 16 | 8 | 9 | 49-37 | 56 |
| 4. სიონი | 33 | 15 | 9 | 9 | 52-40 | 54 |
| 5. სტ. გალენი | 33 | 14 | 11 | 8 | 45-39 | 53 |
| 6. გრასჰოპერ | 33 | 13 | 10 | 10 | 54-36 | 49 |
| 7. ლუცერნი | 33 | 8 | 9 | 16 | 31-51 | 33 |
| 8. ტუნი | 33 | 8 | 7 | 18 | 25-57 | 31 |
| 9. შაფჰაუზენი | 33 | 4 | 12 | 17 | 26-53 | 24 |
| 10. არაუ | 33 | 5 | 6 | 22 | 25-54 | 21 |

### ჩელენჯლიგა

XXXI ტური

კონკორდია-ვინტერტური 1:7; ვადუცი-ვოლენი 3:3; ვილი-ბელინცონა 0:2; ლოზანა-ლუგანო 4:0; ლოკარნო-კრინსი 3:2; სერვეტი-ფონდსი 3:1; ქსამაქსი-ივერდონი 3:1; ბოლმსი-კიასო 0:1; დელემონი-იუვენტუსი 3:0.

## არგენტინა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბელგრანო-კილმესი | 3:0 |
| ინდეპენდიენტე-ნიუელსი | 1:1 |
| როსარიო-რასინგი | 1:0 |
| ესტუდიანტესი-ველესი | 1:1 |
| გოდოი-ლანუსი | 2:2 |
| ბანფილდი-არგ. ხუნიორსი | 2:1 |
| კოლონი-ხიმნასია (ხ) | 3:1 |
| ხიმნასია (ლ)-ნუევა ჩიკაგო | 2:2 |
| სან ლორენსო-რივერი | 0:0 |
| ბოკა-არსენალი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XI ტური

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-იოკოჰამა | 0:2 |
| იოკოჰამა მარინოსი-ნაგოია | 0:2 |
| შიმიძუ-ნიიგატა | 3:1 |
| კაშივა-ოიტა | 2:0 |
| ტოკიო-იჩიჰარა | 4:1 |
| კაშიმა-ივატა | 2:1 |
| კოფუ-კავასაკი | 1:3 |
| კობე-ომია | 0:0 |
| ურავა-გამბა | 1:1 |

## პოლონეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| გროცლინი-კორონა | 1:0 |
| ბელხატოვი-პლოცკი | 2:1 |
| გურნიკი-ლეხი | 1:2 |
| ლკს-არკა | 0:1 |
| ოდრა-ლეჩნა | 2:1 |
| ზაგლებე-პოგონი | 6:2 |
| ლეგია-ვიძევი | 2:0 |
| კრაკოვია-ვისლა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელხატოვი | 27 | 18 | 4 | 5 | 57-25 | 58 |
| 2. ზაგლებე | 27 | 16 | 8 | 3 | 50-24 | 56 |
| 3. ლეგია | 27 | 15 | 4 | 8 | 50-27 | 49 |
| 4. ლეხი | 27 | 11 | 10 | 6 | 49-32 | 43 |
| 5. კორონა | 27 | 13 | 4 | 10 | 35-29 | 43 |
| 6. ვისლა | 27 | 9 | 15 | 3 | 39-20 | 42 |
| 7. კრაკოვია | 27 | 11 | 7 | 9 | 38-40 | 40 |
| 8. გროცლინი | 27 | 8 | 15 | 4 | 30-24 | 39 |
| 9. ლკს | 27 | 9 | 10 | 8 | 28-27 | 37 |
| 10. ოდრა | 27 | 9 | 9 | 9 | 26-33 | 36 |
| 11. არკა | 26 | 7 | 10 | 9 | 34-37 | 31 |
| 12. ვიძევი | 26 | 7 | 7 | 12 | 23-37 | 28 |
| 13. გურნიკი | 27 | 5 | 6 | 16 | 28-48 | 21 |
| 14. ლეჩნა | 26 | 5 | 5 | 16 | 20-55 | 20 |
| 15. პლოცკი | 26 | 2 | 11 | 13 | 17-43 | 17 |
| 16. პოგონი | 27 | 3 | 7 | 17 | 23-46 | 16 |

## თურქეთი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ანკარასპორი-დენიზლი | 1:1 |
| ანთალია-ანკარაგიუჯუ | 0:1 |
| ბურსა-ბეშიქთაში | 3:0 |
| ფენერბაჩე-ტრაბზონი | 2:2 |
| გენჩლერი-რიზე | 2:1 |
| კაისერი-გაზიანთეფი | 1:2 |
| კონია-მანისა | 1:0 |
| საქარია-ერჩიესი | 1:2 |
| სივასი-გალათასარაი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 32 | 18 | 10 | 4 | 60-29 | 66 |
| 2. ბეშიქთაში | 32 | 17 | 7 | 8 | 41-28 | 58 |
| 3. გალათასარაი | 32 | 15 | 11 | 6 | 57-33 | 56 |
| 4. ტრაბზონი | 32 | 14 | 7 | 11 | 50-41 | 49 |
| 5. კაისერი | 32 | 12 | 12 | 8 | 50-41 | 48 |
| 6. კონია | 32 | 12 | 9 | 11 | 42-41 | 45 |
| 7. ანკარა | 32 | 9 | 17 | 6 | 40-35 | 44 |
| 8. გენჩლერი | 32 | 12 | 6 | 14 | 39-41 | 42 |
| 9. ანკარაგიუჯ | 32 | 11 | 9 | 12 | 30-32 | 42 |
| 10. ბურსა | 32 | 11 | 9 | 12 | 33-39 | 42 |
| 11. სივასი | 32 | 12 | 6 | 14 | 35-42 | 42 |
| 12. მანისა | 31 | 11 | 7 | 13 | 41-42 | 40 |
| 13. გაზიანთეფი | 32 | 10 | 9 | 13 | 29-39 | 39 |
| 14. ანთალია | 32 | 8 | 14 | 10 | 31-33 | 38 |
| 15. დენიზლი | 32 | 8 | 13 | 11 | 31-39 | 37 |
| 16. რიზე | 32 | 10 | 6 | 16 | 32-39 | 36 |
| 17. ერჩიესი | 32 | 9 | 9 | 14 | 28-47 | 36 |
| 18. საქარია | 31 | 3 | 9 | 19 | 21-49 | 18 |

## სლოვაკეთი

### ფინალური ზონა

X ტური

| | |
|---|---|
| ჟილინა-არტმედია | 6:1 |
| რუჟომბეროკი-შენეცი | 0:0 |
| სლოვანი-კოშიცე | 0:0 |
| ნიტრა-ბისტრიცა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 10 | 8 | 1 | 1 | 64-17 | 57 |
| 2. არტმედია | 10 | 6 | 2 | 2 | 47-30 | 49 |
| 3. ნიტრა | 10 | 3 | 3 | 4 | 21-25 | 31 |
| 4. სლოვანი | 10 | 4 | 4 | 2 | 25-30 | 31 |
| 5. რუჟომბეროკ | 10 | 3 | 1 | 6 | 21-23 | 30 |
| 6. კოშიცე | 10 | 3 | 3 | 4 | 25-32 | 28 |
| 7. ბისტრიცა | 10 | 3 | 1 | 6 | 22-35 | 27 |
| 8. შენეცი | 10 | 1 | 3 | 6 | 19-52 | 15 |

### გასავარდნი ზონა

X ტური

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-ინტერი | 1:1 |
| დუსლო-დუბნიცა | 1:1 |
| მოჩენოკი-ტრნავა | 1:2 |
| მორავცე-სობოტა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრნავა | 10 | 5 | 3 | 2 | 12-9 | 18 |
| 2. დუბნიცა | 10 | 4 | 5 | 1 | 10-5 | 17 |
| 3. ინტერი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-8 | 16 |
| 4. ტრენჩინი | 10 | 3 | 5 | 2 | 14-12 | 14 |
| 5. მორავცე | 10 | 4 | 0 | 6 | 13-14 | 12 |
| 6. მოჩენოკი | 10 | 2 | 5 | 3 | 7-11 | 11 |
| 7. სობოტა | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 8. დუსლო | 10 | 1 | 4 | 5 | 10-13 | 7 |

## სლოვენია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ფაქტორი-ბელა კრაინა | 1:0 |
| კოპერი-მარიბორი | 2:1 |
| ნაფტა-პუბლიკუმი | 1:1 |
| პრიმორიე-დომჟალე | 0:4 |
| დრავა-გორიცა | 6:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 33 | 19 | 11 | 3 | 59-29 | 68 |
| 2. გორიცა | 33 | 16 | 7 | 10 | 63-53 | 55 |
| 3. მარიბორი | 33 | 13 | 11 | 9 | 56-49 | 50 |
| 4. პრიმორიე | 33 | 13 | 9 | 11 | 46-44 | 48 |
| 5. დრავა | 33 | 13 | 10 | 10 | 56-49 | 46 |
| 6. ნაფტა | 33 | 12 | 9 | 12 | 44-49 | 45 |
| 7. პუბლიკუმი | 33 | 10 | 11 | 12 | 48-47 | 41 |
| 8. კოპერი | 33 | 8 | 15 | 10 | 40-42 | 39 |
| 9. ბ. კრაინა | 33 | 5 | 10 | 18 | 38-57 | 25 |
| 10. ფაქტორი | 33 | 5 | 9 | 19 | 33-64 | 24 |

## ისლანდია

I ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-ჰაფნარი | 2:3 |
| ვალური-ფრამი | 1:1 |
| ბრეიდაბლიკი-ფილკირი | 0:1 |
| ვიკინგური-კოპავოგური | 0:0 |
| რეიკიავიკი-კეფლავიკი | დღეს |

## უკრაინა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| დნეპრი-ჩერნომორეცი | 1:0 |
| ილიჩევეცი-ზარია | 0:1 |
| სტალი-დინამო | 1:1 |
| ტავრია-მეტალურგი (ზ) | 5:1 |
| ვორსკლა-კრივბასი | 2:1 |
| არსენალი-შახტარი | 1:2 |
| ხარკოვი-კარპატი | 0:0 |
| მეტალურგი (დ)-მეტალისტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 19 | 7 | 0 | 59-20 | 64 |
| 2. შახტარი | 26 | 19 | 3 | 4 | 55-16 | 60 |
| 3. მეტალისტი | 24 | 13 | 6 | 5 | 31-18 | 45 |
| 4. დნეპრი | 26 | 10 | 12 | 4 | 27-20 | 42 |
| 5. ტავრია | 26 | 11 | 5 | 10 | 29-27 | 38 |
| 6. კარპატი | 25 | 9 | 9 | 7 | 25-27 | 36 |
| 7. ჩერნომორეც | 26 | 8 | 7 | 11 | 31-33 | 31 |
| 8. კრივბასი | 26 | 6 | 12 | 8 | 27-33 | 30 |
| 9. ხარკოვი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 10. მეტალურ (ზ) | 26 | 7 | 9 | 10 | 18-30 | 30 |
| 11. მეტალურ (დ) | 25 | 7 | 8 | 10 | 22-30 | 29 |
| 12. არსენალი | 26 | 6 | 9 | 11 | 25-37 | 27 |
| 13. ზორია | 26 | 7 | 6 | 13 | 20-39 | 27 |
| 14. ვორსკლა | 26 | 6 | 7 | 13 | 18-26 | 25 |
| 15. ილიჩევეცი | 26 | 5 | 7 | 14 | 19-31 | 22 |
| 16. სტალი | 26 | 5 | 6 | 15 | 22-32 | 21 |

## ნორვეგია

VI ტური

| | |
|---|---|
| სანდეფიორდი-ბრანი | 2:3 |
| ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 1:2 |
| ლინი-აალესუნდი | 0:0 |
| ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 0:1 |
| რუსენბორგი-სტრიომსგოდსეტი | 1:2 |
| ლილესტრიომი-ვიკინგი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილესტრიომ | 6 | 5 | 1 | 0 | 15-4 | 16 |
| 2. ბრანი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-9 | 13 |
| 3. ტრომსიო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| 4. სტარტი | 6 | 2 | 4 | 0 | 10-7 | 10 |
| 5. სტაბეკი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| 6. სტრიომსგოდ | 6 | 2 | 3 | 1 | 7-7 | 9 |
| 7. ლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 8. სანდეფიორდ | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 9. რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 11-10 | 7 |
| 10. ფრედრიკსტ | 6 | 2 | 1 | 3 | 10-13 | 7 |
| 11. ვიკინგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-9 | 6 |
| 12. ვოლერენგა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 13. ო. გრენლანდ | 6 | 1 | 0 | 5 | 6-9 | 3 |
| 14. აალესუნდი | 6 | 0 | 2 | 4 | 6-16 | 2 |

### II დივიზიონი

VI ტური

მიოლდე-ჰამარი 0:2; ბოდო გლიმტი-ნოტოდენი 2:0; ბრინი-მანდალი 3:0; ჰაუგესუნდი-სკეიდი 1:1; ლოვ ჰამ-სპარტა 2:2; რაუფოსი-ჰიონეფოსი 0:2; სოგნდალი-მოსი 2:0; ტრიომსდალენი-კონგსვინგერი 2:2.

## ბრაზილია

I ტური

| | |
|---|---|
| ფიგეირენსე-ატ. პარანაენსე | 3:6 |
| ფლუმინენსე-კრუზეირო | 2:2 |
| სან პაულუ-გოიაში | 2:0 |
| ატ. მინეირო-ნაუტიკო | 2:1 |
| ფლამენგო-პალმეირასი | 2:4 |
| ინტერნასიონალი-ბოტაფოგო | 2:3 |
| პარანა-გრემიო | 3:0 |
| ამერიკა-ვასკო | გვ. დასრულდა |
| კორინთიანი-ჟუვენტუდე | გვ. დასრულდა |
| რესიფე-სანტოსი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| ს. ლაგუნა-პაჩუკა | 1:1 |
| ატლასი-ამერიკა | 3:3 |
| კრუს ასული-ტეკოსი | 1:0 |
| ჩივასი-ტიგრესი | 3:2 |

## ჩილე

XVI ტური

| | |
|---|---|
| პალესტინო-დ. კონსეპსიონი | 2:0 |
| უნ. კონსეპსიონი-უაჩიპატო | 2:3 |
| კოლო კოლო-სანტიაგო | 3:1 |
| ო'ჰიგინსი-იტალიანო | 1:2 |
| კოკიმბო-მელიპილა | 0:4 |
| ევერტონი-კობრელოა | 1:1 |
| პუერტო მონტი-უნ. კატოლიკა | 0:1 |
| ანტოფაგასტა-ნუბლენსე | 3:1 |
| ლოტა-უნ. დე ჩილე | 1:2 |
| კობრესალი-ლა სერენა | 2:1 |

## ურუგვაი

XV ტური

| | |
|---|---|
| სენტრალი-უონდერერსი | 2:1 |
| სერიტო-რამპლა | 1:2 |
| პროგრესო-როჩა | 0:1 |
| ტაკუარემბო-რივერ პლეიტი | 1:1 |
| მირამარი-დეფენსორი | 1:0 |
| დანუბიო-პენიაროლი | 0:1 |

## აშშ

VI ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჩიკაგო | 3:1 |
| კოლამბუსი-ჩივასი | 1:1 |
| კანზას სიტი-დალასი | 1:2 |
| ლოს ანჯელესი-ნიუ ინგლენდი | 2:3 |
| ნიუ იორკი-კოლორადო | 0:1 |

## რუსეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-სპარტაკი | 1:1 |
| ტომი-დინამო | 1:0 |
| კრილია-ლუჩ ენერგია | 3:0 |
| ნალჩიკი-მოსკოვი | 1:0 |
| ხიმკი-სატურნი | 0:0 |
| რუბინი-ამკარი | 1:0 |
| ლოკომოტივი-როსტოვი | 2:0 |
| კუბანი-ზენიტი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 9 | 5 | 4 | 0 | 11-5 | 19 |
| 2. ცსკა | 9 | 4 | 4 | 1 | 15-8 | 16 |
| 3. ზენიტი | 9 | 4 | 4 | 1 | 13-9 | 16 |
| 4. მოსკოვი | 9 | 4 | 3 | 2 | 8-6 | 15 |
| 5. დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 9-9 | 14 |
| 6. კრილია | 9 | 3 | 4 | 2 | 7-4 | 13 |
| 7. ლოკომოტივ | 9 | 3 | 4 | 2 | 8-7 | 13 |
| 8. ტომი | 9 | 2 | 5 | 2 | 10-10 | 11 |
| 9. ხიმკი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-7 | 11 |
| 10. კუბანი | 9 | 1 | 6 | 2 | 6-7 | 9 |
| 11. სატურნი | 9 | 1 | 6 | 2 | 8-10 | 9 |
| 12. ნალჩიკი | 9 | 2 | 3 | 4 | 4-9 | 9 |
| 13. ლ-ენერგია | 9 | 2 | 2 | 5 | 4-9 | 8 |
| 14. ამკარი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-9 | 8 |
| 15. რუბინი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-11 | 8 |
| 16. როსტოვი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-13 | 7 |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ოთხი წინ, ოთხი შინ


ბოისა ლეგეას ფარს უტევს

გასული კვირა ევროპაში წყალგამყოფი გამოდგა - გაიმართა რეგულარული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები და სხვებზე უკეთესებმა ფლეი ოფში შეაბიჯეს. წამსვლელ-დამრჩენ ქართველ ლეგიონერთა შორის წონასწორობა არ დარღვეულა - ოთხმა მოთამაშემ სეზონი დაასრულა, ოთხიც ფლეი ოფში აგრძელებს ასპარეზობას.

სამწუხაროდ, **ვატო ნაცვლიშვილს** (საფრანგეთის ჩემპიონატში), **ნიკა ცქიტიშვილსა** და **ვიქტორ სანიკიძეს** (ესპანეთში) მომდევნო ეტაპზე გასასვლელად თითო-ოროლა მოგება დააკლდათ, ხოლო მეოთხე, ვინც სეზონი გასულ კვირას დაასრულა, **სერგო ათუაშვილია**, რომელმაც თანაგუნდელებთან ლიტვის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაც მოასწრო.

ფლეი ოფის სხვადასხვა ეტაპებზე კი ასპარეზობას **ვლადიმერ ბოისა** (იტალიაში), **ტაირონ ელისი** (იტალიაში) **მანუჩარ მარკოიშვილი** (სლოვენიაში) და **გიორგი ცინცაძე** (ესტონეთში) განაგრძობენ. ელისს თუ არ ჩავთვლით, სამივე ჩვენიანს პირველობის მოგების კარგი შანსი აქვს.

### სლოვენია

ვიდრე სლოვენიურ ამბებზე მოგითხრობდეთ, შეგახსენებთ, რომ გიორგი ცინცაძემ წლეულს ყველა თანამემამულეს დაასწრო და პირველმა შეაბიჯა ფინალურ სერიაში. ესტონეთის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში "ტარტუ როკის" მეტოქე "კალევი" იქნება. სერია სამ მოგებამდეა და 16 მაისს დაიწყება.

ახლა მანუჩარ მარკოიშვილზე, რომლის ირგვლივ დატრიალებული ამბები ძალაუნებურად, გვაპოვნინებს პარალელს წინა სეზონთან. მაგალითად, "ოლიმპიას" სლოვენიის პირველობაზე ერთ გუნდთან ძალიან უჭირდა და ფინალურ სერიამდე მასთან ოთხივე მატჩის წაგება მოასწრო. ოლიმპიელებმა წლეულს ოთხი შეხვედრა დათმეს რეგულარულის გამარჯვებულთან. სხვაობა მხოლოდ გუნდების დასახელებებშია - შარშან მარკოიშვილის თანაგუნდელებს სისხლი "სლოვანმა" გაუშრო, წლეულს - "ჰელიოსმა". "ოლიმპიამ" ამ უკანასკნელთან გასულ კვირასაც წააგო. თანაც ისეთი ანგარიშით ქართულ ფაოვრიტ-აუტსაიდერთა მატჩებს რომ ახასიათებს - 65:86. საინტერესოდ გამოიყურება ბოლო მეოთხედის ანგარიში - 5:20.

თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიუბლიანელებს ორი ლიდერი, **რანიკო** და **ლორბეკი** აკლდათ. შეიძლება ამიტომაც მანუჩარ მარკოიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ბევრი იშრომა და ორი მოხსნაც რომ დაემატებინა, ორმაგ დუბლს გამორჩებოდა - 12 ქულა, 8 მოხსნა.

"ოლიმპიამ" რეგულარული პირველობა 4 წაგებით დაასრულა. თუმცა შარშანდელ ფინალისტ "სლოვანს" კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებელი არ ალმოაჩნდა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი მარკოიშვილის გუნდს დარჩა. ქვემოთაც წერია და აქაც შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში "ოლიმპიას" მეტოქე "სლოვანი" იქნება. სლოვენიის პრიველობის ნახევარფინალები ორ მოგებამდეა, ხოლო ფინალები - სამამდე.

**სლოვენიის ჩემპიონატი. 14 ტურის შემდეგ. 1. ჰელიოსი - 12 მოგება, 2. ოლიმპია - 10, 3. სლოვანი - 9, 4. ზლატოროგი - 8, 5. ელექტრა - 8, 6. კრკა - 3, 7. ლოკა - 3, 8. ალპოსი - 3**

**ნახევარფინალები (ორ მოგებამდე): ჰელიოსი-ზლატოროგი, ოლიმპია-სლოვანი. სერია 16 მაისს დაიწყება**

### ლიტვა

ლიტვის ჩემპიონატის ნახევარფინალში "რიტასის" წინააღმდეგ სერგო ათუაშვილმა "ნეპტუნასში" 24 წუთი ითამაშა და გვეგონა, შემდეგში მწვრთნელის ნდობა უფრო გაიზრდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლას სამი მატჩი დასჭირდა და ჩვენიანმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (4 წუთი ითამაშა).

სერია სამ მოგებამდე იყო და "შიაულიაისთან" ფავორიტად " "ნეპტუნასი" ითვლებოდა, რადგან რეგულარულ ჩემპოინატში სერგოს გუნდს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. მაგრამ ვარაუდი არც ამჯერად გამართლდა - "შიაულიაის" მესამე ადგილის დასაკავებლად 3 მატჩიც ეყო, "ნეპტუნასს" სტუმრად ორჯერ მოუგო, შინ - ერთხელ.

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ.) | 9.05 | დიჟონი-ლემანი 66:77 | 15 | 3 | 1 | 0 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 9.05 | ლეგეა-მონტეპასკი 84:103 | 17 | 5 | 0 | 0 | 7 |
| | იტალია (ჩ.) | 13.05 | მონტეპასკი-კლიმამიო 106:87 | 23 | 2 | 0 | 0 | 3 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 9.05 | ტისეტანტა-ნაპოლი 76:82 | 33 | 1 | 3 | 1 | 11 |
| | იტალია (ჩ.) | 13.05 | ნაპოლი-ბენეტონი 95:85 | 34 | 4 | 4 | 1 | 18 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 12.05 | ესტუდიანტესი-უნიკახა 67:60 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 13.05 | კახა-გრანადა 78:91 | 19 | 3 | 2 | 0 | 8 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 9.05 | ჰელიოსი-ოლიმპია 86:65 | 40 | 8 | 3 | 0 | 12 |
| | სლოვენია (ჩ.) | 11.05 | ოლიმპია-ალპოსი 82:63 | 35 | 8 | 5 | 3 | 14 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 9.05 | შიაულიაი-ნეპტუნასი 99:89 | არ უთამაშია | | | | |
| | ლიტვა (ჩ.) | 12.05 | ნეპტუნასი-შიაულიაი 84:86 | 4 | 1 | 0 | 2 | 0 |

### საფრანგეთი

ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონი" საფრანგეთის საშუალო დონის გუნდია და ყოველ წელს ფლეი ოფში გასვლა-არგასვლის ზღვარზეა. შარშან მე-12 ადგილი დაიკავა და მერვედფინალი (4 საუკეთესო მეოთხედფინალამდე ისვენებდა) ითამაშა. წლეულს "დიჟონი" უკეთესი გუნდია, რეგულარული პირველობა მე-10 პოზიციაზე დაასრულა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც ვერ მოხვდა. ამის მიზეზი საფრანგეთის პირველობის რეგლამენტის შეცვლა გახლდათ, რომლის თანახმად, ფლეი ოფში გამსვლელთა რაოდენობა 12-დან 8-მდე შემცირდა ქვეყნის ჩემპიონთან, "ლემანთან" ბოლო ტურის მატჩში მოგებით ვატოს თანაგუნდელებს საუკეთესო რვაეულში მოხვედრის კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ დიჟონში მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს და 66:77 დათმეს.

დიჟონელებს სანუგეშოდ ისღა რჩებათ, რომ სეზონის პირველსავე მატჩში სწორედ "ლე მანს" აწაპნეს საფრანგეთის სუპერთასი.

ვატოს გუნდის ბედი გაიზიარა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის **გორდონ ჰერბერტის** "პო ორტეზმა". მანაც 18 მატჩი მოიგო, მაგრამ ეს მხოლოდ მე-9 ადგილისთვის ალმოჩნდა საკმარისი. ასე და ამგვარად, საფრანგეთში მოასპარეზე ჩვენიანები თავისუფლები არიან. ვატო თბილისში ამ დღეებში რომ ჩამოვა, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

მასზე არანაკლებ ველით გორდონ ჰერბერტს, რომელსაც წესით გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის ფინალებისკენ უნდა გამოუწიოს და საკუთარი თვალით შეარჩიოს ის 3-4 კაცი, ვინც ნაკრების ლეგიონერებს უნდა დაემატოს.

**საფრანგეთის ჩემპიონატი. 34-ე ტური. 1. ნანსი - 25 მოგება, 2. როანი - 24, 3. შალონი - 23, 4. სტრასბური - 22, 5. ლე მანი - 21, 6. ვილერბანი - 21, 7. შოლე - 19, 8. გრაველინი - 18 / 9. პო ორტეზი - 18, 10. დიჟონი - 18, 11. ორლეანი - 18, 12. ლე ავრი - 16, 13. კლერმონი - 15, 14. პარიზი - 13, 15. ბეზანსონი - 11, 16. ტულონი -11, 17. ბურჟი - 8, 18. რეიმსი - 5.**

### ესპანეთი

ვატოსგან განსხვავებით, მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა ("დიჟონში") ვიქტორ სანიკიძემ და ცოლისძმამ ნიკა ცქიტიშვილმა რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე დაკარგეს ფლეი ოფში მოხვედრის შანსი.

"ესტუდიანტესმა" და "კახა სან ფერნანდომ" 34-ე ტური ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაატარეს და სეზონი მშვიდობიანად დაასრულეს. ნიკასა და ვიქტორის მონაგარს ცხრილშიც ნახავთ, უფრო საინტერესო ისაა, აპირებენ თუ არა ესპანურ კლუბებში დარჩენას. ამ კითხვაზე პასუხს მალე მივიღებთ.

**ესპანეთის ჩემპიონატი. 34-ე ტური. 1. ტაუ - 26 მოგება, 2. რეალი - 25 მოგება, 3. ბარსელონა - 23, 4. ხუვენტუდი - 23, 5. ხირონა - 21, 6. გრან კანარია - 21, 7. ვალენსია -19, 8. უნიკახა -17 / 9. ესტუდიანტესი - 16, 10. ბილბაო - 15, 11. კახა - 14, 12. ფუენლაბრადა -14, 13. გრანადა - 15, 14. მურსია - 13, 15. ვალიადოლიდი -12, 16. ალიკანტე -12, 17. მენორკა - 12, 18. ბრუესა - 8.**

### იტალია

ტაირონ ელისის "ნაპოლის" ძლიერ მონინააღმდეგეებთან თამაში ძალიან უჭირს, აუტსაიდერებს კი სტუმრადაც ანადგურებს და შინაც. ვლადიმერ ბოისას "მონტეპასკი" არც ფავორიტს უფრთხის და არც აუტსაიდერს. სიენელებს ზედიზედ 7 მატჩი აქვთ მოგებული.

ასე და ამგვარად, იტალიაში მოასპარეზე ორივე ჩვენიანი მშვიდად გავიდა მეოთხედფინალში და თუ "ნაპოლის" მთავარი მიზანი ფინალამდე მიღწევა იქნება, "მონტეპასკი" ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია. შეგახსენებთ, რომ ერთი იტალიის ჩემპიონი უკვე გვყავს - 2003 წელს მანუჩარ მარკოიშვილმა ოქრო "ბენეტონთან" ერთად მოიგო.

**იტალიის ჩემპიონატი. 34 ტურის შემდეგ. 1. მონტეპასკი - 29 მოგება, 2. რომა - 21, 3. მილანი - 20, 4. ბენეტონი - 20, 5. ვიდივიჩი - 20, 6. ნაპოლი -18, 7. კანტუ -16, 8. პრემიატა - 16 / 9. ვარეზე -16, 10. ბიელა -15, 11. სკაფატი -15, 12. კლიმამიო -13, 13. უპეა - 12, 14. უდინე -12, 15. აველინო - 12, 16. რეჯო ემილია - 12, 17. სივილია - 11, 18. ლივორნო - 9.**

ვაჟა სიმონიშვილი

## ჭადრაკი



# ნონა და დანარჩენები

ზოგადად, ქართულ ჭადრაკში ასეთი გამიჯვნა ლამის დაკანონდა - რომ არა **ნონა გაფრინდაშვილი**, არ იქნებოდა ქართული ჭადრაკი და მისი დიდება, არ ვიქნებოდით ჩვენ, თქვენ და მომავალი თაობაც არ გვეყოლებოდაო, - ამბობდნენ და დღესაც იმეორებენ გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკეები. არავის ვეკამათებით და არც ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაზე ვდებთ თავს, მაგრამ ქალბატონმა **ნინო გურიელმა** გუშინ ნონა გაფრინდაშვილის პირველი დიდი გამარჯვებისადმი მიძღვნილი ბლიც-ტურნირის გახსნის ცერმონიალზე სწორედ ეს სიტყვები თქვა... 45 წლის წინათ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **ელისაბედ ბიკოვა** დაამარცხა და პირველად დაიდგა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი.

ტურნირში სამი თაობის 12 გამოჩენილ მოჭადრაკეს უნდა მიეღო მონაწილეობა: **ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნინო გურიელს, ნინო ხურციძეს, ლელა ჯავახიშვილს, სოფიკო ხუხაშვილს, სოფიო გვეტაძეს, მაია ლომინეიშვილს, ნანა ძაგნიძეს, სალომე მელიას, სოფიკო გურამიშვილსა და მაკა ფურცელაძეს.**

თუმცა, ნინო ხურციძემ ავადმყოფობის გამო თამაში ვერ შეძლო და ჭადრაკის სასახლის დარბაზში არ გამოჩენილა. ვინაიდან კენტი მონაწილე დარჩა, უარი განაცხადა **მაია ჩიბურდანიძემაც**, რადგანაც მთლად ჯანმრთელად ვერც ის გრძნობდა თავს. გათამაშების სისტემა წრიული იყო, პარტიაზე 5 წუთი ეძლეოდათ მონაწილეებს, ყოველ სვლაზე ორი წამის დამატებით.

საბოლოოდ 10 მონაწილე დაუპირისპირდა ერთმანეთს. ცხადია, საინტერესო იყო ქალბატონების - ნონასა და ნინოს მზაობა, - შეძლებდნენ თუ არა ახალგაზრდების შეტევების გაძლებას. მართალი, საბოლოო შედეგებით ამას ნაკლებად თუ იტყვის კაცი, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერაც ძველებურად მოსდევთ საჭადრაკო ძალა, - ქალბატონმა ნონამ რამდენიმე პარტია ისეთი მიზეზით წააგო, ბავშვს რომ არ ეპატიება - სისწრაფეში ფიგურები დასვა... ნინო გურიელმა კი რამდენიმე სერიოზული გამარჯვება მოიპოვა - საქართველოს ნაკრების ორი წევრი დაამარცხა...

საბოლოოდ, გაფრინდაშვილს მეცხრე ადგილი ერგო - 2 ქულით, გურიელმა კი 4 ქულით მერვე პოზიცია დაიჭირა. გამარჯვება **ნანა ძაგნიძემ** მოიპოვა 6.5 ქულით; მეორეზე **სოფიკო გურამიშვილი** (6), მესამეზე კი **მაია ლომინეიშვილია** 5.5 ქულით.

ეს ტურნირი კარგი ვარჯიში გამოდგა ნაკრების წევრებისთვის, რომლებიც ერთ კვირაში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ჩაერთვებიან. თუმცა ვერცერთმა მათგანმა ამ ტურნირში გამორჩეული შედეგი ვერ აჩვენა. აღსანიშნავია სოფიკო გურამიშვილის მეორე ადგილი - ის 17 წლის ახლახან გახდა და ერთადერთი მონაწილე იყო, რომელსაც მაღალი საჭადრაკო წოდება არ აქვს - სოფიკო მხოლოდ ფიდეს ოსტატია, დანარჩენები კი, უკლებლივ ყველა დიდოსტატები გახლავან.

ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა ორიოდ დღეში ქუთაისში გაემგზავრებიან ტრადიციულ "სავარდო და სამაისო" ტურნირი სათამაშოდ. იქაც სწრაფ ჭადრაკში გაეჯიბრებიან ერთმანეთს, საპრიზო ფონდი სოლიდურია - 5000 ლარი.

**საბოლოო ცხრილი: 1. ნანა ძაგნიძე - 6,5; 2. სოფიკო გურამიშვილი - 6; 3. მაია ლომინეიშვილი - 5,5; 4. სოფიკო ხუხაშვილი - 5,5; 5. სოფიო გვეტაძე - 5; 6. ლელა ჯავახიშვილი - 5; 7. სალომე მელია - 4,5; 8. ნინო გურიელი - 4; 9. ნონა გაფრინდაშვილი - 2; 10. მაკა ფურცელაძე - 1.**

ზვიად შათირიშვილი

## ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონი დამარცხდა



თბილისელები მოგებას ზეიმობენ

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ფინალი. 2 მოგებამდე. I მატჩი**

**ოლიმპიური ცენტრი 1-ჯიკო 3:0**

25:16, 25:22, 28:26

ოლიმპიური ცენტრი: 1. თამარ კორომშინაძე, 2. თიკა ჭაუჭიძე, 3. თეა მძელური, 5. მარიამ ყიფშიძე, 7. სოფო ლომიძე(კ) (4.მაგდა პაპიძე), 8. დალი ალიბეგაშვილი, 13. თამთა დანელია(ლიბერო)

ჯიკო: 1. თიკა მიქაძე (15.თამუნა გეგუჩაძე), 8. ნონა ღვინჯილია, 12. ნელი აირაპეტიანი, 6. ნათია არველაძე, 7. ირინა შენგელია (9.ირინა კახაძე), 11. თამთა დავითულიანი, 14.ეკა გაბაშვილი (ლიბერო).

ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა, დიდი ჯიხაიშის "ჯიკომ", ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში მარცხი იწვნია. პირველივე სეტში გამოჩნდა, რომ გაცილებით უფრო ახალგაზრდული თბილისური გუნდი არაფრის ათმობას არ აპირებდა და მეტოქეს არც არანაირი შანსი დაუტოვა. თბილისელები უფრო ხალასად და შემართებით ირჯებოდნენ, რაც ანგარიშშიც ნათლად აისახა. მათ შორის ვინმეს გამოყოფა შეუძლებელია - ყველა ერნაირად, თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა. მათ ფონზე ძნელი იყო "ჯიკოში" ჩემპიონის ამოცნობა. მაქსიმუმი, რაც სტუმრებმა პირველ ხელში მოახერხეს, ანგარიშის ხუთ ქულამდე შემცირება იყო 10:15, საბოლოოდ კი ოლიმპიური ცენტრის გუნდმა ცხრა ქულის სხვაობით მოიგო 25:16.

მეორე სეტში "ჯიკომ" მოუმატა. გადამწყვეტ უპირატესობას მასპინძლებმა მხოლოდ პარტიის მიწურულს მიაღწიეს. **თეა მძელურის, თიკა ჭაუჭიძისა** და **თამარ კორომშინაძის** ყუმბარისებურ დარტყმებს ჯიხაიშელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. გუნდის ლიდერის, **მარიკა გერლიანის** არყოფნაში ისინი ფერმკრთალად გამოიყურებოდნენ და საბოლოოდ 22:25 წააგეს.

მესამე სეტში ოლიმპიური ცენტრის გუნდს ოდნავ დაღლა დაეტყო. "ჯიკომ" ერთი ხანობა თითქოს თამაში იპოვა, მაგრამ ორ ქულაზე მეტით წინ ვერ გავიდა. სეტის დასკვნითი ნაწილი კი ისეთი გამოდგა, ნებისმიერი რანგის მატჩს დაამშვენებდა - 20:20, 21:21, 22:22, 24:22, 24:24, 25:25, 26:26. აქ მოწოდების უფლება ოლიმპიური ცენტრის ფრენბურთელებმა მოიპოვეს. **თეა მძელურმა** პირველი მოწოდებიდანვე ქულა აილო. მეორეზე მეტოქემ ბურთი მოიგერია - მასპინძელთა გამთამაშებელმა **მარიამ ყიფშიძემ**, რომელმაც მთელი თამაში თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა, ზუსტად აუგდო დიაგონალის მოთამაშე **მაგდა პაპიძეს**, რომლის ძლიერი დარტყმა შემდეგ მეტოქემ კი დააფარა, მაგრამ ბურთი მოედანს მიღმა დაეცა...

მეორე შეხვედრა 21 მაისს დიდ ჯიხაიშში გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში, მესამე გადამწყვეტი მატჩი იქვე, 22 მაისაა დანიშნული.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სუმო



კოკაი-ჩიოტაიკაი

# ოძეკისთან მარცხით დაიწყო

გუშინ, ტოკიოში მაისის ბაშო დაიწყო, რომელშიც ქართველი **ლევან ცაგურია** (კოკაი) აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირას რანგში იჭიდავებს. პირველ დღეს კოკაის დაუპირისპირდა **ჩიოტაიკაი**, რომელიც ამ ტურნირზე 50-ედ გამოვიდა როგორც ოძეკი. ჩიოტაიკაი თუ ბაშოს დადებითად არ დაასრულებს ამ ტიტულს დაკარგავს. მან ქართველს, დაჯახების შემდეგ, ეშმაკური ხერხით აჯობა, კოკაის მეტოქის მავაშის დაჭერა სურდა, მაგრამ ვერ მისწვდა. დღეს კოკაის მეტოქე მონღოლი **ჰაკუჰოა**, რომელსაც იოკოძუნად გახდომის შანსი აქვს. ჰაკუჰოს კოკაი აქამდე 9-ჯერ შეხვდა და მხოლოდ ორჯერ მოუგო.

ბაშოს დაწყებამდე ორმა ფალავანმა სუმოდან წასვლა გამოაცხადა: ყოფილმა კომუსუბმა **კიოკუშუძანმა** და მოქმედმა ოძეკი **ტოჩიაძუმამ**. ბაშოს ტრავმების გამო დააკლდნენ **კიოკუტენჰო** (მერვე მაეგაშირა) და **შიმოტორი** (მეათე მაეგაშირა). პირველ დღეს სენსაცია არ მომხდარა, ყველა ფავორიტმა იმარჯვა, მათ შორის **ასაშორიუმ**. მაკუშიტას დივიზიონში **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი, 28-ე ნომერი) **ტაცუიატაკას** აჯობა. **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ, 46-ე ნომერი) რიუგისთან წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

მაისის სუპერტურნირი

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ჩიოტაიკაი 0:1 (ჰატაკიკომი), ასაშორიუ-ტოიონოშიმა 1:0, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ 1:0, კოტოოშუ-ჰომაშო 1:0, კაიო-ტოკიტენკუ 1:0, კოტომიცუკი-ტამანოშიმა 1:0, ამა-კაკიძოე 1:0, ამინიშიკი-კისენოსატო 1:0, ტოჩიოძანი-ტაკეკაძე 1:0, კაკურიუ-ტოკიცუუმი 1:0, ტაკამისაკარი-კასუგაო 1:0, ასასეკირიუ-ვაკანოსატო 1:0, მიაბიამა-როჰო 1:0.

II დღე: კოკაი-ჰაკუჰო, ასაშორიუ-ჰომაშო, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, კაიო-კოტოშოგიკუ, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, ამა-ტამანოშიმა, კოტომიცუკი-კაკიძოე, ტოჩიოძანი-კისენოსატო, ამინიშიკი-ტაკეკაძე, კაკურიუ-კასუგაო, ტაკამისაკარი-ტოკიცუუმი.

## რაგბი. შვიდკაცა

# ლელო უშბაზე



ბურთით თორნიკე ცერცვაძე (ლელო)

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ქართულ შვიდკაცაში ახალი ეტაპი იწყება. რაგბის კავშირში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც რაგბის ამ ნაირსახეობის განვითარებაზე იზრუნებს. შვიდკაცა რაგბის გულშემატკივარიც გამოუჩნდა, რომელიც მის განვითარებას ფინანსურად დაეხმარება-კომპანია "უშბა დისტილერი". ამ ორგანიზაციის დახმარებით საქართველოს ჩემპიონატის ხუთი ეტაპი გაიმართება. პირველი ეტაპი კი, რომელიც ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, "ლელოს" გამარჯვებით დასრულდა.

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე წესით 12 გუნდს უნდა ეთამაშა, მაგრამ "არმაზმა" გუნდის გამოყვანა ვერ შეძლო. ჯგუფური ტურნირის მსვლელობისას აშკარად გამოიკვეთა ორი ფავორიტი - "ლელო" და "ყოჩები". ჯგუფური ტურნირიც სწორედ მათი გამარჯვებით დასრულდა და ფინალიც მათ ითამაშეს.

სამწუხაროდ, ტურნირს უხინჯოდ არ ჩაუვლია. "ლოკომოტივმა", რომელმაც შეჯიბრებაში ორი გუნდი გამოიყვანა, ტურნირის მეორე დღეს ორივე გუნდი მოხსნა. დანარჩენი გუნდებიდან გამორჩევის ღირსია "უნივერსიტეტი", რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და მსგავსი დონის ასპარეზობაში პირველად გამოდიოდა. **ბადრი ბოხუას** აღსაზრდელებმა საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მესამე საპრიზო ადგილიდაიკავეს.

ტურნირის გამარჯვებული "ლელო" გახდა. ეს გუნდი დანარჩენებს აშკარად აღემატებოდა, რასაც ფინალის ანგარიშიც ადასტურებს. ტურნირის აღმოჩენად კი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ 17 წლის ლელოელი, ფულბეკი **გოდერძი ჯოგლიძე**.

ტურნირზე გამოვლინდა სიმბოლური ნაკრები, თითოეული გუნდიდან საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებული: **ალექსანდრე თოდუა**(ლელო), **დავით ბელაშვილი** (ყოჩები), **ჯუბა ბალანჩივაძე** (აია), **დავით ნიბლაძე** (აკადემია), **ლადო ავლოხაშვილი** (დინამო), **ლაშა შუბითიძე** (რუსთავი), **ლევან დარასელია** (უნივერსიტეტი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

A ჯგუფი: რუსთავი-უნივერსიტეტი 7:12, ლელო-აია 28:5, ლოკომოტივი1-ლოკომოტივი2 26:12, აია-რუსთავი 0:12, ლელო-ლოკომოტივი 2 42:0, ლოკომოტივი1-უნივერსიტეტი 5:7, რუსთავი-ლოკომოტივი1 17:12, ლელო-უნივერსიტეტი 28:5, აია-ლოკომოტივი2 14:0, ლელო-რუსთავი 29:5, ლოკომოტივი 1-აია 5:15, ლოკომოტივი 2-უნივერსიტეტი 5:31, უნივერსიტეტი-აია 14:0,

B ჯგუფი: აკადემია-დევები 34:0, ყოჩები 1-ყოჩები 2 26:7, ყოჩები 2-აკადემია 14:24, ყოჩები1-დინამო 12:0, ყოჩები1-დევები 57:0, ყოჩები 2-დინამო 12:24, ყოჩები1-აკადემია 12:5, დინამო დევები 33:7, აკადემია-დინამო 5:7, დევები-ყოჩები 2 5:28.

მეხუთე ადგილისთვის. ნახევარფინალი.
**აია-აკადემია 12:7**
**რუსთავი-ყოჩები 24:5**

პირველი ადგილისთვის. ნახევარფინალი.
**ლელო-დინამო 33:7**
**ყოჩები 1-უნივერსიტეტი 12:0**

მე-7 ადგილისთვის
**ყოჩები 2-აკადემია 10:5**

მე-5 ადგილისთვის
**რუსთავი-აია 25:5**

მე-3 ადგილისთვის
**უნივერსიტეტი-დინამო**
*(არ გამოცხადდა)*

ფინალი
**ლელო-ყოჩები 1 38:0**

ლელო: დავით ჩიტიძე, თორნიკე ცერცვაძე, ელიზბარ ჯამრულიძე, ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე, ირაკლი ყიასაშვილი, გოდერძი ჯოგლიძე, ვახტანგ მაისურაძე, ლადო ქიზიყურაშვილი, ბექა თოფურია

### ერთა თასი

**12 მაისი**

**პორტუგალია-რუსეთი 13:21**

პორ: 2ლ (მატეუში, ფორო) ს: პინტუ

რუს: 2ლ (ხროკინი, კულემინი); გ (კუშნარევი), 3ს (კუშნარევი 2, მოტორინი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 2.რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 6 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| 4.ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | -23 | 4 |
| 5.პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | -5 | 2 |
| 6.ჩეხეთი | 4 | 0 | 0 | 4 | -211 | 0 |

**19 მაისი**

**ჩეხეთი-პორტუგალია**

## ჩოგბურთი

# მეოთხედფინალში დამარცხდა

16 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა** 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასპარეზზე იტალიურ ჩიტა დი პრატოს ტურნირში ითამაშა. ლაზარე მსოფლიო ახალგაზრდულ კლასიფიკაციაში 55-ე ადგილზეა, ჩიტა დი პრატოში ის მეორე ნომრად განთესეს. სამი წრის გავლის შემდეგ, კუხალაშვილი მეოთხედფინალში მე-5 ნომრად განთესილ რუს **ვლადიმირ ზინიაკოვს** შეხვდა. სამწუხაროდ, ქართველმა მატჩში ორ სეტში დათმო - 4:6, 3:6. ამავე ტურნირში გოგონებში **ეკა გორგოძე** გამოდიოდა, თუმცა გორგოძე პირველივე წრეში გამოეთიშა შეჯიბრებს.

## პროფესიული კრივი

# გოგოლაძე მსოფლიო ტიტულისთვის იბრძოლებს



ქართველი პროფესიონალი მოკრივე **კობა გოგოლაძე** WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს 59 კგ წონით კატეგორიაში. დღეისათვის ეს ტიტული ვაკანტურია. კობა გოგოლაძის მეტოქე ბრიტანელი **ალექს არტური** იქნება. მატჩი ივლისში გაიმართება. ამის შესახებ თავად WBO-ს ბოსმა **პაკო ვალკარელმა** განაცხადა. 28 წლის შოტლანდიელი ფავორიტად მიიჩნევა, 34 წლის "კობრა" გოგოლაძის წინააღმდეგ. გოგოლაძეს 21 მატჩი აქვს გამართული და მხოლოდ ერთი მარცხი აქვს ნაწნევი.

**ნ. ნ.**

### საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის დადგენილება

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ**

ჩატარდეს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 2007 წლის 30 მაისს, 13:00 საათზე, ქ. თბილისში შემდეგი დღის წესრიგით:

1. ფედერაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;
2. ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გამგეობის წევრების არჩევნები;

პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად კანდიდატებმა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციაში განცხადება უნდა შემოიტანონ მიმდინარე წლის 23 მაისამდე. დაგვიანებით შემოსული განცხადებები არ განიხილება.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გამგეობა




ბაირონ დევისი შეტევას ეფექტური ჩატენვით ასრულებს

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მანუ და ტიმი

დასავლეთი ტიტანების მესამე ჯახი ტეხასური "სპურსის" დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. "ფინიქსი", რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა - **ამარე სტაუდმაიერმა** მატჩის დაწყებამდე "სან ანტონიო" განგებ უხეშობასა და **ბრიუს ბოუენის** ბინძურ თამაშში დაადანაშაულა, საკუთარი მოედნის უპირატესობის დაკარგვის მერე მაგრად კი იქადნებოდა, "სპურსს" მისსავე ბუნაგში მოვუგებთო, მაგრამ...

მატჩს ორი გამორჩეული გმირი ჰყავდა. **ტიმ დანკანმა** "ფინიქსსა" და ამარეს ზედიზედ მესამედ გადაუარა. თუ რეგულარულში დანკანი ერთ მატჩში საშუალოდ 20 ქულასა და 10.6 მოხსნას აგროვებდა, ფლეი ოფში ეს მაჩვენებლები 24 ქულამდე და 12 მოხსნამდე გაიზარდა.

სტაუდმაიერი პირველ მეოთხედში ვერც ტიმმა დააკავა და ვერც რომელიმე სხვა მასპინძელმა. "სანზის" ფორვარდ-ცენტრმა საწყის 4 წუთში 7 ქულა მოიმკო და ოდნავ აკურატულად რომ ეთამაშა, ეს მაჩვენებელი გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა. "ფინიქსისთვის" სამწუხაროდ, სტაუდმაიერმა 7 ქულის ალებასთან ერთად ორი ფოლიც მიიღო და **მაიკ დენტონიმ** შემდგომი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, იგი რეზერვში დასვა. ამარემ საბოლოოდ მხოლოდ 21 წუთი ითამაშა, 21 ქულა დააგროვა, მაგრამ 5 ფოლით თავისიანები დაალალატა და ბოლო მეოთხედში დანკანის გამჩერებელი აღარავინ იყო.

მეორე გმირი კი **მანუ ჯინობილი** იყო. ორი მატჩისა და ორი მეოთხედის განმავლობაში, არგენტინელი ვარსკვლავის მონაგარი სულ რაღაც 14 ქულა იყო. მესამე მეოთხედის ბოლოსწინა წუთამდე, ჯინობილის თამაშიდან 34-დან 25 სროლა გაეფუჭებინა, მაგრამ ყველაფერი ერთმა ეპიზოდმა შეცვალა.

არგენტინელი სამწამიანში შესვლისას **შონ მერიონმა** ძალიან უხეშად შეაჩერა და მანუს რამდენიმე წუთში თვალი ჩაულურჯდა, ხოლო წარბი კი გასაკერი გაუხდა. **გრეგ პოპოვიჩის** გასაკვირად, მსაჯებმა თამაშის წესის დარღვევა არ დააფიქსირეს. მეოთხედის დასრულებამდე ერთი წუთი და 18 წამი რჩებოდა და ამ მცირე დროში ჯინობილიმ 10 (!) ქულა დააგროვა - მანუმ სამქულიანი გამოიყენა, ამ დროს მასზე დაჯარიმდნენ და არგენტინელმა სამივე საჯარიმო უშეცდომოდ შეასრულა, შუალედში კი ორი ეფექტური შესვლითაც ახეირა "სან ანტონიო".

რაც შეეხება **სტივ ნეშს**, კანადელმა თამაშიდან პირველი სროლა მესამე მეოთხედის ბოლოსწინა წუთზე გამოიყენა, ხოლო დიდ შესვენებამდე მის ანგარიშზე ერთი ქულაც არ იყო. მოქმედმა უძვირფასესმა მოთამაშემ ბოლო მეოთხედში ათი ქულა და 4 პასი კი გაჩარხა, მაგრამ წინ გაჭრილ "სპურსს" ამაზე ყურადღება მაინცდამაინც არ გაუმახვილებია, რადგან იმავე დანკანმა ამავე დროში 13 ქულა და 6 მოხსნა გააკეთა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სან ანტონიო" სერიაში დაწინაურდა და მეოთხე მატჩსაც საკუთარ მოედანზე გამართავს.

მოკლედ, დანარჩენ ორ შეხვედრაზე. **ბაირონ დევისმა** და მისმა "გოლდენ სტეიტმა", **ჯერი სლოუნის** "იუტას" ოკლენდში 15 ზუსტი სამიანი ჩაუგდო, **ჯეისონ რიჩარდსონის** ანგარიშზე კი 9-დან 5 ასეთი ზუსტი სროლა იყო. დევისმა ამჯერადაც არაჩვეულებრივად ითამაშა და იქნებ წლის ყველაზე ეფექტური სლემ დანქიც კი გვიჩვენა. ძირითადის დასრულებამდე 2 წუთითა და 48 წამით ადრე, მან ერთ-ერთ საუკეთესო დამფარებელ **ანდრეი კირილენკოს** მარჯვენა ხელით ბურთი თავზე გადაატენა და მისი გუნდიც მეტოქისთვის დარჩენილ დროში ყველანაირად მიუწვდომელი გახდა. მასპინძლები მატჩის მსვლელობისას 30 ქულასაც კი იგებდნენ და პირველ ნახევარში 11 ზუსტი სამქულიანით ლიგის საფლეიოფო რეკორდიც დაამყარეს.

**ჯეისონ კიდმა** ფლეი ოფში მე-11 სამმაგი დუბლი გააკეთა, უჩვეულოდ აკურატულად შეასრულა სამიანები (6-ში 5) და **ლებრონ ჯეიმსმაც** მის კლანჭებში რომ მოექცა, 18 ქულით პირადი საფლეიოფო ანტირეკორდი დაამყარა. წაგების მიუხედავად, ფავორიტი მაინც "კავალიერსია".

ზურაბ თალაკვაძე

აღმოსავლეთი

**ნ. ჯერსი (6)-კლივლენ. (2) 96:85**

22:15, 23:28, 28:21, 23:21

ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქ. 14 პ. 13 მ), რ. ჯეფერსონი (23 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ვ. კარტერი (23 ქ. 6 მ. 4 პ), მური (11 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ).

კლივლენდი: ჰიუზი (23 ქ. 4 მ. 2 დ), ლ. ჯეიმსი (18 ქ. 12 პ. 6 მ), გუდენი (12 ქ. 4 მ), ილგაუსკასი (11 ქ. 8 მ).

სერია 1:2

დასავლეთი

**ს. ანტონ. (3)-ფინიქსი (2) 108:101**

25:30, 30:23, 25:19, 28:29

სან ანტონიო: დანკანი (33 ქ. 19 მ. 3 დ), ჯინობილი (24 ქ. 4 პ. 3 ჩ), ტ. პარკერი (16 ქ. 5 პ. 4 მ), ბ. ბოუენი (10 ქ. 9 მ. 4 ჩ).

ფინიქსი: მერიონი (26 ქ. 7 მ. 4 დ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (21 ქ. 5 მ), ნეში (16 ქ. 11 პ. 8 მ), რ. ბელი (12 ქ), დიაო (10 ქ. 3 პ).

სერია 2:1

**გ.სტეიტი (8)-იუტა (4) 125:105**

30:27, 40:22, 34:36, 21:20

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (32 ქ. 9 პ. 6 ჩ. 4 მ), ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 5 მ), ე. ჰარინგტონი (15 ქ), მ. პიეტრუსი (14 ქ. 2 დ), ბიედრინსი (13 ქ. 13 მ), მ. ელისი (10 ქ. 2 ჩ).

იუტა: ბუზერი (19 ქ. 11 მ. 5 პ), კირილენკო (15 ქ. 5 მ. 5 პ. 3 დ), ოქური (15 ქ. 6 მ), დ. უილიამსი (14 ქ. 6 პ), ჰარპრინგი (12 ქ).

სერია 1:2



მსოფლიო ჩემპიონატი

# ოქროს კანადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2008 წელს მსოფლიო ჩემპიონატს კანადა უმასპინძლებს და "ნეკერჩხლის ფოთლებს" ტიტულის დაცვის შესანიშნავი შანსი ექნებათ. ფინეთი კი დიდი ტურნირების ყველაზე უილბლო ნაკრებად რჩება. უკანასკნელი ოლიმპიური ფინალის შვედეთთან წაგების მერე, სუომიმ მუნდიალის გადამწყვეტი მატჩიც დათმო.

ფინელებს ამ ორ ტურნირს შორის პარალელის გავლება ნამდვილად შეუძლიათ - მაშინაც და ახლაც მათ ნახევარფინალში რუსები დაამარცხეს, მაგრამ მეტოქის ძლევას იმხელა ენერგია შეალიეს, რომ ბოლო შეხვედრისთვის ძალა აღარ შერჩათ.

**ენდი მიურეის** კანადა კი მატჩიდან მატჩამდე უმატებდა. რაც მთავარია, ნაკრები შეთამაშდა, უმრავლესობაში სულ უკეთ გამოიყურებოდა და ფინეთთან პირველ პერიოდში, "კოლამბუსის" ვარსკვლავმა **რიკ ნეშმა** და მისმა პარტნიორებმა ზედმეტი მოთამაშე 7 წუთში ორჯერ გამოიყენეს.

აღნიშნულ შეხვედრაში მიურეიმ სამეკარეო როქი გააკეთა და აშკარად გადაღლილი **დუეინ როლოსონის** ("ედმონტონ ოილერზი") ნაცვლად კარში **კემ უორდი** ("კაროლინა ჰარიქეინზი") დააყენა.

მეშვიდე წუთზე ნეშმა ბორტთან საფირმო ფინტით **ნიკო კაპანენი** ჩამოიცილა და **კარი ლეჰტონენთან** პირისპირ გასულმა, ფინელთა მეკარეს აულებელი დაურტყა. ამის შემდეგ კი ძმები **სტაალებიდან** უფროსმა, "კაროლინა ჰარიქეინზის" ვარსკვლავმა - **ერიკმა** გამოიჩინა თავი, რომელმაც **მაიკლ კამალერის** პასით ერთი შეხებით შეუჭედა შაიბა ფინელებს.

ევროპელები მხოლოდ ბოლო პერიოდში გამოფხიზლდნენ და ძირითადის დასრულებამდე 2 წუთითა და 16 წამით ადრე, **ანტი მიეტინენმა** კანადელთა მეკარის ზონაში შექმნილი აურზაურით ისარგებლა და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა შემდეგ იერიშში გართულ სკანდინაველებს იმავე ნეშის კიდევ ერთი ჩხვლეტა გამოეპარათ და ამ უკანასკნელმა შეხვედრის საბოლოო წერტილი დააფიქსირა. ნეში ტურნირის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, ფინეთი კი ახალ ჭრილობებს მომდევნო მუნდიალამდე მოიშუშებს.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

**მეკარეები:** დუეინ როლოსონი, კემერონ უორდი;

**მცველები:** დენ ჰამჰუისი, დიონ ფანოფი, ერიკ ბრიუერი, ბარეტ ჯეკმენი, ში უებერი, მაიკლ კომოდორი, კორი მერფი, ნიკოლას შულცი.

**ფორვარდები:** ჯეი მაკლემანტი, ჯორდან სტაალი, ჯასტინ უილიამსი, ერიკ სტაალი, მაიკლ კამალერი, ჯონათან თოუვზი, მეტიუ ლომბარდი, შეინ დოუნი, კოლბი არმსტრონგი, რიკ ნეში, ჯეისონ ჩიმერა, ჯამალ მაიერსი.

**მთავარი მწვრთნელი:** ენდი მიურეი




1/2 ფინალი

**რუსეთი-ფინეთი 1:2 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 0:1

**გოლები:** მალკინი-5 (ფროლოვი-5, კოვალჩუკი-6), 1:1 პენტუნენი-4 (ნ. კაპანენი-7, ლაამანენი-1), 1:2 მ. კოივუ-2 (ტ. რუუტუ-3).

**კანადა-შვედეთი 4:1**

3:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კამალერი-3 (ფანოფი-7), 2:0 ტეივზი-2 (ე. სტაალი-6), 3:0 ე. სტაალი-4 (კამალერი-3, უებერი-1), 3:1 დავიდსონი-7 (ჰორნკვისტი-4), 4:1 ნეში-4 (ბრიუერი-3, ლომბარდი-4).

მე-3 ადგილისთვის

**რუსეთი-შვედეთი 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ემელინი-1 (ზარიპოვი-8, ფროლოვი-6), 2:0 ზინოვიევი-3 (ემელინი-2), 3:0 ფროლოვი-5 (მალკინი-5, ატიუშოვი-3), 3:1 სტინი-2 (ბეკსტრიომი-5, სტრალმანი-1).

ფინალი

**კანადა-ფინეთი 4:2**

2:0, 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ნეში-5 (მერფი-6, ლომბარდი-5), 2:0 ე. სტაალი-5 (ჯასტინ უილიამსი-2, კამალერი-4), 3:0 კ. არმსტრონგი-1 (ჯ. სტაალი-2, ფანოფი-8), 3:1 კონტიოლა-2 (პელტონენი-7), 3:2 მიეტინენი-1 (პუორიალია-1), 4:2 ნეში-6 (ლომბარდი-6, დოუნი-5).

საუკეთესო მოთამაშეები

(ორგანიზატორების ვერსია)

**საუკეთესო მეკარე:** კარე ლეჰტონენი (ფინეთი);
**საუკეთესო მცველი:** ანდრეი მარკოვი (რუსეთი);
**საუკეთესო ფორვარდი:** ალექსეი მოროზოვი (რუსეთი);
**საუკეთესო მოთამაშე:** რიკ ნეში (კანადა).

სიმბოლური ნაკრები

(ჟურნალისტების ვერსია)

კარე ლეჰტონენი (ფინეთი) - ანდრეი მარკოვი (რუსეთი), პეტერი ნუმელინი (ფინეთი) - ევგენი მალკინი (რუსეთი), რიკ ნეში (კანადა), ალექსეი მოროზოვი (რუსეთი).

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
|---|---|
| დავიდსონი (შვედ) | 14 (7+7) |
| მოროზოვი (რუს) | 13 (8+5) |
| ზინოვიევი (რუს) | 13 (3+10) |
| ლომბარდი (კან) | 12 (6+6) |
| ზარიპოვი (რუს) | 12 (3+9) |
| ნეში (კან) | 11 (6+5) |
| გაბორიკი (სლოვაკ) | 11 (5+6) |
| ფროლოვი (შვედ) | 11 (5+6) |
| მარტენსონი (შვედ) | 11 (4+7) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| მოროზოვი (რუს) | 8 |
| დავიდსონი (შვედ) | 7 |
| ლომბარდი (კან) | 6 |
| სტემპნიაკი (აშშ) | 6 |
| ნეში (კან) | 6 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| ზინოვიევი (რუს) | 10 |
| ზარიპოვი (რუს) | 9 |
| ტარნსტრიომი (შვედ) | 8 |
| ი. იონსონი (შვედ) | 8 |
| ფანოფი (კან) | 8 |

NHL. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)-ოტავა (4) 3:4 (2ო)**

2:1, 0:2, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ვანეკი-6 (აფინოგენოვი-4, რუა-4), 2:0 ჰეხტი-3 (პომინვილი-4, ნუმინენი-4), 2:1 ალფრედსონი-8 (ჰიტლი-11, სპეცა-9), 2:2 ფიშერი-3 (მეზაროში-2, პრისინგი-5), 2:3 რედენი-2 (სპეცა-10, ჰიტლი-12), 3:3 ბრიერი-3 (ქონოლი-8, დრური-4), 3:4 კორვო-2 (სპეცა-11).

სერია 0:2

დასავლეთი

**დეტროიტი (1)-ანაჰაიმი (2) 2:1**

1:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-5 (ლიდსტრიომი-9, დაციუკი-7), 1:1 კუნიტცი-1 (გეტცლაფი-5, ს. ნიდერმაიერი-5), 2:1 ჰოლმსტრიომი-3 (ლიდსტრიომი-10, სამუელსონი-3).

სერია 1:0

კალათბურთი

## უეიდს ორი ოპერაცია სჭირდება

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა**, შესაძლოა, მომავალი სეზონის სტარტი გამოტოვოს. როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელი - **პატ რაილი** აცხადებს, უეიდს მუხლის ოპერაციის შემდეგ, შესაძლოა, ტერფზეც დასჭირდეს ქირურგიული ჩარევა.

მწვრთნელის სიტყვებით, ამ ზაფხულს, დუეინს ბოლომდე სურს ყველა ტრავმის მკურნალობა, მაგრამ ამან შეიძლება დიდი დრო წაიღოს და კალათბურთელმა ვერ მოასწროს მომავალი სეზონის დასაწყისისთვის ფორმაში ჩადგომა.

## დალასმა დიოპი დაიტოვა

"დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ **დესაგანა დიოპის** კონტრაქტში არსებულ სპეციალურ პუნქტს გამოიყენებს და 2007-08 წლის სეზონისთვის, ამ კალათბურთელს შემადგენლობაში დატოვებს. მომავალ წელს, აფრიკული წარმოშობის მოთამაშე 2.146 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ რეგულარულში, დიოპმა 81 მატჩი (9 სასტარტოში) ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები ასე გამოიყურებოდა - 18.3 წუთში 2.3 ქულა, 5.4 მოხსნა, 1.4 დაფარება.

## ოლიმპიაკოსი გაძლიერებას გეგმავს

ბერძნული პრესის ინფორმაციით, საგაისოდ "ოლიმპიაკოსი" სერიოზულად ფიქრობს გუნდის გაძლიერებაზე. კერძოდ, ბერძნები აპირებენ მოსკოვის ცსკა-დან გადაიბირონ საბერძნეთის ნაკრების მცველი **თეოდორას პაპალუკასი**.

გარდა ამისა, ბერძნული კლუბის ხელმძღვანელობას მთავარი მწვრთნელის შეცვლაც აქვს განზრახული. კერძოდ, **პინი გერშონს**, რომელმაც "მაკაბის" ორჯერ მოაგებინა ევროლიგა, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი - **დევიდ ბლატი** შეცვლის.

# ცხელი ხაზი

კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ჩიკაგო-დეტროიტი | 102:87 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 85:76 |
| პანელინიოსი-პანიონიოსი | 54:67 |
| ოლიმპია-არისი | 72:82 (ო) |
| პანათინაიკოსი-მარუსი | 66:58 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-უნიკახა | 67:60 |
| გრან კანარია-ალიკანტე | 94:82 |
| მურსია-მენორკა | 69:68 |
| პამესა-ბრუესა | 90:68 |
| ტაუგრესი-ბილბაო | 95:63 |
| ბარსელონა-ვალიადოლიდი | 90:69 |
| ხირონა-ფუენლაბრადა | 80:60 |
| ხუვენტუდი-რეალი | 81:70 |
| კ. სან ფერნანდო-გრანადა | 78:91 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-ბიელა | 65:93 |
| დ'ორლანდო-რეჯო ემილია | 76:71 |
| ლივორნო-კანტუ | 83:90 |
| მილანი-რომა | 69:59 |
| მონტეგრანარო-ტერამო | 83:89 |
| მონტეპასკი-კლიმამიო | 106:87 |
| ნაპოლი-ბენეტონი | 95:85 |
| სნაიდერო-სკაფატო | 79:83 |
| ვირტუსი-ვარეზე | 97:93 (ო) |

საფრანგეთის თასი

| ფინალი | |
|---|---|
| პო ორტეზი-ნანტერი | 92:83 |

ჩოგბურთი

| ATP. რომი | |
|---|---|
| ნადალი-გონსალესი | 6:2, 6:2 |

| WTA. ბერლინი | |
|---|---|
| კუზნეცოვა-ივანოვიჩი | 6:3, 4:6, 6:7 |

| WTA. პრაღა | |
|---|---|
| ბარტოლი-მორიგამი | 1:6, 3:6 |

## ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# ნადალის რომაული ჰეთ-თრიკი

რომის მასტერსის ფინალში ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** იოლად დაამარცხა ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** და ამ ტურნირის ისტორიაში გახდა მისი პირველი ჩოგბურთელი, ვინც იტალიური მასტერსის ტიტულს ზედიზედ სამჯერ დაეუფლა.

მანამდე კი ნახევარფინალში **ნიკოლაი დავიდენკოს** დაძაბულ ბრძოლაში რომ აჯობა, ამით ერთ საფარზე ზედიზედ მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობით, ამერიკელი **ჯონ მაკინროის** რეკორდი გააუმჯობესა.

ჯერ სწორედ ამ რეკორდით დავიწყოთ: მაკინროის 1983-85 წლებში ჭერქვეშა ხალიჩაზე ზედიზედ 75 თამაში აქვს მოგებული. დავიდენკოს რომ მოუგო, ნადალმა ეს მაჩვენებელი ერთით გააუმჯობესა - ფინალამდე მას თიხნარზე ზედიზედ სწორედ 76 თამაში ჰქონდა მოგებული.

მაკინროი თავისი რეკორდის დაცემას ტრიბუნიდან უმზერდა, შეხვედრის შემდეგ კი ჟურნალისტებს კმაყოფილი ემასლაათებოდა: რეკორდებს თვალსა და ხელს შუა ვკარგავ, მაგრამ ეს ცუდი სულაც არაა, ისინი ხომ ოდესმე ვილაცამ უნდა გააუმჯობესოს და თუ ეს მოსახდენია, მირჩევნია, მალე მოხდესო. ამ ბიჭს კი რას ერჩით, ნელ საფარზე ამდენს რომ მოიგებ, ესე იგი, იმსახურებო.

მაკინროის ერთი რეკორდი კიდევ დარჩა, რომლის გაუმჯობესებასთანაც წინა სეზონებში **როჯერ ფედერერი** იყო ახლოს. ეს რეკორდი ერთ სეზონში ნათამაშები შეხვედრების 96.5 პროცენტის მოგებას ნიშნავს. ამერიკელმა 1984 წლის სეზონში 13 ტიტული მოიპოვა, 82 თამაში მოიგო და 3 წააგო. 2005 წელს ამ რეკორდამდე ფედერერს ერთი მოგება დააკლდა.

რომის მასტერსი (იტალიის ღია პირველობა) სამჯერ ავსტრიელ **თომას მუსტერსაც** აქვს მოგებული, მაგრამ მას ამისთვის შვიდი წელიწადი (1990, 1995 და 1996 წლები) დასჭირდა.

ზედიზედ მესამე რომაული ტრიუმფის შემდეგ, ნადალმა თიხნარზე მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობა 77-მდე აიყვანა. უფრო მეტიც, თიხის საფარზე მან ზედიზედ 13 ტიტული მოიპოვა.

*"ამ ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგება განსაკუთრებული მოვლენაა და მე ამით ბედნიერი ვარ. ფერნანდომ უამრავი შეცდომა დაუშვა და ამით საქმე გამიადვილა. რას ვიზამთ, ეს ჩოგბურთია და ხანდახან, მეტოქის შეცდომებითაც უნდა ისარგებლო"*, - განაცხადა ნადალმა, ვინც გონსალესთან ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში დამარცხდა.

ჩილელ მეჩოგნეს ამჯერად არ გამოსდიოდა ხაზიდან კარგი თამაში, რითაც მან ნახევარფინალში ფედერერის მძლეველ იტალიელ **ფილიპო ვოლანდრის** მოუგო. გონსალესმა პირველ სეტში თავისი შეცდომებით ნადალს თავისი ორი სერვის-გეიმი აჩუქა, რამაც კალაპოტიდან ამოაგდო. შედეგად, ნადალმა მეორე სეტის დასაწყისშივე მიაღწია ბრეიკს. მეტოქის სერვისზე ქულა ესპანელმა მესამე სეტშიც მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ გონსალესმა ერთი ბრეიკის გაქვითვა შეძლო, ამით საქმეს მაინც ვერ უშველა. ნადალმა ის მეშვიდე გეიმში კიდევ ერთხელ გატეხა და მერვეში თამაშს წერტილი დაუსვა.



ნადალმა ეს თასი ზედიზედ მესამედ ასწია

ბერლინში კი, გერმანიის ღია პირველობის ფინალში, სერბმა **ანა ივანოვიჩმა** სამ სეტში მოუგო რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** და თავის კარიერაში პირველად მოიგო სათიხნარო ტურნირი.

თავიდან ივანოვიჩი ზედმეტად ნერვიულობდა, რითაც მეტოქეს უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა და პირველი სეტიც იოლად დათმო. მაგრამ მეორეში სერბი გამოცოცხლდა. ჯერ საპასუხო სეტი მოიგო, შემდეგ კი, გადამწყვეტ სეტში, ტაიბრეიკზე დაძაბულ პაექრობაში აჯობა მეტოქეს.

*"მორიგი გამარჯვება სამომავლოდ უფრო მეტ პასუხისმგებლობასაც ნიშნავს. შესაძლოა, ზედმეტი ფსიქოლოგიური ზეწოლა ძნელი ასატანი იყოს, მაგრამ თუ რამის მიღწევა მსურს, ამასაც უნდა გავუძლო. სხვანაირად მიზნის მიღწევა ძნელი იქნება"*, - განაცხადა 19 წლის ბელგრადელმა.

რაც შეეხება კუზნეცოვას, მას ერთ დღეში ორი შეხვედრის ჩატარება მოუხდა. ფინალამდე ბელგიელ **ჟუსტინ ანენს** მოუგო და ამის გამო, ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში გადაღლილი ჩანდა. თუმცა იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ ჟუსტინს მოუგო, ვისთანაც მანამდე 15 შეხვედრაში ოდენ ერთი ჰქონდა მოგებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ATP

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 2 082 500 ევრო

**1/4 ფინალი**

**ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 12) 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ტომი რობრედო (ესპ, 7) 1:6, 6:3, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 5) 6:2, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 6)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 6:4

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 7:6(3), 6:7(8), 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 6)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:1, 6:2

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**- ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 6) 6:2, 6:2

### WTA

**გერმანიის ღია**

ბერლინი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**იულია ვაკულენკო (უკრ)**-დინარა საფინა (რუს, 8) 6:3, 5:7, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-პატი შნიდერი (შვეიც, 15) 7:5, 3:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ნადია პეტროვა (რუს, 7) 7:6(5), 6:4; **ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 5) 3:6, 6:4, 6:4

**1/2 ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 4:3 (ვაკულენკო გამოეთიშა); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1) 6:4, 5:7, 6:4

**ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 3:6, 6:4, 7:6(4)

**პრაღის ღია**

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფრ, 1)**-იარმილა გაიდოშოვა (სლვკ) 6:1, 6:4; **აკიკო მორიგამი (იაპ, 6)**-კამილ პინი (საფ) 6:3, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ჯულია შრუფი (გერმ) 6:3, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლვკ) 6:1, 6:1

**1/2 ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფრ, 1)**- კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 6:2; **აკიკო მორიგამი (იაპ, 6)**- ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:3, 4:5 გამოეთიშა

**ფინალი**

**აკიკო მორიგამი (იაპ, 6)**- მარიონ ბარტოლი (საფრ, 1) 6:1, 6:-3

## ავტოსპორტი



ეს შეცდომა ალონსოს (ტრასის მიღმა) ძვირად დაუჯდა

ფორმულა 1. ესპანეთის დიდი პრიზი

# მასამ მოიგო, ლიდერი კი ჰემილტონია

რით დავიწყოთ, ახალბედა ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** ოთხი ეტაპის შემდეგ ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი რომ გახდა, თუ იმით, დიდი პრიზების ცირკის რბოლები მოსაწყენი სანახაობა რომ გახდა, რომლებზეც მხოლოდ სტარტია საინტერესო და ლიდერებს შორის გასწრება სანატრელი გახდა?

ალბათ ამ უკანასკნელით დაწყება სჯობს, ბარსელონას "კატალუნია მონტმელოზე" ჩატარებულმა ესპანეთის დიდმა პრიზმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ფორმულა ერთის რბოლები ადვილად პროგნოზირებადი და უინტერესო გახდა. ამ თემაზე ცოტა ხნის წინათ "რენოს" იტალიელი შეფი **ფლავიო ბრიატორე** შეეხო, რომელმაც რბოლების ორ ნაწილად ჩატარების იდეა წამოაყენა.

ფლავიო რომ რამეს იტყვის, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმცა პრობლემა რომ რეალურად არსებობს, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ესპანეთის დიდი პრიზის წინ, **ბერნი ეკლსტოუნმა** ორი ახალი ეტაპის ჩატარების შესახებ გააფორმა კონტრაქტი (ერთი წინასწარი). უფრო საინტერესო კი ისაა, რომ ორივე ახალი ეტაპი ქალაქის ქუჩებში გაიმართა.

ამ ორიდან ერთ რბოლას სინგაპური უმასპინძლებს, მეორეს კი, თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ბატონმა ბერნიმ ისურვა - ვალენსია. მოკლედ, ესპანეთს ფორმულა ერთის ორი რბოლის ჩატარების პერსპექტივა გაუჩნდა - ესპანეთის დიდი პრიზი 2016 წლამდე ბარსელონას დარჩა, ვალენსიაში კი ევროპის დიდი პრიზი გაიმართა.

ესპანეთის დიდ პრიზს ყველა მოუთმენლად ელოდა. ჯერ ერთი, რამდენიმე გუნდმა მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია ჩაუტარა თავის ბოლიდს. მაგალითად, "მაკლარენმა" ახალი წინა ფრთა შექმნა, რომელმაც პადოკში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ ტექნიკურმა კომისიამ გუნდს დროებით (საქმის საფუძვლიანად შესწავლამდე) ამ ფრთის გამოყენების უფლება მისცა.

ესპანური რბოლა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასზე სამხელისუფლებიანობა უნდა დარღვეულიყო. დაირღვა კიდეც და... ლიდერობა იმან შეინარჩუნა, ვისაც რბოლა ჯერაც არ მოუგია - **ლუის ჰემილტონმა**.

კვალიფიკაციის შედეგებმა იმის მცირე იმედი ჩაგვისახა, რომ რბოლა საინტერესო უნდა ყოფილიყო. "ფერარისა" და "მაკლარენის" პილოტებმა პირველი ორი სასტარტო ადგილი დაიპყრეს. მთავარი კი ის იყო, რომ მათ შედეგებს შორის ძალიან მცირე განსხვავება დაფიქსირდა. რბოლაშიც თუ ეს განსხვავებები შენარჩუნდებოდა, მაშინ სულ სხვა სანახაობის მოწმენი გავხდებოდით.

სამწუხაროდ, რბოლა სულ სხვა (ჩვეული) სცენარით წარიმართა. მასზე საინტერესო მხოლოდ სტარტი იყო, რომლის შემდეგაც, ტრასაზე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. სტარტზე ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, ესპანელ **ფერნანდო ალონსოსთან** პაექრობაში შეინარჩუნა კვალიფიკაციაზე მოპოვებული ლიდერობა. მეორე მოსახვევში ალონსომ გარე რადიუსით დააპირა მისი გასწრება, მაგრამ მოსახვევში ვერ ჩაეტია და ტრასიდან გავარდა. მართალია, მანქანა არ დაზიანებია, მაგრამ სანამ ტრასას დაუბრუნდებოდა, ჰემილტონმა და ფინელმა **კიმი რაიკონენმა** მისი გასწრება მოასწრეს.

ამის შემდეგ, ფინიშამდე ლიდერებს შორის მხოლოდ ის შეიცვალა, რომ რაიკონენმა რბოლის დასრულება ტექნიკური მიზეზით ვერ შეძლო. რბოლას ნაადრევად გამოეთიშა "ბეემვე-ზაუბერის" გერმანელი პილოტი **ნიკ ჰაიდფელდიც**, რომელიც წინა რბოლებში "დანარჩენებში საუკეთესო" იყო. დაკიდევ, პირველ პიტსტოპზე მასას ბოლიდს ცეცხლი მოედო, თუმცა მალევე ჩაქვრა - ბრაზილიელმა ოდნავ იჩქარა, ადრე დაძრა მანქანა, რის გამოც, მისი "ფერარის" კაპოტზე საწვავი დაიღვარა და როგორც კი ძრავის გავარვარებულ ნაწილს შეეხო, მაშინვე აალდა. თუმცა, ინციდენტი ბენზინის დაწვისთანავე ამოიწურა და ლიდერმაც ყოველგვარი პრობლემის გარეშე გააგრძელა რბოლა.

ნარბოლევს ალონსომ მასა გააკრიტიკა და ის სახიფათო მანევრის შესრულებაში დაადანაშაულა, მაგრამ ბრაზილიელმა ყოველივე უარყო: *"ხომ იცით, როცა შეცდომას ვუშვებ, ამას ყოველთვის პირველი თავადვე ვაღიარებ, მაგრამ ამჯერად მსგავსი არაფერი მომხდარა - შიდა რადიუსზე მე ვიყავი და ტრაექტორია რომ შემეცვალა, აუცილებლად დავკარგავდი საჭეზე კონტროლს. ჰოდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ფერნანდომ ზედმეტად გარისკა. ჩვენს მანქანებს შორის მცირე კონტაქტს ჰქონდა ადგილი, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი დაზიანებას გადაურჩა"*, - განაცხადა მასამ.

ჰემილტონი კი მეცხრე ცაზეა: *"ვიცი, ეს სიზმარი არაა, მაგრამ თავი მაინც სიზმარში მგონია. ოთხი რბოლის შემდეგ ლიდერი ვარ და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს საუკეთესო პილოტებთან მიწევს პაექრობა"*, - განაცხადა ჩემპიონატის ლიდერმა. მოკლედ, ჰემილტონს ახლა ისღა დარჩენია, თავისი პირველი გამარჯვებაც იზეიმოს, მერე კი მისი საჩემპიონო ამბიციების შესახებაც ვილაპარაკოთ...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ესპანეთის დიდი პრიზი

კატალუნია მონტმელო.

307.104 კმ (4.655 კმ, 66 წრე)

**1. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) 1:31:36.230; 2. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) +6.79; 3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) 17.456; 4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) 31.615; 5. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) 58.331; 6. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) 59.538; 7. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) 01:02.128; 8. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) 1 წრე; 9. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) 1 წრე; 10. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) 1 წრე; 11. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) 1 წრე; 12. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) 1 წრე; 13. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) 2 წრე; 14. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) 2 წრე; გ. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) 19 წრე; გ. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) 21 წრე; გ. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) 46 წრე; გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) 56 წრე; გ. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) 56 წრე; გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) 57 წრე; გ. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) 58 წრე; გ. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) 64 წრე**

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

**უსწრაფესი წრე**: ფელიპე მასა - 1:22.680, მე-14 წრე

### პირადი კლასიფიკაცია

**1. ლუის ჰემილტონი 30 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 28; 3. ფელიპე მასა 27; 4. კიმი რაიკონენი 22; 5. ნიკ ჰაიდფელდი 15; 6. რობერტ კუბიცა 8; 6. ჯანკარლო ფიზიკელა 8; 8. ნიკო როსბერგი 5; 9. დევიდ კულტჰარდი 4; 9. იარნო ტრული 4; 11. ჰეიკი კოვალაინენი 3; 12. ტაკუმა სატო 1; 12. რალფ შუმახერი 1**

### კონსტრუქტორთა პირველობა

**1. მაკლარენ-მერსედესი 58 ქულა; 2. ფერარი 49; 3. ბეემვე-ზაუბერი 23; 4. რენო 11; 5. უილიამს-ტოიოტა 5; 6. ტოიოტა 5; 7. რედ ბულ-რენო 4; 8. სუპერ აგური-ჰონდა 1**


ლელო

**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**